ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

მანუჩარ ლორია

რელიგიათმცოდნეობა (სალექციო ჩანაწერების ელექტრონული ვერსია)

სარჩევი

- რელიგიის საგანი და ამოცანები, ელემენტები, ფორმები, რელიგიათა კლასიფიკაცია და გეოგრაფია
- მუჰამედი და სიტყვა ისლამის ეტიმოლოგია
- არაბები და ისლამი
- საღვთო წიგნები და ტერმინები
- მიმართულებები და ისლამის პირობები
- ლოცვა
- მარხვა
- დღესასწაულები
- მუსლიმები საქართველოში (ზოგადი დახასიათება)
- მატარიალური კულტურა
- ეთნორელიგიური და ეთნოკულტურული პროცესების განვითარების ტენდენცია და მისი სპეციფიკა
- პოლიეთნიკური საქართველო (აზერბაიჯანელები, ქურთები, ქისტები)

რელიგიის საგანი და ამოცანები, ელემენტები, ფორმები, რელიგიათა კლასიფიკაცია და გეოგრაფია

სიტყვა "რელიგიის" ეტიმოლოგია რელიგიის წარმომავლობისა და თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებ რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს. ცნობილი რომაელი ორატორი, მწერალი და პოლიტიკური მოღვაწე ციცერონი (106-43) ამ ტერმინს ეტიმოლოგიურად ლათინურ ზმნასთან Relegere აკავშირებდა, რომელიც შეკრებად, შემოკრებად ითარგმნება, ხოლო გადატანით კრძალულებას, რაიმეს ან ვინმეს მიმართ განსაკუთრებული რიდის გამოჩენას ნიშნავს. იგი რელიგიურობის არსებით ნიშნად იდუმალებით მოსილ და უმაღლეს ძალთა, ე.ი. ღვთაებათა თაყვანისცემის წესთა მცოდნეობას ასახელებს. მისი სიტყვებია: „ვინც გულმოდგინედ დაამუშავებს და შემოკრებს ყველაფერს, რაც ღმერთების თაყვანისცემას („კულტს“) განეკუთვნება, იწოდება როგორც რელიგიოსუს (რელიგიური)“. მეორე ლათინურენოვანი მწერალი და ქრისტიანი თეოლოგი ლაქტანციუსი (+330) მიიჩნევდა, რომ სიტყვა „რელიგია“ წარმოდგება ლათინური ზმნიდან Relegere რაც ნიშნავს „დაკავშირებას“, „შეერთებას“. ამდენად, რელიგიის არსება, მისი განმარტებით, არის ადამიანის ღმერთთან კავშირი. იგი ამბობს: ჩვენ, ქრისტიანები, „ღვთისმოსაობის საბელით დაკავშირებულნი ვართ ღმერთთან და ამგვარ ურთიერთობას რელიგია ეწოდება... რელიგია ნიშნავს ღვთისმოსაობას და ღმერთთან კავშირს“. ამ სიტყვაში რელიგიის არსება სრულყოფილადაა წარმოჩენილი - ადამიანის ცოცხალი კავშირი ღმერთთან, რომელიც მორწმუნის გულის სიღრმეში აღესრულება. რელიგიის განმარტებას ნეტარ ავგუსტინესთანაც

(+430) ვხვდებით. ამ სიტყვას იგი აკავშირებს ზმნასთან Relegere, ხელახალი კავშირი, კვლავშეერთება, გაერთიანება, რაც მიგვანიშნებს, რომ რელიგია ადამიანსა და ღმერთს შორის ოდესღაც არსებული და აწ დარღვეული კავშირის განახლება, კვალადგებაა. იგი წერს: „ჩვენ ვესწრაფვით, რომ სიყვარულით აღვადგინოთ კავშირი ღმერთთან და, როგორც ჩანს, აქედან წარმოდგება სახელწოდება რელიგია, რათა ღმერთში ვპოვოთ მშვიდობა“. ასე რომ, სიტყვა „რელიგია“ ეტიმოლოგიურად ლათინურ ზმნებს უკავშირდება - რელიგერე, რელიგარე, რეელიგერე, რომლებიც ერთმანეთს ფორმითაც და მნიშვნელობითაც ენათესავებიან - შემოკრება, დაკავშირება, ხელახლა დაკავშირება, ხოლო გადატანით, მეორეული აზრით - ღვთისმოსაობა, თაყვანისცემა (კულტმსახურება), კრძალულება. აღნიშნული ეტიმოლოგია და სემანტიკა რელიგიის ორ ელემენტს, ორ ძირითად შინაარსს უსვამს ხაზს - კავშირს და კრძალულებას, ღვთის ხმობას და მისდამი თაყვანისცემას, რაც მეტად თუ ნაკლებად, ასე თუ ისე ნებისმიერ რელიგიას ახასიათებს. ისინი ურთიერთშემავსებელი ელემენტებია. კრძალულების გარეშე რელიგიურობა ფარისევლობად, მლიქვნელობად, პირმოთნეობად და ცარიელ მოწესეობად გადაიქცევა, ხოლო რწმენა მშრალ, უსულგულო დოქტრინას დაემსგავსება. შეგვიძლია ვთქვათ: Religio რთული სიტყვაა და შედგება ორი ნაწილისაგან: წინსართისაგან Re, რაც განმეორებითობას აღნიშნავს, და ძირისაგან Ligo (დაკავშირება).

რელიგიას ორი მხარე აქვს: იგი არის 1) ადამიანის ცნობიერების გარკვეული მდგომარეობა. - აღმატებული და ზებუნებრივი რეალობის განცდა, უხილავისა და დაფარულის რწმენა, ყოველგვარი ღვთისმსახურება ანუ საიდუმლო, მისტიური, საკრალური ქმედებანი და 2) სიწმინდე, რისკენაც ისწრაფის ადამიანი და რასაც

თაყვანს სცემს. მეორე მხარის გარეშე რელიგია რელიგია არაა. იგი არის უბრალო მისტიკა ანუ საიდუმლოებრიობა, როგორიცაა შამანიზმი, ოკულტიზმი, სატანიზმი და სხვა. მათ რელიგიას ვერ დავარქმევთ. ისინი ფსევდორელიგიებს წარმოადგენენ, რომლებიც რელიგიის ცალკეულ ელემენტებს შეიცავენ: სწამთ სულები და ზებუნებრივი ძალები, მაგრამ სინამდვილეში ისინი რელიგიის დაცემის, დეგრადაციის, გაუკუღმართების შედეგია. რწმენა რელიგიის საფუძველი არის რწმენა. რელიგიას ხალხის (სოციუმის) რწმენა წარმოშობს. ამის გამო რწმენა, მორწმუნეობა და სარწმუნოება რელიგიისა და რელიგიურობის სინონიმებია. სული რელიგიის განუყოფელი ნაწილი სულისა და სულეთის რწმენაა. ცნობილია ისეთი რელიგიები (მაგ. ბუდიზმი, კონფუცის მოძღვრება), სადაც შემოქმედი ღმერთის იდეა არაა, მაგრამ სულის აღიარებისა და სულთა სამყაროს განცდის გარეშე რელიგია არ არსებობს.

რელიგიის ფუნქციები 5 ელემენტი

- უპირველეს ყოვლისა, რელიგია გულისხმობს მორწმუნეთა ჯგუფის არსებობას.
- რელიგია ასოცირებულია წარმოდგენებთან
- რელიგია გულისხმობს რწმენათა განსაზღვრულ ერთობლიობას - სარწმუნოებას
- რელიგია მოიცავს რიტუალებისა თუ სხვა ტიპის ქმედებების განსაკუთრებულ ერთობლიობას
- რელიგია თავის თავში მოიცავს განსაზღვრულ წარმოდგენებს ცხოვრების მართლმორწმუნე წესზე

სოციოლოგი რ. ჯონსტოუნი ჩამოთვლის ხუთ ძირითად ელემენტს, რომელთა მეშვეობით იგი განსაზღვრავს, რამდენადაა რწმენათა ესა თუ ის სისტემა რელიგია. უპირველეს ყოვლისა, რელიგია გულისხმობს მორწმუნეთა ჯგუფის არსებობას, თუმცა ის, შესაძლოა, დაკავშირებული იყოს ღრმად პერსონალურ განცდებთანაც. მეორე – რელიგია ასოცირებულია წარმოდგენებთან, რომლებიც საკრალურად ითვლება, იგი ზღვარს ავლებს ყოველდღიურობასა და უჩვეულო მოვლენებს, სასწაულებს შორის. სასწაული დაკავშირებულია რაღაც ზებუნებრივთან, ისეთ ძალასთან ან არსებასთან, რომლის შესაძლებლობები არ არის შეზღუდული ბუნების კანონებით. მესამე ელემენტის მიხედვით, რელიგია გულისხმობს რწმენათა განსაზღვრულ ერთობლიობას – სარწმუნოებას. ეს რწმენები ხსნის ადამიანურ ბუნებას, არსებულ გარემოსა და ზებუნებრივ ძალებს, რომლებიც საკრალურად მიიჩნევა. მეოთხე – რელიგია მოიცავს რიტუალებისა თუ სხვა ტიპის ქმედებების განსაკუთრებულ ერთობლიობას. რიტუალებს რ. ჯონსტოუნი განმარტავს, როგორც ქცევის თავისებურებას წმინდა და ზებუნებრივ ძალთა მიმართ (მაგალითად, ეკლესიასთან ახლოს გავლისას მართლმადიდებელი ქრისტიანი პირჯვარს იწერს და ლოცვას წარმოთქვამს). და ბოლოს, რელიგია თავის თავში მოიცავს განსაზღვრულ წარმოდგენებს ცხოვრების მართლმორწმუნე წესზე. რელიგიათა უმრავლესობა მორწმუნეებს ქცევის მარეგულირებელ მცნებათა თუ ნორმათა სისტემას უწესებს. ეს ნორმები ადგენს, თუ როგორ უნდა მოიქცეს მორწმუნე ამა თუ იმ გარემოში.

ათეიზმი - (უღმერთობა) ღვთის არსებობის უარყოფა - შეხედულებათა სისტემა, რომელიც უარყოფს რელიგიურ მსოფლმხედველობას (ღვთის რწმენას, სულის უკვდავებას, გარდაცვლილთა აღდგომას და სხვ.) და საერთოდ რელიგიას. წმინდა წერილი ათეისტს უგუნურს უწოდებს: „თქვა უგუნურმა გულსა შინა თვისსა. არა არს ღმერთი“. ათეისტური მსოფლმხედველობა ჰქონდა ზოგიერთ წარმართ ფილოსოფოსსაც, მაგ. დემოკრიტეს. ათეიზმი ამა თუ იმ ფორმით ვლინდებოდა კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, მაგრამ ოფიციალური სახელმწიფო იდეოლოგიის სახე მან მიიღო სსრკ-სა და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნებში, რასაც შედეგად მოჰყვა მორწმუნეთა განადგურება და დევნა-შევიწროება.

•ათეიზმი შეიძლება იყოს:

•თეორიული ანუ განსჯითი, როდესაც ღმრთის არსებობის ფორმალურ უარყოფასთან გვაქვს საქმე;

•პრაქტიკული, როდესაც ადამიანი ისე იქცევა, თითქოს ღმერთი არ არსებობდეს;

•სკეპტიკური, როდესაც ადამიანს გადაულახავად მიაჩნია ეჭვი ღმრთის არსებობის შესახებ;

•აგნოსტიკური, როდესაც ღმრთის არსებობის დაუმტკიცებლობა „აბსოლუტურად“ მიიჩნევა;

•თეორიულ-პოზიტიური, როდესაც საქმე გვაქვს ღმრთის არსებობის ნებისმიერი მტკიცებულების უარყოფის მცდელობასთან და იმის მტკიცებასთან, რომ ნამდვილი მტკიცებულება არასოდეს წარმოდგენილა და მისი წარმოდგენა ვერასოდეს გახდება შესაძლებელი.

რელიგიის ფორმები. რელიგიის, როგორც დამოუკიდებელი სულიერი სფეროს ჩამოყალიბებას, წინ რწმენისა და რიტუალების ფორმირებისა და განვითარების გრძელი გზა უძღოდა.

რეკიგიების კლასიფიკაცია

პრიმიტიული ----------უმაღლესი

პრიმიტიული რელიგიები



- გვარტომობრივი რელიგიის ერთ-ერთი უძველესი ფორმაა ტოტემიზმი - რწმენა ტომისა და რომელიმე ცხოველის, მცენარის ან ბუნებრივი მოვლენის სულიერ კავშირზე.
- პირველყოფილ საზოგადოებაში გავრცელებული იყო ფეტიშიზმი - საგნების თაყვანისცემა, რომელთაც თითქოს ზებუნებრივი თვისებები ჰქონდათ. ამის გარდა, გვაროვნული წყობისათვის დამახასიათებელი იყო წინაპრების კულტი, რომლებიც თითქოს გავლენას ახდენენ შთამომავლობაზე, აგრეთვე სულებისა და სულის რწმენა, ბუნების გასულიერება, რასაც ანიმიზმი ეწოდება. პირველყოფილი რელიგიური წარმოდგენების ეს ფორმები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში თანაარსებობდნენ.

რელიგიების კლასიფიკაცია

ძირეული

უნივერსალური

ეროვნული

მსოფლიო



პოლითეისტური რელიგია

·სამყაროში მრავალ ღმერთს აღიარებენ, თუმცა ყველა ისინი ერთ სიმაღლეზე არ ჰყავთ წარმოდგენილი. სამყარო შექმნილია მრავალი ღმერთის

მონაწილეობით და ასევე ადამიანის ბედი მრავალ ღმერთზეა დამოკიდებული, თუმცა მათ შორის ერთია უპირატესი და შეიძლება ღმერთების მამად იწოდებოდეს. პოლითეისტური რწმენით, თითოეული ღმერთი განაგებს ყოფიერების ან ადამიანის მოღვაწეობის რომელიმე სფეროს. მისი რანგი იმისდა მიხედვით არის შეფასებული, თუ რამდენად მნიშვნელოვანია მის მიერ წაძღოლილი თუ ზრუნვილი ესა თუ ის სფერო, თუ დარგი. ყველაზე მნიშვნელოვანი ადამიანისთვის არის ნაყოფიერება და ამიტომაც, ცხადია, რომ ყველაზე ძლიერი და თაყვანსაცემი ის ღმერთებია, რომლებიც განაგებენ ნაყოფიერებას, ადამიანთა შობადობას, მოსავლის სიუხვეს და ა. შ.პოლითეისტურ რელიგიაში შეინიშნება ერთღმერთიანობის ტენდენცია მონოლატრიის სახელწოდებით: საზოგადოებას სწამს ბევრი ღმერთის არსებობა, მაგრამ იგი ერთ ღმერთს სცემს თაყვანს, თვლის მას თავის საკუთარ ღმერთად, რომელიც არის მისი მეოხი და იბრძვის მისი კეთილდღეობისთვის.

•მონოთეიზმი - (ეტიმ. ბერძ. mónos „მხოლოდ ერთი“ + theós „ღმერთი“). მოძღვრება, რომელიც მხოლოდ ერთი ღმერთის არსებობას აღიარებს. უპირისპირდება პოლითეიზმს და განსხვავდება ჰენოთეიზმისაგან. მონოთეიზმს ორი არსებითი ელემენტი ახასიათებს: ღმერთი ერთადერთია და ყოველივეს შემოქმედი. დიდი მონოთეისტური რელიგიებია: ებრაელობა, ქრისტიანობა, ისლამი.

•მონოთეიზმი პირველად მოსეს ათ მცნებაში გამოითქვა: „მე ვარ უფალი, შენი ღმერთი... არ იყოლიო სხვა ღმერთები ჩემ გარდა...“ მაგრამ შემდგომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი იაჰვეს (უფლის) გარდა ყველა სხვა ღმერთს, რომელთაც ებრაელი ხალხის მეზობელი ხალხები აღიარებდნენ, არაღმერთებად,

ცრუღმერთებად თვლიდნენ. ჭეშმარიტი მონოთეიზმი გამოიხატა ბიბლიის დასაწყის სიტყვებში „დასაწყისში ღმერთმა შექმნა ცა და მიწა“. ამ სიტყვების დამწერისთვის სხვა ღმერთი, გარდა ამ ღმერთისა, რომელიც სამყაროს ქმნის, არ არსებობს.

•პოლითეიზმიდან მონოთეიზმზე გადასვლა, ანუ ერთღმერთიანობის „აღმოჩენა“, ევოლუციის შედეგი არ ყოფილა. ერთი ღმერთის, სამყაროს ერთი შემოქმედის, ყოვლადძლიერის, აბსოლუტური არსებისადმი რწმენა ღვთიური გამოცხადების წყალობაა. ამას მოწმობენ რელიგიური ტექსტები, განსაკუთრებით, ძველი აღთქმა, რომელიც აბრაამის აბრაამის მაგალითზე ერთღმერთიანობის რწმენის წარმოშობას ექსისტენციალურ ნახტომად გვისახავს. აბრაამის გამოცდილებაში ერთი ღმერთის რწმენაზე (აღიარებაზე) გადასვლა არაფრით იყო განპირობებული, გარდა გამოცხადებისა, რომელიც მას ჩაესმა, რათა მთლიანად შეეცვალა მისი ცხოვრება.

მსოფლიოში ცნობილია 200 მეტი რელიგია...

•რელიგიები ერთმანეთისაგან სიძველით, ტრადიციებით, შინაარსით განსხვავდებიან.

რელიგია და კულტურა

•რელიგიის, როგორც ერთ-ერთი უძველესი და ამავდროულად ძალზე მნიშვნელოვანი ისტორიული ფენომენის როლი საზოგადოებრივი ცნობიერების, აზროვნების , ცხოვრებისა და შემეცნების ჩამოყალიბების პროცესში უდავოდ

ძალზე დიდია. მიუხედავად იმისა,რომ იგი უპირველეს ყოვლისა, ადამიანის სულიერ ცხოვრებას გამოხატავს, არანაკლებ მნიშვნელოვანი იქნებოდა იმის დანახვა და შეფასებაც, თუ რა როლი ენიჭება რელიგიას ადამიანთა ყოველდღიურ (მატერიალურ) ცხოვრებაში. რა როლი ენიჭება რელიგიას კულტურული ინტეგრაციის პროცესში? რა გავლენას ახდენს იგი ამა თუ იმ საზოგადოებაში მყოფ ადამიანთა ცხოვრების წესზე, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მათ ყოფაზე, შრომაზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, კვებისა და ვაჭრობის თავისებურებებზე, ტრადიციებზე, წეს-ჩვეულებებზე და კულტურის სხვა ასპექტებზე ? რელიგია არის საფუძველი კულტურის შემადგენელი ისეთი ელემენტების ჩამოყალიბებისა, როგორიცაა კონკრეტულ საზოგადოებაში გაბატონებული წეს-ჩვეულებები, ტრადიციები, ქცევის წესები, ნორმები, ღირებულებები და რომ რელიგია მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ადამიანთა ცხოვრების წესზე, მათ ყოფაზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, კვებისა და ვაჭრობის თავისებურებებზე და ა.შ. ყოველივე ამის ახსნას, ერთ კონკრეტულ რელიგიაზე, ისლამზე დაყდნობით შევეცდები.

• ფუნქციონალიზმი კულტურას განიხილავს მთლიანობად, რომელიც ცალკეული ელემენტებისაგან შედგება. თითოეულ ნაწილს სოციოკულტურულ მთლიანობაში გარკვეული ამოცანა, ფუნქცია აქვს. ფუნქციონალისტებს, ფაქტობრივად, არ აინტერესებთ კულტურათა ისტორიული ცვლილებები. მათთვის მნიშვნელოვანია, როგორ მოქმედებს კულტურა „აქ და ახლა“, რა ამოცანებს წყვეტს, როგორ ხდება მისი კვლავწარმოება. ცნება „ფუნქცია“ მათ მიერ ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება: 1) როლი, რომელსაც კულტურის ესა თუ

ის ელემენტი ასრულებს მთელთან მიმართებაში, 2) კულტურის ნაწილებს, კომპონენტებს შორის დამოკიდებულება.

ცნებათა და ტერმინთა განმარტება

•კულტურის ყველა ასპექტი ერთმანეთთან (კაუზალურად) მიზეზობრივად არის დაკავშირებული, ურთიერთგადახლართული ანუ

ინტეგრირებული. შეუძლებელია კულტურის ერთი ასპექტის შესწავლა, თუ არ შევისწავლით იმავე კულტურის სხვა ასპექტებს, რათა დავადგინოთ როგორ არიან ისინი ერთმანეთთან დაკავშირეულნი და ინტეგრირებულნი. მაგალითად, ტრადიციულ ინდუიზმში ხდებოდა ადამიანების სეგრეგაცია კასტებად (ოფიციალურად ეს პრაქტიკაში აკრძალულია, მაგრამ ფაქტობრივად ინდოეთში ისევ არსებობს დაყოფა), კასტა კი წინდაწინვე განსაზღვრავს რა პროფესიისა იქნება ადამიანი, რა სოციალური პოზიცია ექნება მას საზოგადოებაში. ისლამი კრძალავს ალკოჰოლის, ნარკოტიკების მოხმარებას და მკაცრ სასჯელს აწესებს ამ წესის დარღვევისათვის. იუდაიზმი და ისლამი ღორის ხორცის მოხმარებას კრძალავს, ხოლო ინდუიზმი ძროხის. მართლმორწმუნე იუდაისტი (ებრაელი) შაბათს სრულებით არ მუშაობს (პარასკევს მზის ჩასვლიდან შაბათს მზის ჩასვლამდე) და ეს სწორედ მისი რწმენით არის განპირობებული.

•კულტუროლოგიის ფუძემდებელმა, ამერიკელმა მეცნიერმა ლესლი უაიტმა კულტურის შემდეგი განმარტება შემოგვთავაზა: კულტურა-ეს არის საგნებისა და მოვლენების ერთობლიობა, რომელიც დაკავშირებულია მხოლოდ ადამიანისათვის დამახასიათებელ სიმბოლიზაციის უნართან. სიმბოლიზაციის შესაბამისად, კულტურის სწავლის-უნარი მხოლოდ ადამიანს აქვს. ამით იგი ყველა დანარჩენი ცოცხალი არსებისაგან განსხვავდება.

•ამრიგად, კულტურის ცნება ხაზს უსვამს ადამიანის განსხვავებას ყველა სხვა ბიოლოგიური არსებისაგან.

•კულტურის ფენომენი ბევრ საინტერესო მხარეს მოიცავს. ყველა კულტურაში გვხვდება უნივერსალიები-ელემენტები, რომლებიც (თითქმის) ყველა კულტურაში არსებობს :ენა, ოჯახი, საკუთრება, რელიგია, მორალი,

ესთეტიკა, ტაბუ (აკრძალვა), კონფლიქტი, მითი, ტექნოლოგია და ა.შ. შესაბამისად, რელიგიაც კულტურის შემადგენელი ელემენტია და ვფიქრობ ნათელია, თუ რატომ მივიჩნევ რელიგიას კულტურის ერთ-ერთ ასპექტად , რომელიც თავის მხრივ გავლენას ახდენს დანარჩენებზე.

მუსლიმური რიტუალები

• პირველი მათგანი არის წინადაცვეთა- ტერმინი-ხითან აღნიშნავს ორივეს, ვაჟების და გოგონების წინადაცვეთას. ამ წესის შესრულება რეკომენდებულია

ბავშვის დაბადებიდან მეშვიდე დღეს ან 13 წლამდე პერიოდში. ისლამური სამართლის მიხედვით, მშობლებს, ნათესავებს და ახლობლებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ჩაუტარონ ბიჭებს წინადაცვეთა სრულწლოვანებამდე. ამ რიტუალის წარმოშობას ერთნი უკავშირებენ ისლამამდელ ტრადიციას- მსხვერპლად შეეწირათ ღმერთისათვის სხეულის ნაწილი. სხვები მიიჩნევენ მას ვაჟკაცობის გამოცდად. არის ვერსია დაკავშირებული კლიმატურ პირობებთან, დემოგრაფიულ პრობლემებთან და პირად ჰიგიენასთან.

• ასევე საინტერესოა, დაკრძალვის წესი ისლამში- მუსლიმურმა სამართალმა შეიმუშავა წესების მთელი სისტემა „ მუსლიმთა გადასახლების შესახებ იმქვეყნიურ ცხოვრებაში“. დაკრძალვის სავალდებულო წესები შემდეგია: მიცვალებულს უხუჭავენ თვალებს, უკრავენ ყბას, მუხლებს და გულზე ხელებს უკრეფენ; თუ ფეხმძიმე ქალი გარდაიცვალა, მარცხენა მხარეს უნდა გაჭრან, ბავშვი ამოიყვანონ და შემდეგ გაკერონ; გარდაცვლილი უნდა განიბანოს სამჯერ. განბანვის შემდეგ მუსლიმის გვამს ახვევენ სუდარაში (კაფან). სასურველია სუდარა იყოს თეთრი ფერის. ჩვეულებრივ დაშვებულია ნებისმიერი ფერი, წითელის გარდა. გარდაცვლილზე სრულდება სპეციალური ლოცვა- სალათ ალ-მავთ. აკრძალულია ლოცვა თვითმკვლელის ან ურწმუნოს სახელზე; გარდაცვლილი მუსლიმი რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიკრძალოს. აუცილებელია მუსლიმი დაიკრძალოს მუსლიმთა სასაფლაოზე; დაკრძალვის ცერემონიალს ქალები არ ესწრებიან. საფლავში კეთდება ნიში და მიცვალებულს მარჯვენა გვერდზე, სახით მექის მიმართულებით დებენ. ქალის საფლავი უნდა იყოს უფრო ღრმა, ვიდრე მამაკაცის; ისლამური სამართალი არ იწონებს მიცვალებულის დატირებას, მაგრამ არ კრძალავს; საფლავის ქვაზე აღინიშნება მიცვალებულის სახელი, დაბადებისა და

გარდაცვალების თარიღები, აიები (მუხლები). გარდაცვლილის ახლობლებმა მისი ქონებიდან უნდა გასცენ მოწყალება ღარიბებზე

რელიგია და ხელოვნება

როდის გადაწყვიტა ადამიანმა ხელოვნება რელიგიისგან გააზრებულად გაემიჯნა? შესაძლებელია ეს ფაქტი მოხდა მაშინ, როდესაც იმპერატორ კონსტანტინეს მიერ 313 წელს გამოცხადებულმა მილანის ედიქტმა რჯულშემწყნარებლობის შესახებ შეცვალა საზოგადოების ცნობიერება გაკვეული საკითხების მიმართ, განსაკუთრებით ხელოვნების როლი და ხელოვანთა მსოფმხედველობა. მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს უფრო ადრე დაიწყო და საინტერესოა რა ხდებოდა მრავალი ათასი წლის წინ მაშინ, როდესაც ადამიანი პირველად მიხვდა მზის მნიშვნელოვნებას, რომ იგი ათბობს და ანათებს, ხოლო როცა ჩადის ბნელა და გრილა, შემდეგ კი აღმოაჩინა მზისა და ცეცხლის საერთო თვისებები და მზე მიუწვდომელ ძლიერ ძალად ჩათვალა, რასაც მზის საკრალიზაცია მოჰყვა, ხოლო მისმა გამოსახვის მცდელობამ განვითარება ჰპოვა გაუაზრებელ ხელოვნებაში, რელიგიური დანიშნულების ჭურჭელში, ქანდაკებასა თუ სხვა ნივთებში. საუკეთესო მაგალითია ძვ. წ. VII-VI საუკუნის მამაკაცის ბრინჯაოს ითიფალური ქანდაკებები, რომლებიც პრიმიტიული ორნამენტული დეკორითა და მარტივი გაფორმებით გამოჩევა.ადამიანი ცდილობს ნაყოფიერების ღმერთის ქანდაკება შეამკოს და დეკორატიულობა შესძინოს, რაც უკვე ესთეტიკურ სიამოვნებასთან არის დაკავშირებული და სარჩულად რელიგიური პათოსი უდევს. ამიტომ ამ შემთხვევაში ხელოვნება რელიგიისგან არ არის გათავისუფლებული.

მაგრამ საინტერესოა მეორე მხრივ რა შეიძლება ითქვას ალტამირას მღვიმეში აღმოჩენილ კედლის მხატვრობაზე, რომელიც ზედა პალეოლითურ ხანას მიეკუთვნება. იგი საკმაოდ დახვეწილი და მონუმენტურია, მკაცრი კონტურებითა და მკვეთრი წითელი ლაქებით სრულ ჰარმონიას ქმნის . შეუძლებელია უგულებელვყოთ მათი ესთეტიკის გამოძახილი და მხოლოდ მათი ცხოვრების

წესის გადმოცემად მივიჩნიოთ, რადგან მათი გამოსახვა ძალიან მარტივი, გეომეტრიული ფიგურების გამოყენებითაც შესაძლებელია. უნდა ვაღიაროთ, რომ პალეოლითის ხანის ადამიანი უკვე მხატვარია თანაც კარგად დახელოვნებული, იცის ფიგურის აგება და ასევე იცნობს ცხოველის ანატომიასაც.

•ფაქტია ხელოვნება ესთეტიკაა და ადამიანს ის ოდითგანვე ჰქონდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ფაქტიურად შეუძლებელია დავასახელოთ ადამიანის განვითარების ეტაპი, როდესაც რელიგიისა და ხელოვნების ცნობიერებაში გამიჯვნა მოხდა , რადგან რთულად გადასაწყვეტია ძვირფასი არტეფაქტები რომლებიც სამარხებსა თუ სასახლეებშია აღმოჩენილი, მათ მხოლოდ ესტეთიური დანიშნულება ჰქონდა თუ საკრალური?

რელიგია და ზნეობა

მოცემული პრობლემის გარკვევა შესაძლებელია ორი ერთმანეთთან დაპირისპირებულ პოზიციათა განხილვის შედეგად. ეს პოზიციებია, ერთის მხრივ პოზიცია, რომლის თვალსაზრისიც ასაბუთებს ზნეობის ღვთაებრივი წარმოშობის იდეას და თვლის, რომ ყოველი რელიგია, მიუხედავად მისი განსხვავებული მრწამსისა აღიარებს ზნეობრივი ნორმების ღვთაებრივ წარმოშობას. ამ თვალსაზრისის მიხედვით რელიგია, როგორც განსაკუთრებული ფენომენი, მიჩნეულია ზნეობის არა მხოლოდ არსებად, არამედ მის დამცველად, რომელსაც შეუძლია იხსნას კაცობრიობა დაღუპვისაგან. ამ თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, მეორე პოზიცია თვლის, რომ ზნეობას არ აქვს არავითარი კავშირი რელიგიასთან. იგი მხოლლოდ და მხოლოდ ადამიანთა 26 სოციალურ პირობებს, ცხოვრების მატერიალურ მხარეს უკავშირდება და პირდაპირ გამოდის საზოგადოებრივი განვითარების კანონებიდან, რისიც რელიგია შემაფერხებელია მხოლოდ.

აღნიშნული ამ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციის პრინციპებიდან გამომდინარე, იმის მიხედვით, თუ ვინ რომელს იზიარებს, ადამიანები იყოფა ორ კატეგორიად: - მორწმუნეებად და არამორწმუნეებად, ათეისტებად. მორწმუნეების პოზიციის მიხედვით რელიგიის არსებითი შინაარსი მდგომარეობს ღმერთის რწმენაში, ხოლო თვით ღმერთი წარმოდგენილია, როგორც ყოვლის შემძლე ძალა, რომელსაც არაფერი დაემალება და იმის მიხედვით განსჯის ადამიანების ბედს, თუ რას ჩაიდენენ ისინი, ღმერთისთვის სასურველს თუ არასასურველს. ამასთან, ადამიანის მიერ ღმერთისთვის სასურველი ქმედება ითვლება ზნეობრივად, ხოლო ვისაც არ სწამს ღმერთი, მას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს ჩაიდინოს ღმერთის საწინააღმდეგო ქმედება, რაც თავის მხრივ ფასდება როგორც უზნეო ქმედება

მუჰამედი და სიტყვა ისლამის ეტიმოლოგია

მუჰამადი, სრულად: აბუ ალ-ქასიმ მუხამად იბნ' აბდ ალლაჰ იბნ' აბდ ალ-მუთალიბ იბნ ჰაშიმ, დაბ. 770, მექა, 8 ივლისი 632 მედინა), ისლამის დამაარსებელი, ალაჰის მოციქული, წინასწარმეტყველი.

მუჰამადი 570-632 წლებში ცხოვრობდა. იგი ქალაქ მექაში, ღარიბი ვაჭრის აბდალაჰის ოჯახში დაიბადა; თვე და რიცხვი დაზუსტებული არ არის. მეტი ალბათობით ეს 570 წლის 20 აპრილს მოხდა. მუჰამედის დაბადება იმ დღეს დაემთხვა, როდესაც იემენის ეთიოპიელმა გამგებელმა აბრაჰამმა მექაზე წარუმატებლად ილაშქრა. ამ ლაშქრობაში საბრძოლო სპილოც მონაწილეობდა, რომელმაც დამხვდურებზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ იმ წელიწადს „სპილოს წელიწადი“ უწოდეს. მუსლიმები ამბობენ, მუჰამედი „სპილოს წელიწადს“ იშვა და არაბებს გამარჯვება მისმა დაბადებამ მოუტანაო.

მუჰამედი ადრე დაობლდა და მისი აღზრდა ბიძამ აბუ ტალიბმა იკისრა; მუჰამედმა ბავშვობა მოჯამაგირეობაში გაატარა. იყო მწყემსი, შემდეგ - ქარავნის გამყოლი (აქლემთა გამრეკავი). არსებობს გადმოცემა: იგი იმდენად კეთილშობილი ბავშვი ყოფილა, რომ მას „ალამანი“, ანუ „სანდო“ შეარქვეს.

დაახ. 595 წელს მუჰამედმა მდიდარი ქალი ხადიჯა (ჰადიჯა) შეირთო და ვაჭარი გახდა. ხადიჯა ვაჭრის შვილი იყო და, ორი ქმრის გარდაცვალების შემდეგ, თავადაც ვაჭრობას მიჰყო ხელი. მუჰამადი, როდესაც დაქორწინდა, ოცდახუთი წლის იყო; შეეძინა შვილები, მაგრამ ვაჟები ჩვილობის ასაკში დაიხოცნენ და ოჯახს ოთხი ქალიშვილი შერჩა: ზაინაბი, რუქია, უმ ქულსუმი და ფატიმა.

მექა და მისი შემოგარენი დიდ რელიგიურ ცენტრს წარმოადგენდა. წარმართი არაბების გვერდით ებრაელები და ქრისტიანები ცხოვრობდნენ. უფრო

მეტად იქ იმ აღმსარებლობის ქრისტიანები იყვნენ, რომლებსაც ბიზანტიაში ერეტიკოსებად (მწვალებლებად) იცნობდნენ და რომლებსაც ხელისუფლება სამშობლოდან აძევებდა. მექაში ყველას თავისი სალოცავი ჰქონდა. იქ, როგორც იტყვიან, რელიგიური პლურალიზმი (მრავალფეროვნება) სუფევდა. მექაში ყურადღებას, პირველ რიგში, ტაძარი ქააბა იპყრობდა. იქ ესვენა შავი ქვა, რომელიც, გადმოცემის მიხედვით, ალაჰმა (ღმერთმა) ადამს სამოთხიდან გამოძევების შემდეგ წყალობის ნიშნად გარდამოუვლინა. ადამის შვილმა შისმა (სეთიმ) მისთვის ტაძარი ქააბა (არაბ. „კუბი“) ააგო. წარღვნის დროს ეს ტაძარი ზეცაში იქნა ატანილი, შემდეგ კი დაინგრა და „ალაჰის მეგობრებმა“ - იბრაჰიმმა (აბრაამმა) და ისმაილმა განაახლეს. ამის შემდეგ დიდი პილიგრიმობა დაიწყო - სხვადასხვა რელიგიის აღმსარებლები მექაში ქააბას მოსალოცად ჩადიოდნე.

მუჰამადი ქააბას მომლოცველთა გვერდით იდგა, მაგრამ მას ებრაელთა სინაგოგებში და ქრისტიანთა ეკლესია-მონასტრებშიც ნახავდით. იგი ხშირად უდაბნოში ბერ-მონაზვნების მსგავსად განმარტოვდებოდა და გონებას ზეცად აღაპყრობდა. 610 თუ 612 წელს, როდესაც მუჰამადი ორმოცი წლის იყო, მას ანგელოზი გაბრიელი (არაბ. ჯიბაილი) გამოეცხადა და სულის მარგებელი სიბრძნე აუწყა. პირველ გამოცხადებას მეორე მოყვა და ა.შ. თითოეული სიტყვა, ე.ი. გამოცხადება, მთავრდებოდა მოწოდებით: „მოჰყევ!“ ანუ: სხვასაც უამბე, რაც მოისმინე! მუჰამადი ღვთის ნებას დაჰყვა და ამიერიდან იგი ერთი ღმერთის - ალაჰის - მოციქული გახდა.

მუჰამადის ქადაგებები თავდაპირველად მისმა ახლობლებმა, მეგობრებმა და ნათესავებმა, ირწმუნეს. მალე ხადიჯა გარდაიცვალა და მუჰამადმა ორი ცოლი

შეირთო. მათგან უმცროსი ერთ-ერთი პირველი თანამორწმუნისა და თანამებრძოლის აბუ ბაქრის ქალიშვილი იყო, - 9 წლის აიშა.

წარმართებმა მუჰამადის მოკვლა განიზრახეს. ამიტომ მან 622 წლის 24 სექტემბერს მექა დატოვა და ქალაქ იასრიბში გადასახლდა. ამ ემიგრაციას, არაბულად, - ჰიჯრას, მუსლიმთა ანუ ალაჰის მორჩილთა პირველი დიდი თემის ჩამოყალიბება მოჰყვა; აიგო მეჩეთი და ღვთისმსახურების ახალი წესი დაფუძნდა. ამ ფაქტს - ჰიჯრას - მუსლიმები იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ წელთაღრიცხვას იქიდან, 622 წლის 24 სექტემბრიდან, იწყებენ.

ახალ რჯულზე თითქმის მთელი ქალაქი მოექცა, რის გამოც მას, იასრიბს, მედინა (მადინა) ანუ „წინასწარმეტყველის ქალაქი“ ეწოდა.

630 წელს, ჰიჯრიდან 8 წლის შემდეგ, მუჰაჯირები (ლტოლვილები) მუჰამადის წინამძღოლობით მექაში დაბრუნდნენ, ბრძოლით აიღეს ქალაქი და იქ ზარ-ზეიმით შევიდნენ. არსებობს გადმოცემა, რომლის თანახმად მუჰამადი იერუსალიმსაც ეწვია და წმინდა ადგილები მოილოცა. ამიტომ მექა, მედინა და იერუსალიმი მუსლიმთა წმინდა ქალაქებია.

მუჰამადი 632 წლის 8 ივნისს, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, მექაში გარდაიცვალა. იქ იგი პილიგრიმად (მომლოცველად) შევიდა, რის გამოც ამ პილიგრიმობას „გამოსამშვიდობებელი პილიგრიმობა“ უწოდეს.

ასე შეიქმნა ისლამური სახელმწიფო, რომლის რელიგიური და პოლიტიკური სადავეები ერთი და იმავე პიროვნების ხელში აღმოჩნდა. პირველი ისლამური სახელმწიფოს მმართველისა და მთავარსარდლის მისია ისლამის

ფუძემდებელმა მუჰამადმა იკისრა. მისი საქმე მისმა ხალიფებმა, ე.ი. მოადგილეებმა, გააგრძელეს. ესენია: აბუ ბაქრი, ომარი, ოსმანი და ალი, რომლებმაც მუჰამადის ოცნებას - არაბი ტომების ისლამის დროშის ქვეშ გაერთიანებას - ხორცი შეასხეს. მეტიც: მათ არაბეთის საზღვრები გააფართოეს და VII-VIII სს-ის მიჯნაზე დიდი ისლამური იმპერია შექმნეს.

სიტყვა ,, ისლამი“ წარმოდგება არაბული ფუძისაგან ,,სელემე“,რაც მორჩილებას და მშვიდობას ნიშნავს. რწმენის თვალსაზრისით ისლამი

,ღმერთისადმი აბსოლიტურ და გულწრფელ მორჩილებას გულისხმობს.ლოზუნგი რომელსაც ისლამი აცხადებს არის ,,სიკეთე ამქვეყნიურ ცხოვრებაშიც და იმქვეყნიურშიც.(ყურანი, სურა 2, აია 201). სახელწოდება ისლამი , იგი არ არის შერქმეული რომელიმე ადამიანის,ან ჯგუფის მიხედვით,როგორც მაგალითად იუდაიზმი -იუდას ტომის მიხედვით, ქრისტიანობა -იესო ქრისტეს მიხედვით, ბუდიზმი -გაუტამა ბუდას მიხედვით და ა.შ. ასევე ისლამი არ არის ამ რელიგიისთვის ადამისნის მიერ შერჩეული სახელი.იგი ღმერთის მიერ გარდმოევლინა ამ სახელით.(სურა 3 ,აია 19). ისლამი არა მხოლოდ აღმოსავლეთის ან დასავლეთის , არამედ მსოფლიო რელიგიაა.

არაბები და ისლამი

არაბები სამხრეთ-დასავლეთ აზიაში არაბეთის ნახევარკუნძულზე ცხოვრობდნენ. აქ მცხოვრები ტომები სოციალ-ეკონომიკური ყოფით და

განვითარების დონით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან. ჩრდილოეთით მოსახლე არაბები,რომლებსაც ბედუინებს უწოდებდნენ, მომთაბარეობასა და ნადირობას მისდევდნენ. სამხრეთის ტომები მათ ქვეყნებზე გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზების ხარჯზე ცხოვრობდნენ. ძირითადი გზა, ე.წ "გუნდრუკის გზა", ხმელთაშუა ზგვის ქვეყნებს ინდოეთთან აკავშირებდა.

არაბთა ტომების გაერთიანება შეძლო მუჰამედმა.ის ღარიბი მექელი ვაჭრის შვილი იყო.იზრდებოდა გაჭირვებაში. ადრე დაობლდა. ამ პერიოდში გაეცნო სხვადასხვა ხალხებს და რელიგიებს, მათ შორის ქრისტიანობას და იუდევლობას. 24 წლის ასაკში დაქორწინდა მდიდარ ქვრივზე ხადიჯაზე და ვაჭარი გახდა.ორმოცი წლის მუჰამედს ხილვები დაეწყო. ის ამბობდა, რომ ალაჰის (ღმერთის) მიერ მოვლენილი მოციქული იყო იესოს შემდგომ. მექის მცხოვრებლების ნაწილი მასთან სახლში მიდიოდა და ქადაგებებს ისმენდნენ. (ეს ქადაგებები შემდგომ ჩაიწერა „ყურანში"). ისინი იყვნენ პირველი მუსლიმები, ანუ „ღმერთს მინდობილები"(მაჰმადიანი კი მუჰამედის მიმდევარს ნისშნავს). მექის წარჩინებულებმა არ მიიღეს მუჰამედი და მისი მიმდევრების დევნა დაიწყეს. სწორედ ამ დროს ტომების ურთიერთბრძოლით შეწუხებულმა მეზობელი ქ. იასრიბის მცხოვრებლებმა გაიგეს,რომ გამოჩნდა ახალი მოციქული, რომელიც ძმათა შორის მშვდობას ქადაგებდა.მათ მოიწვიეს მუჰამედი. 622 წელს მუჰამედი თავის მიმდევრებთან ერთად გადასახლდა იასრიბში (სხვა სახელი მედინა). ეს თარიღი, გადასახლება - „ჰიჯრა" ითვლება მუსლიმური წელთაღიცხვის დასაწყისად. შეიქმნა პირველი მუსლიმური თემი,რომლეშიც ყველა თანასწორი იყო. მალე მექელებმა ჯარი გამოგზავნეს იასრიბელების წინააღმდეგ. ბრძოლა მოხდა ბადრასთან

ბრძოლის წინ მუჰამედი ყველა ბრძოლის ველზე დაცემულ მუსლიმს სამოთხეს დაპირდა. რწმენამ მათ წარმატება მოუტანა. ამის სემდეგ სულ უფრო მეტი ადამიანი იღებდა ისლამს. 630 წელს მათ მექა აიღეს. მუჰამედი არაბთა მთავარ სალოცავ ტაძარში-ქააბაში შევიდა და ძველი კერპების ჩამოყრა ბრძანა.

ისლამი არაბთა მთავარი რელიგია გახდა. მუსლიმი ლოცვის დროს ქააბის მხარეს უნდა მთხვეოდა მიწას. რამადანის თვეში უნდა ემარხულა. აიკრძალა ღვინის სმა და აზარტული თამაშები. სამაგიეროდ დაუშვა მრავალცოლიანობა. თავად მას 9 ცოლი ჰყავდა,რომელთაგან უსაყვარლესი აიშა იყო. 632 წელს ის მექაში გარდაიცვალა.დაკრძალეს მედინაში.მისი სიკვდილის შემდეგ „მოციქულის მოადგილედ“ ანუ ხალიფად აბუ ბაქრი აირჩიეს.ხალიფას დედამიწაზე ალაჰის-ღმერთის ნება უნდა განეხორციელებინა. არაბთა სახელმწიფოს სახალიფო ეწოდა. ისლამი არაბების დროშა გახდა, მათ მიერ წარმოებულ დაპყრობებს - „წმინდა ომი ურწმუნოთა წინააღმდეგ“- „ჯიჰადი“.

ისლამის ძირითადი მცნებებია,რომ არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი-ალაჰი,რომ აუცილებელია ღარიბ-ღატაკების,ობლების დახმარება,მიტევება და სიკეთე.

ისლამის წარმოშობა:

- 569 წელს არაბეთში, ქალაქ მექაში დაიბადა მუჰამმედი.(569-632)

რომელმაც 610 წლიდან 632 წლამდე იქადაგა და ადამიანებს გააცნო ისლამი.

- ისლამი ერთადერთი სარწმუნოებაა რომელსაც გააჩნია რწმენის პირობები . რწმენის ექვსი პირობა:
- 1.ერთი ღმერთის (ალლაჰის) რწმენა. 2)ანგელოზების რწმენა.
- 3)წიგნების რწმენა (თევრათი-თორა -მოსე, ზებური-დავითის ფსალმუნები -დავითი,ინჯილი-სახარება-ისო, ყურანი-მუჰამმედი.)
- 4)შუამავლების რწმენა(ყურანი მოგვითხრობს 25 შუამავლის შესახებ)
- 5)განკითხვის დღის (საიქიოს)რწმენა
- 6)ბედისწერის რწმენა

საღვთო წიგნები და ტერმინები

yurani არაბული სიტყვაა და ქართულად „წაკითხვას“, „კითხვას“ ნიშნავს. ის წარმოადგენს ისლამის წინასწარმეტყველის მუჰამადის (მუჰამედის) (570-632) ქადაგებათა კრებულს, რომლებიც მუჰამადს, თვითონ ამ რელიგიის მიმდევართა, ანუ მუსლიმთა (მუსლიმანთა, მაჰმადიანთა) რწმენით, ღვთიური ზეშთაგონების მეშვეობით განეცხადა. ისლამის წინასწარმეტყველი მუჰამადი ცხოვრობდა არაბეთის ნახევარკუნძულის ჰიჯაზის მხარეში. ის დაიბადა ქალაქ მექაში და თავიდან მწყემსი, ხოლო მოგვიანებით წარჩინებული სოვდაგარი იყო. დაახლოებით ორმოცი წლისას ზეციური გამოცხადებები დაეწყო, რომელთა საფუძველზეც მოგვიანებით ჩამოყალიბდა რელიგია „ისლამი“, რაც არაბული სიტყვაა და ქართულად მორჩილებას, ღვთისათვის თავის მიძღვნას ნიშნავს. მუსლიმური გადმოცემის მიხედვით, პირველი ზეშთაგონება მუჰამადს მაშინ ეწვია, როცა იგი მშობლიური მექის ჩრდილოეთით მდებარე პატარა მთის – ჰირას გამოქვაბულში ლოცულობდა. ამ დროს მას გამოცხადებია ზებუნებრივი არსება, მუჰამადისათვის მიუცია ფარჩაზე ამოქარგული ნაწერი და არაბულად უთქვამს „იკრა’!“ ეს სიტყვა ქართულად „წაიკითხეს!“ ნიშნავს. მუჰამადს მიუგია, კითხვა არ ვიციო, თუმცა ზებუნებრივ არსებას კიდევ ორჯერ გაუმეორებია თავისი ბრძანება და მუჰამადისათვის ნაწერის წაკითხვა დაუძალებია. მკვლევართა გამოთვლით, ეს მოვლენა დაახლოებით ჩვ. წ. 610 წელს უნდა მომხდარიყო. მუსლიმური ტრადიციით კი, გამოცხადება ისლამური კალენდრის მეცხრე თვის, რამადანის (ან – რამაზანის), 27 ან 28 რიცხვში დაიწყო. ამის გამო, მოგვიანებით, რამადანის თვეში დაწესდა მარხვა, რომლის შენახვაც ყველა მუსლიმისათვის სავალდებულოდ გამოცხადდა. მუსლიმთა წარმოდგენით, არსება, რომელიც ამის შემდეგ მუჰამადს თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში დროგამოშვებით ეცხადებოდა და ღვთიურ დანაბარებს გადასცემდა, რათა წინასწარმეტყველს ეს ყველაფერი ხალხისათვის ემცნო, ანგელოზი ჯიბრიირელიგია ქალაქ მექის ხედი

ანგელოზი ჯიბრიილი (მთავარანგელოზი გაბრიელი) არ იცის, ვისაც არ უსწავლია წინა რელიგიათა საღვთო წერილები. 610 წლიდან, ანუ გამოცხადების დასაწყისიდან 632 წლამდე – მუჰამად წინასწარმეტყველის გარდაცვალებამდე – დაახლოებით ოცწლიანი პერიოდი ყურანის გამოცხადების ძირითადი წლებია. ამ ხნის განმავლობაში დროდადრო მუჰამადს ეუფლებოდა ზებუნებრივი მდგომარეობა და ამ დროს იგი ზეპირად ქადაგებდა ლი (ჯაბრაილი, ჯიბრაილი) იყო. მოგვიანებით, ზოგმა მკვლევარმა ამ ანგელოზის იდენტიფიკაცია იუდეური და ქრისტიანული ტრადიციის მთავარანგელოზ გაბრიელთან მოახდინა. ყურანის ზემოთ მოთხრობილი პასაჟიდან, უფრო ზუსტად კი, ანგელოზის ბრძანებიდან წამოვიდა კიდევ ერთი ტრადიციული წარმოდგენა, რომლის თანახმადაც, მუჰამადი წერა-კითხვის უცოდინარი კაცი იყო. ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო ამყარებდა ის გარემოება, რომ თვითონ ყურანში მუჰამადს რამდენჯერმე მოიხსენიებენ ეპითეტით „ამი“, რაც პირდაპირ მართლაც „უწიგნურს“, „წერა-კითხვის უცოდინარს“ ნიშნავს. თუმცა ბოლო დროს ისლამოლოგიაში გამოითქვა საფუძვლიანი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ყურანის ფრაზა „იკრა’!” ნიშნავს არა „წაიკითხე!“-ს, არამედ „იქადაგე!“-ს, ეპითეტი „ამიი“ კი გულისხმობს არა საერთოდ წერა-კითხვის უცოდინარ ადამიანს, არამედ კაცს, ვინც 32 ღმერთის სიტყვას, რასაც მისი მიმდევრები სხვადასხვა საშუალებით იწერდნენ ან ზეპირადვე იმახსოვრებდნენ. ყურანის ფრაგმენტების პირველ ჩანაწერებს უმთავრესად პალმის ხის ქერქზე ან ბრტყელ ქვებზე აკეთებდნენ, ეს ჩანაწერები კი მის ერთგულ მიმდევრებთან გროვდებოდა. მუჰამადმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო ამ ჩანაწერების თავმოყრა და სისტემატიზაცია. თუმცა ყურანშივე არის მინიშნება იმის თაობაზე, რომ სიცოცხლის ბოლო წლებში ისლამის მოციქული ცდილობდა ამ საქმის გაკეთებას და ქადაგებების ერთ წიგნად ჩამოყალიბებას, „იუდეველთა და ქრისტიანთა საღვთო წერილების მსგავსად“.

იგი ამ საქმის დასრულებამდე გარდაიცვალა, ერთად თავმოყირილი ჩანაწერები კი მის მდივნებთან და რამდენიმე მიმდევართან დარჩა.

მუსლიმური ტრადიცია ასახელებს იმ რამდენიმე ადამიანს, რომლებიც ყურანის ამ თავდაპირველ ჩანაწერებს აგროვებდნენ. ესენი იყვნენ წინასწარმეტყველის ის მიმდევრები, რომელთაც მუჰამადის შემდგომ ისლამის ბედზე განსაკუთრებული გავლენა იქონიეს, მათ შორის: ალი, სალიმი, აბუ მუსა, ოსმან იბნ აფანი, აგრეთვე ხალიდ იბნ საიდი და უბაიდა იბნ ქაყბა. ბუნებრივია, რომ თითქმის მუჰამადის გარდაცვალებისთანავე მისმა რამდენიმე მიმდევარმა ამ ჩანაწერების თავმოყრა გადაწყვიტა და მკვლევართა განცხადებით, ასეთი ვერსიის, სულ მცირე, ხუთი ვარიანტი შეიქმნა. ყურანის ავთენტური ტექსტის შედგენის გადაწყვეტილება კი უკავშირდება ისლამის ისტორიის იმ კრიტიკულ ხანას, როცა მუჰამადის სიკვდილის შემდგომ ბევრი არაბული ტომი მოციქულის შემცვლელის ე.წ. „ხალიფის“ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოვიდა და მიმდინარეობდა ბრძოლა მედინური საზოგადოების ძალაუფლების გასამყარებლად არაბულ თემზე. პირველად სწორედ მაშინ გაცხადდა მუსლიმური თემის წინაშე გადაუდებელი აუცილებლობა, რომელიც მოციქულის დანატოვრის, მისი ქადაგებების თავმოყრას, ფიქსაციასა და სისტემატიზაციას გულისხმობდა. სწორედ მაშინ გაჩნდა ე.წ. „ას-სუჰუფ ალ-ბაქრიია“, ანუ „ადრეული გრაგნილები“, რომელთა შეგროვება, ისლამური გადმოცემის მიხედვით, წინასწარმეტყველის შემცვლელის, ხალიფა აბუ ბაქრისაგან მუჰამადის მდივანს – ზაიდ იბნ საბითს – დაევალა. ყურანის ტექსტზე მუშაობის მეორე ეტაპი უკავშირდება უკვე სხვა პერიოდის განსხვავებულ მოთხოვნებს, როცა ძლევამოსილი ისლამური ჯარები თითქმის ერთმანეთის მიყოლებით დაეუფლნენ ერაყს, სირიასა და ეგვიპტეს. ისლამის ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე გავრცელებამ და ვეებერთელა სახელმწიფოს პროვინციათა მართვის ადგილობრივი რელიგიური ცენტრების ჩამოყალიბებამ

ყურანის ერთიანი, უნიფიცირებული ტექსტის გამოცემის აუცილებლობა მთელი სიმწვავით დააყენა.

მუსლიმური წყაროების თანახმად, სწორედ ამ ცენტრებში, კერძოდ, მექაში, მედინაში, დამასკოში, ქუფასა და ბასრაში განვითარდა ტექსტის გადაცემის ადგილობრივი ტრადიციები, რომელთაც მუჰამადის იმ მიმდევრებს უკავშირებენ, ბედმა და საქმის ვითარებამ სხვადასხვა დროს ამ ქალაქებში რომ გადატყორცნა. გადმოცემით, ჰიმსსა და დამასკოში მუაზ იბნ ჯაბალის ვარიანტს მიჰყვებოდნენ, ქუფაში – იბნ მას'უდისას, ბასრაში – აბუ მუსა ალ-აშ'არისას, ხოლო მთლიანად სირიაში უბაია იბნ ქაყბას ვარიანტით ხელმძღვანელობდნენ. ტექსტის აღნიშნული ვერსიები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა გამოცხადებათა რიცხვისა და განლაგების მიხედვით, ცალკეული სიტყვებითა თუ გამოთქმებით, რიგი ორთოგრაფიული თავისებურებებით. ზოგან გამორჩენილი იყო, ზოგან კი, პირიქით, – დამატებული ესა თუ ის სიტყვა ან წინადადება. წმინდა წერილის განსხვავებული წაკითხვები კი მუსლიმურ საზოგადოებას შიდა განხეთქილებით ემუქრებოდა. უზენაეს ხელისუფლებაზე გაჩაღებული კამათის გამო თემის შიგნით ისედაც, ამის გარეშეც, უკვე მიმდინარეობდა ცხარე ბრძოლები. საშიშროებას კი კიდევ უფრო ამძაფრებდა ის გარემოება, რომ მუსლიმები მათ მიერ დაკავებულ ვრცელ ტერიტორიებზე ახლო აღმოსავლეთში გავრცელებული რელიგიური სისტემის, დოქტრინებისა და შეხედულებების ზღვას შეეჯახნენ. ამ ვითარებაში მესამე ხალიფამ უსმანმა (ოსმანმა) მედინაში, სადაც, გასაგები მიზეზების გამო, ყურანის ადრეული ჩანაწერების შეგროვებისა და სისტემატიზაციის ტრადიცია ყველა სხვა ქალაქზე უფრო მძლავრი იყო, საღვთო წერილის ერთიანი რედაქციის შემუშავების გადაწყვეტილება მიიღო. ასეთი ტექსტი, რომელსაც „ალ-იმამს“ (ანუ „მეთაურს“) უწოდებენ, მედინაში შემონახული ერთ-ერთი ძირითადი

ვერსიის საფუძველზე და ყველა იმ ჩანაწერის გათყურანის ერთ-ერთი უძველესი ხელნაწერი, ე. წ. ქუფური. ხელით. ვალისწინებით, რომელთა სინამდვილესაც ორი სათანადო მოწმე დაადასტურებდა, მედინაშივე 650-656 წლებში შეადგინა სპეციალურმა კოლეგიამ. კოლეგიას ხელმძღვანელობდა მუჰამად წინასწარმეტყველის მდივანი ზაიდ იბნ საბითი. აღნიშნული ტექსტის რამდენიმე ხელნაწერი სახალიფოს უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ ცენტრებში (მექაში, ბასრაში, ქუფაში, დამასკოში, ზოგი ცნობით კი, ეგვიპტესა და ბაჰრეინშიც) დაიგზავნა. გადმოცემის თანახმად, სრული ერთიანობის უზრუნველსაყოფად, ხალიფა ოსმანის ბრძანებით დაწვეს და გაანადგურეს ყურანის ყველა სხვა ვერსია, რომელიც ამ ძირითად ტექსტთან შედარებით რაღაც განსხვავებას შეიცავდა. თუმცა, იმის მიუხედავად, რომ თავიდან მუსლიმური საზოგადოება ოსმანის წამოწყებას გაგებით მოეკიდა და ზაიდ იბნ საბითის ტექსტსაც სიხარულოთ შეხვდა, მაინც ყველა არ აღმოჩნდა მზად, დასაწვავად და გასანადგურებლად გაემეტებინა მისთვის ღირებული და უნიკალური ხელნაწერები. გადმოცემის თანახმად, მაგალითად, იბნ მასყუდს ამ ბრძანების შესრულებაზე უარი უთქვამს და განუცხადებია: „მე ყურანს ჯერ კიდევ მაყურანი 35 შინ ვაგროვებდი, როცა ზაიდ იბნ საბითი წარმართი დედის მუცელში იჯდაო“. გარდა ამისა, იმხანად ჯერ კიდევ მრავლად იყო ხალხი, ვისაც ზეპირად ახსოვდა უსმანის წესისაგან განსხვავებული ყურანის ამა თუ იმ ფრაგმენტის წაკითხვები. მიუხედავად ამისა, ოსმანისეული რედაქცია თანდათან იკავებდა შეუცვლელ ადგილს და საბოლოოდ ის უპირობოდ დამკვიდრდა მთელ მუსლიმურ აღმოსავლეთში, როცა ყურანის ტექსტის წაკითხვის პრობლემები დაარეგულირა არაბულ მუსლიმური ფილოლოგიის ორმა დარგმა: ილმ ალ-კირა’ამ (ანუ ყურანის სწორი წაკითხვისა) და ილმ ალ-თაჯვიდმა (ტექსტის სწორი რეციტაციის მეცნიერებამ) ყურანის კანონიკურ ტექსტში გამოცხადებების ფრაგმენტები,

ქრონოლოგიურად, ზეგარდმოვლენის დროის მიხედვით არ არის დალაგებული. ის აგებულია ამ ფრაგმენტთა სიდიდის მიხედვით, უდიდესიდან უმცირესისაკენ. გამონაკლისს წარმოადგენს პირველი ფრაგმენტი („სურა ალ-ფათიჰა“ – გამხსნელი, გამღები სურა) რომელსაც სარიტუალო ისლამისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ის იკითხება, როგორც ლოცვა ნებისმიერი მნიშვნელოვანი რელიგიური რიტუალისა თუ საქმის დაწყების წინ. ყურანი დაყოფილია 114 არათანაბარ თავად, რომელსაც ეწოდება „სურა“. ამ სიტყვის ბევრნაირი ეტიმოლოგია არსებობს, ერთ-ერთი ვერსიით, სურა უნდა მომდინარეობდეს ებრაული „შურასაგან“, რაც ნიშნავს აგურის მწკრივს შენობის კედელში. თითოეული სურა, თავის მხრივ, იყოფა რიტმულად მოწესრიგებულ მუხლებად, რომელსაც არაბულად „აია“ (სასწაული, ღვთიური ნირელიგია მუჰამადი და მეტაფიზიკური არსება ბურაკი. შანი) ეწოდება. აიათა რიცხვი სხვადასხვა სურაში სხვადასხვაა. გარდა ამისა, ტექსტი, უკვე რიტუალური მიზნით, დაყოფილა 30 თანაბარ ნაწილად, ე.წ. ჯუზ’ად და თავიდან ჯუზ’ების რაოდენობა გათვლილი იყო წლიურ ციკლზე, იმაზე, თუ მორწმუნეს ამა თუ იმ პერიოდში საღვთო წიგნის რამდენი ნაწილი უნდა წაეკითხა. ყურანის მხატვრულ სტილს არაბულად საჯ’ი ეწოდება. საჯ’ი რითმანარევი რიტმული პროზაა და ტრადიციულ არაბულ პოეტიკაში მას სალექსო ფორმად არ მიიჩნევდნენ. როგორც ლიტერატურული ძეგლი, ის მართლაც გამორჩეული ნიმუშია და საუცხოო ემოციურ ზემოქმედებას ახდენს მსმენელსა თუ მკითხველზე. მუჰამად მოციქულის მოღვაწეობის ორი ძირითადი პერიოდისა და სამოღვაწეო ქალაქების მიხედვით ყურანის სურებიც ორ ძირითად ჯგუფად – მექურ და მედინურ სურებად – იყოფა. კანონიკური ტექსტი – უმაღლესი რელიგიური ორგანოების მიერ აღიარებული და ნებადართული, მიღებული ტექსტი ეტიმოლოგია –ამა თუ იმ სიტყვის წარმოშობა-ისტორია, ასევე მისი პირვანდელი მნიშვნელობა. 36 სპეციალისტების აღიარებით, მექური

სურების სტილი, საზოგადოდ, უფრო ექსპრესიულია, ფერადოვანი და პოეტური, ხოლო მედინური სურები გარკვეული სიმძიმით, ყოფითი რეალიების სიუხვითა და საკანონმდებლო აიების სიჭარბით გამოირჩევა. რამდენადმე განსხვავებულია მექური და მედინური სურების თემატიკაც. მოღვაწეობის პირველ პერიოდში მუჰამადის გამოცხადებები ადამიანური ყოფიერების მეტაფიზიკურ პრობლემებს მოიცავს, მედინური პერიოდის სურებში კი ძირითადი აქცენტი, მორწმუნე საზოგადოებისა და, საერთოდ, თეოკრატიული სახელმწიფოს მოწყობის პრინციპებზე გადადის. წიგნი დაფუძნებულია მკაცრი მონოთეიზმის, ერთღმერთიანობის, იდეაზე. ყურანის მიხედვით, სამყაროს შემოქმედი და უპირობო მეუფეა ერთადერთი ღმერთი, რომლის სახელიც დაფარულია და მის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ე.წ. „ალ-სამა' ალ ჰუსნა“ – „უმშვენიერესი სახელები“ – 99 ეპითეტი, რომლებშიც ღმერთის ესა თუ ის თვისებაა კონდენსირებული. არსებითად, ერთ-ერთი ეპითეტია „ალ-ლაჰ“, რომელსაც შეცდომით „მაჰმადიანთა ღმერთის სახელად“ მიიჩნევენ. სინამდვილეში ეს არის სიტყვა „ილაჰუნ” (ღვთაება, ღმერთი), რომელიც ალ არტიკლით განსაზღვრისას გვაძლევს ფორმას „ალლაჰუ“ და ერთადერთ ღმერთს აღნიშნავს. ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის ტრადიციას საფუძველი ადამის შექმნიდან ეყრება და ამიტომაც მუსლიმურ ტრადიციაში ადამი არის პირველი წინასწარმეტყველი ან მოციქული. დროის განზომილებაში შემოსვლის შემდეგ კი სამყაროს შემოქმედი პერიოდულად ადამიანთა საზოგოებებთან აგზავნიდა კაცს, რომელსაც ამ საზოგადოებებიდანვე ირჩევდა და რომელსაც ხალხისათვის თავისი მცნებების გადაცემას ავალებდა.

ყურანი ამ მოციქულთა რიცხვს არ ასახელებს, მოგვიანო მუსლიმური ტრადიციის თანახმად კი, მთელი ისტორიის განმავლობაში სულ 24 ან 25 ათასი მოციქული იყო, რომელთაგან ზოგი განსაკუთრებული მნიშვნელობისაა,

კერძოდ, ის მოციქულები, რომლებიც მუსლიმთა საღვთო წიგნში სახელებით არიან მოხსენიებული. მაგალითად, მუსა (მოსე), იბრაჰიმი (აბრაამი), ია'ყუბი (იაკობი), სალიჰი, ჰუდი, ისა (იესო) და სხვა. ყურანის მიხედვით, სამოციქულო ტრადიციას ასრულებს მუჰამადი, რომლის შემდგომაც აღარ იქნება არანაირი მოციქული. სწორედ ამიტომ, ყურანსა და მუსლიმურ ტრადიციაში მუჰამადის გავრცელებული ეპითეტია „ხათიმ ალ-ანბია“, ანუ „წინასწარმეტყველთა ბეჭედი“. როგორც ყველა რელიგია, ისლამიც საიქიო, იმქვეყნიური ცხოვრების, ანუ „ალ-ღაიბის“ (დაფარულის, თვალით უხილავის) რწმენას ეფუძნება. შესაქმე ორ ნაწილად არის დაყოფილი: რელიგია ად-დუნიად (არაბ. „უახლოესი“), ანუ „წუთისოფლად“, და ალ-ახირად (არაბ. „უკანასკნელი”) – ზესთასოფლად. ეს წუთისოფელი მხოლოდ „გართობა და თამაშია“, გამოცდაა, მოსამზადებელი ეტაპია ზესთასოფლისათვის, სადაც ადამიანი განვლილი ცხოვრების სიკეთის საზღაურად ანდა ბოროტების სამუქაფოდ სამოთხეში ან ჯოჯოხეთში მიდის. თუმცა სამოთხისა და ჯოჯოხეთის გარდა, ყურანი იცნობს იმქვეყნიური ყოფიერების კიდევ ერთ შრეს – ალ-ბარზახს, რომელიც რაღაც შუალედურია სამოთხესა და ჯოჯოხეთს შორის და ერთგვარ განსაწმენდელს წარმოადგენს. სამოთხეცა და ჯოჯოხეთიც ყურანში ექსპრესიულად, მაღალმხატვრულად არის აღწერილი. იმქვეყნიური ცხოვრების რწმენა ბოლო ჟამის რწმენასაც გულისხმობს. ბოლო ჟამის, ანუ სამყაროს აღსასრულის ზუსტი დრო (ას-სა'ა) არავინ უწყის, თვინიერ ალაჰისა, მაგრამ ის აუცილებლად დადგება, „ახლოსა არის“ და მისი მაუწყებელი იქნება ის, როცა „ჩაბერავენ საყვირში“. ბოლო ჟამის მაცნე ანგელოსის სახელი თვითონ ყურანში არ იხსენიება. მოგვიანო ხანის მუსლიმური ტრადიცია მას ისრაფილს არქმევს. როცა ისრაფილი, ალაჰის ნებართვით, საყვირში ჩაბერავს, მაშინ, ყურანის თანახმად, „ჩამოვარდება მზე და მთვარე გადაიპობა“, ხოლო ზეცა „ჩირქიანი კანივით ეკიდება“. ამ დროს მკვდრეთით აღდგებიან გარდაცვლილნი.

ღმერთი განსჯის მათ და ცოდვილთ ჯოჯოხეთში, ხოლო მართალთ სამოთხეში განაწესებს. ყურანი არაბული ენის იმ ჰიჯაზურ დიალექტზეა ზეგარდმოვლენილი, რომელიც შემდგომ სალიტერატურო არაბულის (ალ-ფუსჰას) საფუძვლად იქცა. თვითონ ყურანის ტექსტში რამდენჯერმეა აღნიშნული, რომ ეს გამოცხადება მოცემულია „მკაფიო, არაბული ენით“. ამან შემდგომში სათავე დაუდო მთელ მუსლიმურ სამყაროში არაბულის წმინდა ენად გამოცხადებას და თვითონ ყურანის უთარგმნელობის იდეასაც. თუმცა შემდგომში მთელ მუსლიმურ სამყაროში, ძირითადად, ტექსტის უკეთ გაგებისა და განმარტების მიზნით, ყურანის სხვა მუსლიმურ ენებზე გადმოღება მაინც მიმდინარეობდა. ის შუა საუკუნეე38 ბიდანვე ინტენსიურად ითარგმნებოდა ევროპულ ენებზეც. ამ ვითარებაში საკვირველია, რომ ქართულად ყურანის სრული თარგმანი მე-20 საუკუნის დასაწყისამდე არ გვქონია. თუმცა გამოთქმულია ვარაუდი, რომ ძველად არსებობდა ამ წიგნის რამდენიმე თარგმანი, რომელიც დროთა ვითარებაში, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი მოსაზრებების გამო, არ შემონახულა. ამ ვარაუდს ამყარებს ის გარემოება, რომ რამდენიმე ორიგინალურ ქართულ ძეგლში დადასტურებულია ყურანის რამდენიმე ფრაზა, რომელიც ორიგინალის თითქმის ზედმიწევნით თარგმანს წარმოადგენს. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ ყურანის პირველი ქართული თარგმანი 1906 წელს გამოიცა და ის ფრანგულიდან შეასრულა თავის დროისათვის ცნობილმა მთარგმნელმა და საზოგადო მოღვაწემ პეტრე მირიანაშვილმა. ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, მირიანაშვილს ყურანის ტექსტი ილია ჭავჭავაძის დავალებითა და უშუალო მონაწილეობით უთარგმნია. ყურანის პირველი ქართული თარგმანი კი, რომელიც არაბული დედნიდან ითარგმნა და თან განმარტებების ვრცელი კორპუსი ახლავს, გიორგი ლობჟანიძეს ეკუთვნის. ეს თარგმანი, რომელიც ევროპული ფონდის „ჰორიზონტის“ დაფინანსებით, მირიანაშვილის თარგმანიდან ზუსტად ასი

წლის შემდეგ, ანუ 2006 წელს გამოსცა „კავკასიურმა სახლმა“ როგორც საქართველოში, ასევე ქვეყნის გარეთ (კერძოდ, ირანში) უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პრემიებით აღინიშნა.

ყურანი (القرآن ალ–ყურ`ან „საკითხავი“ القرآن القودس ალ-ყურ`ან ალ–ყუდუს „წმიდა საკითხავი“) — წმიდა წიგნი. მუჰამმედ შუამავლის მიერ ზეშთაგონების დროს წარმოთქმული ქადაგებები (მექასა და მედინაში, 610-623 წწ.) დაწერილია არაბულ ენაზე. შედგება 114 სურისაგან, რომლებიც თავის მხრივ შედგება აიებისაგან. ყველაზე დიდი სურაა ალ-ბაყარაჰ 2–ე სურა, რომელიც 286 აიისგან შედგება, ყველაზე მცირეა ალ-ქავსარი, 108-ე სურა, რომელიც 3 აიისგან შედგება. გამოქვაბული ჰირა, სადაც მუჰამედს შუამავალს ჰქონდა პირველი გამოცხადება 610 წელს. მუსლიმებისთვის ყურანი აწესებს ცხოვრების წესსა და დოგმებს. ყურანი ასევე მოგვითხრობს 25 შუამავლის შესახებ,მაგ: ადამი, ნოე (ნუჰი), აბრაამი (იბრაჰიმი), მოსე (მუსა), დავითი (დავუდი), იესო (ისა) და სხვანი. ყურანი მკვეთრად უპირისპირდება სამებას და აღიარებს ღმერთის (ალაჰის) ერთადერთობას „ლა ილაჰა ილლა ალლაჰ -არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი, ღვთაება , გარდა ერთი ღმერთის. ასევე ყურანი მოიცავს მეტად სამეცნიერო ფაქტებს, რომელიც მეშვიდე საუკუნეში ჯერ კიდევ უცნობი იყო კაცობრიობისათვის და მეცნიერებამ ბოლო საუკუნეების მანძილზე შეძლო მისი აღმოჩენა. მაგ:ადამიანის გაჩენა,თუ როგორ ჩაისახება და ვითარდება ადამიანი დედის ორგანიზმში.და ა.შ. მთელი წმინდა წიგნების ისტორიაში ყურანში პირველადაა კათეგორიულად აკრძალული ადამიანის წარმომავლობის, კანის ფერის და ეროვნების მიხედვით განსხვავება (ყურანი, 49-ე სურა; 13-ე აია). ყურანი დღესაც რჩება როგორც წმიდა წიგნად, რომელშიც მე-7 საუკუნიდან დღემდე მოყოლებული არ შეცვლილა. მუსულმანები თვლიან ყურანს ყოველი წმინდა წერილის დასასრულად და ყოველი მუსლიმანი ვალდებულია ირწმუნოს ყურანის წინ მოსული წმინდა წიგნები, როგორიცაა თორა, დავითის ფსალმუნები და სახარება.

რელიგიური მიმდინარეობები და ძირითადი ტერმინები

ისლამში ორი ძირითადი მიმდინარეობაა:სუნიზმი -სუნიტი და შიიზმი -შიიტი.

სუნიტი-არის ფუნდამენტური ისლამის ყურანის და სუნას მიმდევარი .ხოლო შიიზმი ეს არის პოლიტიკური განშტოება რომელიც წარმოიშვა მუამმედის სიკვდილის შემდეგ. ,,ისლამი''- მორჩილება,მშვიდობა .

,,მუსლიმი"-მორჩილი.

,,შაჰადა"-დამოწმება

,,სალათი"-ლოცვა

,,ზექათი" -მოწყალება

,,სავმ - სიამ"-მარხვა,რაიმისაგან შორს დგომა,თავის შეკავება.

,,ჰაჯობა"-პილიგრიმობა,წმინდა ადგილების მოლოცვა.

ჰადისი:ცნობები მუამმედზე,მისი გამონათქვამები,მოწონებული საქმეები ,ქცევები და მოწოდებები. სუნნათი -მუჰამმედის შესრულებული და მოწონებული საქმეები.

მიმართულებები და ისლამის პირობები

შიიზმი

შიიტები პირველ ოთხ ხალიფად აღიარებენ მხოლოდ ალის, ხოლო დანარჩენ სამს უზურპატორებად თვლიან. შიიტური თვალსაზრისით, თემის უზენაესი ხელისუფალი

უნდა იყოს მოციქულის შთამომავალი. შიიტების შეხედულებით, პირდაპირი კონტაქტი ღმერთთან მუჰამედის შემდეგ არ შეწყვეტილა და ეს მისია დაეკისრათ მოციქულის შთამომავლებს - იმამებს. შიიტები თავდაპირველად წარმოადგენდნენ პოლიტიკურ ჯგუფს, რომელიც თავიდანვე მხარს უჭერდა ხალიფას ტახტზე მუჰამედის ბიძაშვილისა და სიძის, ალის კანდიდატურას. სამხედრო- პოლიტიკურმაწარუმატებლობებმა, ალის მკვლელობამ, მისი ვაჟის ალ-ჰუსაინის ტრაგიკულმა დაღუპვამ (რაც შიიზმში მოწამეობრივი კულტის საფუძველი გახდა), სხვადასხვა აჯანყების მარცხმა და სხვ., ხელი შეუწყო შიიტთა წრეში რელიგიური ძიებების განვითარებას, პოლიტიკური დაჯგუფებებიდან შიიზმის რელიგიურ- პოლიტიკურ მიმდინარეობად ჩამოყალიბებას. არსებობს მრავალი შიიტური მიმდინარეობა. მათგან დღეს ყველაზე მრავალრიცხოვანია იმამიტების შტო, რომლებსაც ჩვეულებრივ შიიტებად მოიხსენიებენ. იმამიტები აღიარებენ თორმეტ იმამს ალის საგვარეულოდან. მათგან უკანასკნელი, მათი მრწამსით, X საუკუნეში გაუჩინარდა და ამჟამად "ფარულ" მდგომარეობაშია. ის, მესიის მსგავსად, უნდა დაბრუნდეს განკითხვის დღეს და სამართლიანობა დაამყაროს ამ ქვეყნად. ამჟამად სუნიტები შეადგენენ მსოფლიოს მუსულმანური მოსახლეობის დაახლოებით 80%-ს. შიიტები აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ ირანის ისლამურ რესპუბლიკაში, ასევე მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ ერაყში, ქუვეითსა და ლიბანში.

სუნიზმი

მუსლიმანთა საზოგადოება დაარსების პირველი ასწლეულიდან ორ ნაწილად: სუნიტებად და შიიტებად გაიყო. სუნიტები თავს თვლიან ,,სუნას'' - მუჰამედისა და მისი მოწაფეების ცხოვრების ამსახველი წიგნის- მიმდევრებად. იგი ისლამის ძირითადი მიმართულებაა და ითვლება ორთოდოქსულად. მიჩნეულია, რომ სუნიზმი, შიიზმთან შედარებით, დემოკრატიული, ლმობიერი, შემწყნარებელი და სწავლა-განათლების პატივისმცემელი კონფესიაა. შიიტების პარტია (არაბ. შია-სექტა, პარტია, მიმდევართა ჯგუფი) შეიქმნა არაბთა სახალიფოში VII ს-ის შუა წლებში, როგორც ერთ-ერთი პოლიტიკური დაჯგუფება. იგი, სუნიტებისაგან განსხვავებით, კანონიერ ხალიფად (იმამად) მხოლოდ მუჰამედის ასულის ფატიმასა და მისის მეუღლის ალის შთამომავლებს თვლიდა და მათი უფლებების დასაცავად გამოდიოდა. ეს პარტია პოლიტიკურ სარბიელზე დამარცხდა, მაგრამ გადაიზარდა რელიგიურ-პოლიტიკურ მიმართულებად. ისინი ჯიუტად აღიარებდნენ ალისა და მისი შთამომავალი 12 იმამის (ალიდების) კანონიერ ხელისუფლებას და უკანონოდ აცხადებდნენ არაბეთის პირველ ხალიფებს - აბუ ბაქრის, ომარს, ოსმანს და სხვათ. ამ უკანასკნელთა გვერდით მუჰამედის საყვარელი ცოლი აიშა იდგა. ალის მიმდევრებმა (შიიტებმა) არ ირწმუნეს ,,სუნა'' და სუნიტებს გაემიჯნენ. ანტაგონიზმმა სუნიტებსა და შიიტებს შორის მწვავე ხასიათი მიიღო, რაც არაერთხელ გადაზრდილა რელიგიურ ომებში.

ისლამის პირობები

1)ქელიმეი შაჰადათი-რწმენის დამოწმება.

მოწმე ვარ რომ არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი,ღვთაება გარდა ერთი ღმერთის ,ალლაჰის, და ასევე მოწმე ვარ რომ ,მუჰამმედი ღმერთის მონა-მსახური და ბოლო შუამავალია.

2) ლოცვა-:ყველა მორწმუნემ ყოველდღიურად უნდა აღავლინოს დღეში ხუთჯერადი ლოცვა :განთიადისას,შუადღისას,სამხრობისას,საღამოს და ღამით-ძილის წინ.

3) მოწყალება-:მორწმუნემ-მუსლიმმა უნდა გაიღოს თავისი წლიური დანაზოგის ,ფულის,საქონლის ან სხვა ნებისმიერი უძრავი თუ მოძრავი ქონების 1/40 ნაწილი 2.5%.რომლის გადახდაც ევალებათ მდიდარ ადამიანებს და შეგროვილი მოწყალება გადაეცემათ გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს.

4) მარხვა -დროის მონაკვეთის მანძილზე -განთიადიდან მზის ჩასვლამდე ჭამა-სმისგან და სვხვა ნებისმიერი ხორციელი სიამეებისგან(სქესობრივი კავშირისგან) თავის შეკავება.

5) ჰაჯობა-წმინდა ადგილების მექასა და მედინას მოლოცვა-მონახულება.ყველა მუსლიმმა რომელიც ფინანსურ და ფიზიკურ შესაძლებლობას ფლობს სავალდებულოა ცხოვრების მანძილზე ერთხელ მაინც გაემგზავროს მექასა და მედინაში.

ს ა ლ ა თ-ლ ო ც ვ ა

სალათ -ლექსიკურად ლოცვას, ვედრებას, ქება- დიდებას, სიკეთისათვის ვედრებას ნიშნავს. ლოცვა ისლამის პირობებიდან მეორე პირობაა,ცროდესაც ადამიანი დაამოწმებს ,რომ:არ არსებობს ღირსეული სათაყვანებელი,ცღვთაება, გარდა ერთი ღმერთის და მუჰამმედი ღმერთის მსახური და ბოლო შუამავალია! ამის შემდეგ მისთვის აუცილებელი ხდება დღეში 5-ჯერ ლოცვის შესრულება. ყურანში არღნიშულია უეჭველად მე ვარ ალლაჰი!ა რ არსებობს ღვთაება, გარდა ჩემი. მაშ,მხოლოდ მე მეცით თაყვანი და ლოცვად დადექი ჩემი გახსენებისათვის!(სურა 20. აია 14).

მათ არ ბრძანებიათ სხვა რამ, გარდა მრავალღმერთიანობისაგან შორს დგომა, გულწრფელად თაყვანის ცემა ერთი ღმერთის; და აღევლინათ ლოცვა და გაეღოთ ზექათი (მოწყალება),და სწორედ ესაა ჭეშმარიტი სარწმუნოება! (სურა 98,აია 5)

მუჰამმად შუამავალი ასწავლის :ლოცვა სარწმუნოების დედა-ბოძია. ლოცვის შესრულება ევალება-ზდასრულ და გონებასრულ მუსულმანებს.

დღის განმავლობაში 5 სავალდებულო ლოცვაა:

- ფაჯრი-დილის ლოცვა

- ზუჰრი-შუადღის ლოცვა
- ასრი-სამხრობის ლოცვა
- მაღრიბი-საღამოს ლოცვა
- იშა-ძილის წინა(ღამის)ლოცვა

ლოცვის ყველა დრო ,თუ რა დროს უნდა შესრულდეს ლოცვა ყურანში არის მითითებული.

ლოცვის სახეები

- ფარძი ლოცვა -უზენაესი ალლაჰის წინაშე აუცილებლად შესასრულებელი ბრძანებაა.
- ვაჯიბი ლოცვა-ლოცვა რომელიც ფარძი ლოცვების ,შესრულების აუცილებლობასთან ახლოსაა.
- სუნნეთი ლოცვა -ლოცვა, რომელზეც მიგვითითებდა და რომლისკენაც მოგვიწოდებდა მუჰამმად შუამავალი.

ლოცვის თანმიმდევრობა

- დილის ლოცვა შესდგება 4 მუხლისაგან. 2 მუხლი სუნნთი და ფარძი (აუცილებელი)
- შუადღის ლოცვა შესდგება 4 მუხლი სუნნეთი,4 ნუხლი ფარძი და 2 მუხლი ბოლო სუნნეთი,.
- სამხრობის ლოცვა -4 მუხლი ფარძი,
- საღამოს ლოცვა: 3 მუხლი ფარძი და 2 მუხლი სუნნეთი.
- ღამის ლოცვა -4 ფარძი,2 სუნნეთი .
- ვითრი -ილოცება ღამის ლოცვის სემდეგ .

სისუფთავე

ისლამი ადამისნებს სისუფთავის დაცვვისაკენ მოგვიწოდებს. ნებისმიერი მუსულმანისათვის პირველ რიგში აუცილებელია-ფიზიკური გასუფთავება ,დიდი განბანვა, რომელიც აუცილებელია ცოლ-ქმარს შორის ინტიმური კავშირის და ძილის დროს ორგანიზმიდან სპერმის გამოყოფისას.

ხოლო დიდი განბანვა ქალებს ესაჭიროებათ -მშობიარობისა და დედათა წესის(მენსტრუაციის)დასრულების შემდეგ და ინტიმური ურთიერთობის შემდეგ.

მუჰამმედ შუამავალი გვასწავლის :სისუფთავე რწმენის ნახევარია.

მცირე განბანვა -,,აბდესი“



ლოცვის დაწყების წინ აუცილებელია მცირე განბანვა -„აბდესი“

ხელების დაბანა მაჯებამდე, მარჯვენა ხელით პირის 3-ჯერ წყლით გამოვლება, მარჯვენა ხელით ცხვირში 3-ჯერ წყლის გამოვლება და მარცხენა ხელით მოწმენდა, პირსახის მთლიანად 3-ჯერ დაბანა, ჯერ მარჯვენა ხოლო მერე მარცხენა ხელის 3-ჯერ დაბანა იდაყვების ჩათვლით, მარჭვენა სველი ხელის თავის ერთ მეოთხედ ნაწილზე ჩამოსმა, ყურების გაწმენდა სველი ხელით, მარცხენა ხელით ჯერ მარჯვენა ფეხის ხოლო მერე , მარცხენა ფეხის დაბანა კოჭების ჩათვლით.

ლოცვის შიდა და გარე ფარძები:

ლოცვის გარე ფარძები:

-მცირე განბანვა აბდესი

-სხეულის ,ტანსაცმლის და ლოცვის შესრულების ადგილის გასუფთავება,

-მამაკაცებისთვის-ჭიპიდან მუხლების ჩათვლით დაფარვა,ხოლო ქალებისთვის -სახის , ხელის მტევნებისა და ტერფების გარდა , მთელის სხეულის დაფარვა.

ლოცვის დროს ქააბას მიმართულებით დადგომა.

ყოველი ლოცვის შესრულება განსაზღვრულ დროს.

,,ნიეთი“-მიზნის დასახვა.

ლოცვის შიგა ფარძები-აუცილებელი მოქმედებები

ლოცვის დაწყება თექბირის წარმოთქმით-,,ალლაჰუ აქბარ“-ალლაჰი უდიდესია,უზენაესია.

ლოცვის შესრულება ფეხზე მდგარ მდგომარეობაში ,თუ ამისთვის არ არსებობს დაბრკოლება.

ლოცვის დროს ყურანის აიათების ან სურეების გააზრებულად კითხვა.

,,რუქუღი“-ლოცვისას წელში მოხრა ,დაახლოებით 90 გრადუსით.

,,სეჯდე“-ლოცვისას მიწაზე შუბლით შეხება ,ასევე ცხვირით.

ბოლო ჩაჯდომა ანუ ,ეთთეხიათის“კითხვის ტოლი დროით ჩოქზე ჯდომა

- თექბირი-ალლაჰუ აქბარ-ალლაჰი დიდია,უზენაესია.
- რუქუღის-წელში მოხრის დროს საკითხავი სიტყვები.რომელსაც მინიმუმ 3-ჯერ ვიმეორებთ: სუბჰაანე რაბბიელ ღაზიმ- დიადო ღმერთო, შენ ყოველნაირად წმინდა ხარ.
- წელში გაშლის შემდეგ კი ვამბობთ - სემი ალლაჰუ ლიმენ ჰამიდეჰ-ალლაჰი შეისმენს ვინც განადიდებს მას.

- რაბბენაა ლექელჰამდ-ჩვენო ღმერთო ,ყოველგვარი ქება-დიდება შენთვისაა.
- სეჯდეზე-საკითხავი სიტყვები :სუბჰანე რაბბიელ ეღლა-დიადო ალლაჰო შენ ყოველნაირად წმინდა ხარ.

აზანი -ლოცვაზე დაძახება

- ალლაჰუ აქბარ -ალლაჰი უზენაესია,დიდია.4-ჯერ
- ეშჰადუ ენ ლაა ილააჰე ილლელლაჰ-მოწმე ვარ რომ არ არსებობს

ღირსეული სათაყვანებელი გარდა ერთი ღმერთის.2 ჯერ

- ეშჰედუ ენნე მუჰამმედენ რასუულულლაჰ-მოწმე ვარ რომ

მუამმედი ღმერთის შუამავალია.2 -ჯერ

- ჰაიაღალე სსალაჰ-მოდით ლოცვაზე, 2-ჯერ
- ჰაიაღალელ ფელააჰ-მოდით გადარჩენაზე.2-ჯერ
- ალლაჰუ აქბარ -ალლაჰი უზენაესია.2-ჯერ
- ლაა ილააჰე ილლელლაჰ-არ არსებობს ღირსეული

სათაყვანებელი გარდა ერთი ღმერთის.

დილის ეზანში სიტყვების :,,ჰაია ღალელ-ფელაჰ“ შემდეგ ორჯერ წარმოითქმება ,,ეს-სელაათუ ხაირუნ -მინენ-ნეუმ“-ლოცვა ძილზე უკეთესია. ხოლო ყაამეთის დროს ,,ჰაია ღალელ -ფელაჰ“ შემდე ორჯერ წარმოითქმება,,ყედ ყაამეთის-სელლაჰ“-მწკრივებში დადეგით,ლოცვა დაიწყო. ყამეთი იკითხება ეზანზე სწრაფად ,ფარძის ლოცვის წინ .

ქალები ლოცვისას ვალდებულნი არ არიან წაიკითხონ ყაამეთი.ხოლო ეზანი იკითხება ნელა და ხმამაღლა რადგან ირგვლივ მყოფმა ყველამ გაიგოს.

ბოლო დაჯდომის შემდეგ ჩოქზე როცა ვიკითხავთ შესაბამის საკითხავებს ჯერ მარჯვენა მხარეს მივატრიალებთ კისერს და მივესალმებით-ასსალაამუ ალეიქუმ ვარაჰმათულლაჰ-ალლაჰის სალამი და რაჰმეთი თქვენ .მერე მარცხენა მხარეს მივატრიალებთ კისერს და იგივეს გავიმეორებთ ,ნამაზიც დასრულდება.

,,სურა ფაათიჰა“- ს ქართული მნიშვნელობარომელსაც მუსულმანები ყოველი ლოცვის დროს კითხულობენ:მინიმუმ 32-ჯერ. მივეკედლები ალლაჰს განდევნილი ეჩმაკისგან, მოწყალე და მწყალობელი ალლაჰის სახელით, ქება - დიდება ალლაჰს,სამყაროთა ღმერთს, მოწყალესა და მწყალობელა, განსჯის დღის ერთადერთ განმკარგველს. მხოლოდ შენ გცემთ თაყვან და მხოლოდ შენგან ვითხოვთ შეწევნას , გვატარე სწორი გზით ! იმათი გზით ,ვისაც სიკეთე უბოძე შენ ,და არა იმათი გზით ვისაც შენი რისხვა დაატყდა თავს და არც იმათის ,რომელიც მცდარ გზაზე დგანან! ლოცვების შესრულება ჯამაათით -ანუ ჯგუფურად შესრულება უკეთესია ,რადგან მუჰამმად შუამავალი გვასწავლის :ჯამაათით შესრულებული ლოცვა,მარტო შესრულებულ ლოცვაზე 27 -ჯერ უკეთესია.

მარხვა

... და თქვენ ვინც იხილოს ეს თვე, იმარხულოს მასში!... (სურა ბაყარა 2/185)

გილოცავთ მარხვის თვეს! შევთხოვთ დიად გამჩენს ჩვენი ღვთისმსახურება მიღებული ყოფილიყოს მის წიაღ!

ძვირფასო მორწმუნეებო! აუცილებლად დავიცვათ მარხვის კალენდარში მითითებული „ჯამის შეწყვეტის დრო"!

კვირის დღეები	რამადანი	აპრილი მაისი	იმსაქი ჯამის შეწყვეტა	მზის ამოსვლა	შუადღე	სამხროგა	საღამო	ღამის ლოცვა
სამშაბათი	1	13	4:52	6:24	13:14	16:55	19:53	21:19
ოთხშაბათი	2	14	4:50	6:23	13:13	16:56	19:54	21:20
ხუთშაბათი	3	15	4:48	6:21	13:13	16:56	19:55	21:22
პარასკევი	4	16	4:46	6:20	13:13	16:56	19:56	21:23
შაბათი	5	17	4:44	6:18	13:13	16:57	19:57	21:25
კვირა	6	18	4:42	6:17	13:12	16:57	19:58	21:26
ორშაბათი	7	19	4:41	6:15	13:12	16:57	19:59	21:28
სამშაბათი	8	20	4:39	6:14	13:12	16:58	20:00	21:29
ოთხშაბათი	9	21	4:37	6:12	13:12	16:58	20:02	21:30
ხუთშაბათი	10	22	4:35	6:11	13:12	16:59	20:03	21:32
პარასკევი	11	23	4:33	6:09	13:11	16:59	20:04	21:33
შაბათი	12	24	4:31	6:08	13:11	16:59	20:05	21:35
კვირა	13	25	4:29	6:06	13:11	16:59	20:06	21:37
ორშაბათი	14	26	4:27	6:05	13:11	17:00	20:07	21:38
სამშაბათი	15	27	4:25	6:03	13:11	17:00	20:08	21:40
ოთხშაბათი	16	28	4:23	6:02	13:11	17:00	20:09	21:41
ხუთშაბათი	17	29	4:21	6:01	13:10	17:01	20:10	21:43
პარასკევი	18	30	4:19	5:59	13:10	17:01	20:11	21:44
შაბათი	19	1	4:18	5:58	13:10	17:01	20:12	21:46
კვირა	20	2	4:16	5:57	13:10	17:02	20:14	21:47
ორშაბათი	21	3	4:14	5:55	13:10	17:02	20:15	21:49
სამშაბათი	22	4	4:12	5:54	13:10	17:02	20:16	21:51
ოთხშაბათი	23	5	4:10	5:53	13:10	17:03	20:17	21:52
ხუთშაბათი	24	6	4:08	5:52	13:10	17:03	20:18	21:54
პარასკევი	25	7	4:07	5:50	13:10	17:03	20:19	21:55
შაბათი	26	8	4:05	5:49	13:10	17:04	20:20	21:57
ყადირის ღამე								
კვირა	27	9	4:03	5:48	13:09	17:04	20:21	21:58
ორშაბათი	28	10	4:01	5:47	13:09	17:04	20:22	22:00
სამშაბათი	29	11	4:00	5:46	13:09	17:04	20:23	22:02
ოთხშაბათი	30	12	3:58	5:45	13:09	17:05	20:24	22:03

მარხვის ღამეების განზრახვა:
ღმერთო სამყაროთა!
შენი კმაყოფილების
მოსაპოვებლად განვიზრახე
მარხვა, შენი მწამს, გაქებ და გადიდებ!
შენ მიერ ბოძებული წყალობით
აღვასრულებ ამ ღვთისმსახურებას.

მარხვის გახსნის განზრახვა:
ღმერთო მოწყალეო!
შენ მიერ ნაბოძები სარჩოთი
ვხსნი დღევანდელ მარხვას,
მადლიერებას გამოვხატავ შენ
წინაშე, რამეთუ დამაჯილდოვე
ჯანმრთელობითა და სიკეთით!

2021 წლისთვის ფითრის მინიმალური რაოდენობა განისაზღვრა – 8 – (რვა) ლარით. ფითრის მაქსიმალური რაოდენობა პიროვნების ნება-სურვილზეა დამოკიდებული

„რამადან ბაირამის" ანუ მარხვის დასრულების სადღესასწაულო ლოცვა შესრულდება 13 მაისს:

ბათუმი 06:40, თბილისი 06-25, ნალჩიკი 06:30, თელავი 06:20, მარნეული 06-23, ქუთაისი 06:33, ახალციხე 06:35, ახალქალაქი 06:32

სრულიად საქართველოს მუსლიმთა საშმართველო, მისამართი: ბათუმი, ანგისის ქუჩა, I შესახვევი, N:1

www.amag.ge SruliadSakartvelosMuslimtaSammartvelo

მარხვა არაბულად ,,სავმ“ ან ,,სიამ“ რაიმესაგან შორს დგომას, რაიმესაგან თავშეკავებას, შეწინააგმდეგებას ნიშნავს. ხოლო როგორც რელიგიური ტერმინი ,ეს არის გამთენიისას, მეორე გარიჟრაჟის დაფიქსირების დროიდან, საღამოს მზის ჩასვლამდე ჭამა-სმისგან და სხვა ხორციელი სიამეებისაგან , ურთიერთობებისაგან თავის შეკავებას მარხვა ჰქვია. მუსულმანებს ევალებათ რამადანის თვეში იმარხულონ ,ის შეიძლება გაგრძელდეს 29 დღეს ან 30 დღეს.ისლამში თვეები მთვარის კალენდრის მიხედვით ითვლება ,ამიტომ ,რამადანის თვის მარხვა ყველა სეზონზე-გაზაფხულზეც, ზაფხულზეც, შემოდგომაზეც და ზამთარზეც მოდის.ამგვარად ადამიანი ეგუება მარხვას ზამთრის სიცივეშიც და ზაფხულის სიცხეშიც.მუსუსლმანებზე მარხვა სავალდებულო 623 წელს გახდა.გამჩენი ალლაჰი ყურანში გვიბრძანებს:ჰეი,თქვენ რომელთაც ირწმუნეთ!სავალდებულო გახდა თქვენთვის მარხვა როგორც სავალდებულო იყო მათთვის, ვინც თქვენს უწინარეს იყო,ეგების დაცული იყოთ ყოველივე ცუდისაგან!(სურა 2, აია 183) . მარხვის თვე მნიშვნელოვანია ,რადგან წმინდა ყურანის პირველი აეთები რამადნის თვეში გარდმოევლინა. მარხვა ადამიანს ასწავლის უკეთ გაიგოს ღარიბ-ღატაკთა და უპოვართა გასაჭირი.

მარხვის პირობები

ადამისნისთვის მარხვა სავალდებულო რომ გახდეს, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

უნდა იყოს ისლამის მიმდევარი , მუსლიმი.

ზდასრული და გონებასრული.

უნდა ჰქონდეს მარხვის შესაძლებლობა.ანუ საამისოდ ჯანმრთელობა უნდა უწყობდეს ხელს და არ უნდა იყოს მგზავრი.

მარხვის შეუსრულებლობისათვის საპატიო მიზეზები:

1)მგზავრობა

2)ავადმყოფობა

3)მოხუცებულობა

რომელთა შესახებ ყურანში გამჩენი ალლაჰი გვაბრთხილებს:(მარხვა გევალებათ) განსაზღვრულ დღეებში .თუ რომელიმე თვენგანი ავადაა ან გზაშია ,იმარხულოს ამდენივე სხვა დღეებში .ხოლო იმათ ვისაც შეუძლიათ (მაგრამ ვერ მარხულობენ უკურნებელი სენის ან სიბერის გამო) გამოისყიდონ უპოვრის გამოკვებით (დილის და საღამოს საკვებით). (სურა 2, აია 184).

4)ორსულობა და ძუძუთი ბავშვის გამოკვების

5)მტერთან ბრძოლა

6)უკიდურესად შიმშილი და წყურვილი-როცა ადამიანის სიცოცხლეს ,მის ჯანმრთელობას ან ადამიანის რომელიმე ორგანოს საბრთხე ემუქრება მაშინ მას შუძლია მარხვა შეწყვიტოს და გაცდენილი მარხვა შემდგომში აანაზღაუროს.ამის მტკიცებულებებია ყურანის შემდეგი აიათები,სადაც გამჩენი ალლაჰი გვაბრთხილებს: ,, თავი არ ჩაიგდოთ საბრთხეში თქვენივე ხელით“ (სურა 2,აია 195) ,,თავი არ მოიკლათ“(სურა 4,აია 29)

მანდილოსნები მარხვის დროს

მარხვის პერიოდში მანდილოსნები ისეთნაირად ასრულებენ მარხვას როგორც მამაკაცები .მათ შორის გამსხვავება არაა.არის პერიოდი, როდესაც მანდილოსნების მარხვა მიუღებელია რადგან ქალებს მათი ფიზიოლოგიური აგებულებიდან გამომდინარე რამოდენიმე სპეციფიკური მდგომარეობა ახასიათებთ :დედათა წესის (მენსტრუაციის) და მელოგინეობის პერიოდი.ამ პერიოდში გაცდენილი მარხვის დღეები შემდგომში უნდა აანაზღაუროს.

გამოსასყიდი-,,ფიდიე,ყადა ,ქეფარეთი

- ფიდიე -ქრონიკულად ავადმყოფები და მოხუცები ,რომლებსაც მარხვის დაცვა არ შეეუძლიათ,მარხვის ყოველი გამოტოვებული დღისთვის იხდიან ფიდიეს(დილის და საღამოს საკვებით უპოვრის,ღარიბის გამოკვება).თუ ფიდიეს გაცემის საშუალება არ აქვს ,მა ღმერთს პატიება უნდა სთხოვოს.
- ყადა-ეს არის შეწყვეტილი ერთი დღის მარხვის,მხოლოდ მხოლოდ ერთი დღით ანაზღაურება.
- ქეფარეთი -მარხვის პერიოდში ვინც უმიზეზოდ ან შეგნებულად ჭამს,დალევს, ანუ მარხვას მოშლის -შეგნებულად შეწყვეტილი მარხვის ერთი დღის სანაცვლოდ ერთი დღე უნდა იმარხულოს,შემდეგ კი უმიზეზოდ მარხვის მოშლისათვისმარხვის გამოსასყიდს წარმოადგენს მარხვის უწყვეტი დაცვა 60 დღის განმავლობაში.

დ ღ ე ს ა ს წ ა უ ლ ე ბ ი

- ბაირამი მხიარულებას ,სიხარულს,დღესასწაულს ნიშნავს.მუსულმანები წელიწადში ორ რელიგიურ დღესასწაულს აღნიშნავენ :
- რამაზან ბაირამი
- ყურბან ბაირამი (მსხვერპლთ შეწირვა)
- რამაზან ბაირამი აღინიშნება მარხვის დასრულების დროს ,მუსულმანები მეჩეთში იკრიბებიან და აღავლენენ ლოცვას ,მზის ამოსვლიდან 50-55 წუთის შემდეგ.ბაირამ ნამაზი შესდგება ორი მუხლისაგან . ლოცვას ასრულებენ იმამის ხელმძღვანელობით ერთობლივად. ლოცვის დასრულების შემდეგ იმამი ხუთბეზე ადის და იქ შეკრებილ მუსულმანებს ისლამის შესახებ უქადაგებს.
- ლოცვის დასრულების შემდეგ, მუსულმანები ერთმანეთს ულოცავენ ბაირამს ,ბრუნდებიან ოჯახებში ულოცავენ ოჯახის წევრებს და აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას.
- მუსულმანები მარხვის დასრულებამდე ოჯახიდან გაიღებენ ფულად მოწყალებას ,ფითრას ,რომელსაც ღარიბ,უპოვარ ,მოხუც ადამიანებს მიცემენ .

ყურბან ბაირამი

- ყურბან ბაირამი (მსხველპშეწირვა) აღინიშნება რამაზან ბაირამიდან 70 დღის გასვლის შემდეგ.ლოცვა შესდგება ორი მუხლისაგან .როგორც მარხვის ბაირამ ნამაზი ისევე ილოცვება ყურბან ბაირამ ნამაზი.
- მსხველპშეწირვის შესახებ გამჩენი ალლაჰი ყურანში გვიბრძანებს :ილოცე შენი ღმერთისათვის და მას დაუკალი შესაწირი.(სურა 108, აია 2)
- მეჩეთში ლოცვის დასრულების შემდეგ მუსუსლმანები ბრუნდებიან თავიანთ სახლებში და კლავენ შესაწირს ,პირუტყვს,.მსხვილფეხა ან წვრილფეხა ცხოველეს. მუსულმანს შეუძლია მარტო თვითონ შეწიროს პირუტყვი ან რამოდენიმე მუსულმანმა ერთობლივად შეწირონ მსხვილფეხა პირუტყვი.ხორცი რომელიც რჩება ოჯახში ის ნაწილდება სამ ნაწილად.
- ნაწილი- მეზობლებს და ახლობლებს
- ნაწილი-ღარიბ ადამიანებს,იმათ ვისაც არ აქვთ შესაწირის შეწირვის საშუალება,
- ნაწილი რჩება ოჯახს.თვითონ ისარგებლებენ.
- ბაირამის წინა დღეს დილის ნამაზიდან ბაირამის მეოთხე დღის სამხრობის ნამაზის ჩათვლით 23 დროის ნამაზის ფარზის შემდეგ მუსულმანებმა უნდა წარმოთქვა თექბირები ,სულ 23 თექბირი უნდა ათავდეს ,რომელსაც თეშრიქის თექბირები ეწოდება.ნებისმიერი მუსუსლმანის ვალია ეს თექბირები აუცილებლად შეასრულოს.
- თექბირი ასე წარმოითქმის :

- ალლაჰუ აქბარ!ალლაჰუ აქბარ! ლაა ილააჰე ილლელლაჰუ ალლაჰუ აქბარ!ალლაჰუ აქბარ ვალილლაჰი ლჰამდ!

- მნიშვნელობა:

- ალლაჰი უზენაესია!ალლაჰი უზენაესია! არ არსებობს ღვთაება ,ღირსეული სათაყვანებელი გარდა ალლაჰის.ალლაჰი უზენაესია ყოველგვარი დიდება ,თაყვანის ცემა ,ღვთის მსახურება მას ეკუთვნის!

კულინარია

- მუსულმანებისათვის ნება დართულია იმ საკვების მიღება რომელის ღმერთს არ აუკრძალია წმინდა წიგნ ყურანში ,ყურანში ალლაჰი გვაბრთხილებს იმ საჭმელების შესახებ რომლის ჭამაც მუსულმანებისათვის აკრძალულია(ჰარამია):

- ,, თქვენ აგეკრძალათ ლეში,სისხლი,ღორის ხორცი და ის,რაც ალლაჰის სახელით არ დაკლულა ;აგრეთვე დახრჩობილი,დარტყმით მოკლული,სიმაღლიდან ჩამოვარდნილი, რქებზე წამოგებული, გარეული ცხოველის დაგლეჯილი,იმის გამოკლებით, რომელიც თქვენ დაკალით წესისამებრ, ;და კერპთა სამსხვერპლოზე დაკლული;და ისიც რომ ისრებით მოკლული გაინაწილოთ .“(სურა 5; აია 3)

- ისისნი გეკითხებიან შენ (მუჰამმედ),რა არის მათთვის ნებადართული (საჭმელთაგან),უთხარი:ყველანაირ სუფთა სააკვები ,აგრეთვე ნება გეძლევათ ჭამოთ ის,რასაც თქვენთვის მოინადირებენ გაწრთვნილი ცხოველები და ფრინველები ,როგორც ეს ალლაჰმა გასწავლათ.ჭამეთ იქიდან , რასაც თქვენთვის დაიჭერენ და მასზე ალლაჰის სახელი ახსენეთ.გეშინოდეთ ალლაჰის. უეჭველად ალლაჰი სწრაფანგარიშმსწორებია! (სურა 5;აია 4).

დღეიდან თქვენთვის საკვებად ნებადართულია ყველაფერი,რაც რამ კარგი და სუფთაა.(სურა 5 ;აია 5)

,, ჭამეთ და სვით, და არ გადახვიდეთ ზღვარს, უეჭველად ,ალლაჰს არ უყვარს ზღვარგადასულნი“(სურა 7, აია 31).

ჰეი თქვენ, რომელთაც ირწმუნეთ! ჭამეთ, რაც რამ კარგი საზრდო მოგმადლეთ და მადლობა შესწირეთ ალლაჰს, თუკი თქვენ მხოლოდ მას სცემთ თაყვანს....(სურა 2,აია 172)

„და არ მიირთვათ ის, რაზეც ალლაჰის სახელი არ არის მოხსენიებული ! უეჭველად, იგი ჭეშმარიტი გზიდან აცდენაა. და ნამდვილად ეშმაკნი ჩასჩურჩულებენ თავიანთ მეგობრებს , რათა გეკამათონ თქვენ . და თუ დაჰყვებით მათ, უეჭველად, თქვენ წარმართთაგანი იქნებით!“ (სურა6,აია 121)

ალლაჰი ყურანში გვაბრთხილებს ალკოჰოლის შესახებ:

ჰეი თქვენ რომელთაც ირწმუნეთ !ალკოჰოლური სასმელი,აზარტული თამაშები ,კერპები და ისრებით მკითხაობა ეშმაკისეული სისაძაგლენია ,, .განერიდეთ ამას ,ეგების ნეტარნი იქმნეთ თქვენ .“(სურა 5,აია 90).

მუსლიმები საქართველოში

ძველ ქართულ წყაროებში ისლამს მაჰმადის რჯული („სჯული მოჰამედისა მიერ ქადაგებული“) ეწოდება. ხალხურ ტრადიციაში გავრცელებულია გამოთქმა „თათარი“, შესაბამისად - „გათათრება“, „დათათრება“, რაც ისლამის მიღებას, გამაჰმადიანებას ნიშნავდა, თუმცა ამ ტერმინს ადგილობრივი მუსლიმები შეურაცხმყოფელად მიიჩნევენ.

საქართველოში ისლამის გავრცელება არაბობის ხანიდან (VII-IX სს-იდან) დაიწყო. ამ ხანას კი დასაბამი ხალიფატის, ანუ არაბთა ისლამური იმპერიის დაარსების პირველსავე წლებში მიეცა. ერაყში, სირიასა და დარუბანდში მუსლიმთა ხელისუფლების დამყარების (633-643) შემდეგ სახელგანთქმულმა სარდალმა ჰაბიბ იბნ მასლამა ალფიჰრიმ (617-662) სომხეთი და საქართველო დაიკავა (644-655). თბილისის მოსახლეობას მან მისცა „დაცვის სიგელი“, ანუ ზავისა და შეუვალობის წიგნი, რითაც განისაზღვრა ურთიერთობა მუსლიმ არაბებსა და ქრისტიან თბილისელებს შორის. ვარაუდობენ (გ.ჯაფარიძე), რომ მსგავსი ხელშეკრულებები გაფორმდა ქართლის სხვა მხარეებთან და დასახლებულ პუნქტებთან. ანალოგიური დოკუმენტები VII-VIII საუკუნეებში ფორმდებოდა გამარჯვებულ არაბ მუსლიმებსა და სხვა აღმსარებლობის დამარცხებულ ხალხს შორის, როდესაც ეს უკანასკნელნი უომრად, წინააღმდეგობის გარეშე, მორჩილებას აცხადებდნენ. ასეთ შემთხვევაში, არაბთა სარდალი ადგილობრივ ადმინისტრაციას უგზავნიდა „დაცვის სიგელს“, რომელიც, ისე როგორც მუსლიმთა ყველა საქმიანი დოკუმენტი, ბასმალათი იწყებოდა, რასაც ზავის

ძირითადი პირობები მოჰყვებოდა: ან ისლამის აღიარება, ან ხარკი (ჯიზია), ნაცვლად კი - მშვიდობა და ხელშეუხებლობის გარანტია. იბნ მასლამის აღნიშნული სიგელი, რომლის ტექსტი დაცულია VIII-XIII საუკუნეების არაბულენოვან ისტორიკოსთა თხზულებებში, და ზოგიერთი სხვა წყარო გვაფიქრებინებს, რომ ქართველებმა აღიარეს მორჩილება ხარკის (ჯიზიას) გადახდის პირობით. ისლამის ისტორიის მხრივ, პირველ რიგში, საყურადღებოა ის, რომ აქ, ამ დოკუმენტში, პირველადაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული შაჰადა - ალლაჰის ერთადერთობა და წმინდა მუჰამედის სამოციქულო მისია.

ასე რომ, ქართველებს ისლამის გაცნობის შესაძლებლობა ადრევე მიეცათ. ხსენებულ დოკუმენტს, ცხადია, ქართულადაც თარგმნიდნენ, რისი მეშვეობითაც ადრესატები არა მხოლოდ მათი ქონებისა და სარწმუნოების ხელშეუხებლობის გარანტიებს მოისმენდნენ, არამედ ისლამის ძირითად დებულებებსაც და ციტატებსაც ყურანიდან. არაბ სარდალს ქართველებთან წარუგზავნია ყურანის საუკეთესო მცოდნე და რჯულის მეცნიერი აბდ ჯაზ ასსულამი, რომელსაც მათთვის ისლამი უნდა ექადაგა და მისიონერის ფუნქცია შეესრულებინა. ამ მისიის კვალი ქართლის სახელმწიფოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მალე აღიბეჭდა. ამას ადასტურებს ის მონეტები (დირჰამები), რომლებიც ჰიჯრიდან 85-ეა ანუ ქრისტეს შობიდან 704-ე წელს თბილისშია მოჭრილი და, რომლებზეც ალლაჰის სადიდებელი სიტყვებია ამოტვიფრული.

აღმოსავლეთ საქართველოში ისლამის გავრცელების საქმეს ის ადმინისტრაციული ერთეულები უმაგრებდნენ ზურგს, რომლებიც აქ არაბებმა შექმნეს: ჯერ პროვინცია არმინია, რომელიც მოიცავდა ქართლსაც (გურზან), შემდეგ კი თბილისის საამირო, რომელიც კავკასიაში მურვანყრუს ლაშქრობათა

შემდეგ (VIII ს-ის 30-იანი წწ.) შეიქმნა. იგი მთელ აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს (მესხეთ-ჯავახეთს) მოიცავდა. ცენტრად თბილისი გამოცხადდა და ეს სტატუსი მან საამიროს გაუქმებამდე შეინარჩუნა. საამირო კი მაშინ გაუქმდა, როდესაც დავით აღმაშენებელმა თბილისი გაათავისუფლა (1122) და ტახტი ქუთაისიდან ამ ქალაქში გადმოიტანა. მუსლიმთა შიში, რომ ქრისტიანი მეფე მათ სარწმუნოებრივ უფლებებს შელახავდა, არ გამართლდა. მოხდა პირიქით. საბრძოლო ოპერაციების დასრულებისთანავე მეფემ გამოსცა ბრძანება, რომელიც მუსლიმთა ყოველგვარი დისკრიმინაციის აღკვეთას ითვალისწინებდა. ამასთან დაკავშირებით, XII-XIII საუკუნეების არაბი და თურქი ისტორიკოსები იბნ ალაზრაქ ალფარიქი და სიბტ იბნ ალჯაუზი შემდეგ ინფორმაციას გვაწოდებენ: გამარჯვებულმა მეფემ დედაქალაქის მუსლიმ მოქალაქეებს საგადასახადო სისტემაში გარკვეული პრივილეგიებიც კი მიანიჭა, მუსლიმთა უბანში ღორის დაკვლა აკრძალა, მუსლიმთათვის მოჭრილ მონეტებზე ალლაჰის, მისი მოციქულისა და ხალიფას სახელების ამოკვეთა დაიწყო, ქართველებს, ებრაელებსა და სომხებს მუსლიმთა აბანოში შესვლა აუკრძალა. იგი, „მეფე აფხაზთა და ქართველთა“, „ყოველ პარასკევს შედიოდა მეჩეთში, მასთან ერთად იყო ხოლმე მისი შვილი დიმიტრი; ისმენდა ხუტბასა (ქადაგებას) და ყურანის კითხვას და აძლევდა ხატიბსა და მუეძინებს მრავალ ოქროს. XII საუკუნის ერთი სირიელი ანონომი ავტორი და XIII საუკუნის არაბი ისტორიკოსი მოჰამად ალჰამაფი აღნიშნავენ, რომ მეფე დავითი ყურანს კარგად იცნობდა და კამათი ჰქონდა განჯის ყადთან, ალლაჰის სიტყვა (ქალიმა) შექმნილია თუ მარადიული?“ პროფ. გ. ჯაფარიძის გამოკვლევის თანახმად, გამოთქმა „ალლაჰის სიტყვა“ ნიშნავს არა ყურანს (როგორც ადრე ფიქრობდნენ), არამედ - იესო ქრისტეს (ისას),

რომელიც, მუსლიმთა რწმენით, ალლაჰის შექმნილი სიტყვაა, ქრისტიანთა რწმენით კი - შეუქმნელი და თანამარადიული.

ქართველ მუსლიმთა პირველი გაერთიანებები თბილისსა და დმანისში შეიქმნა. VIII-XIII საუკუნეების არაბულენოვან მწერლობაში ბევრი ავტორი მოხსენიებულია როგორც ათთიფლისი, რაც თბილისელს ნიშნავს. ესენი არიან ღვთისმეტყველები, იურისტები, მწერლები, ექიმები და ა.შ. ეჭვი არაა, რომ მათგან არა ერთი და ორი ეთნიკურადაც ქართველი იყო. ეს არაა გასაკვირი: როგორც VIII საუკუნის ჰაგიოგრაფი იოანე საბანისძე გვაუწყებს, ჩვენი თანამემამულეების შესამჩნევი ნაწილი, სხვადასხვა მიზეზის გამო, მუსლიმი (სარკინოზი, ისმაიტელი, აგარიანი) გახდა. ცხადია, მათგან ბევრი შემოქმედებითი ნიჭით იყო დაჯილდოებული, ბევრმა შეისწავლა არაბული ენა და საერთო ისლამური კულტურის სალაროში საკუთარი წვლილი შეიტანა.

სამხრეთ საქართველოს (აჭარის, ტაოკლარჯეთისა და სამცხე-ჯავახეთის) ინტენსიურ ისლამიზაციას ადგილი XVI-XVIII საუკუნეებში, ჰქონდა. ამავე პერიოდში ისლამი ოსმალეთის მიერ დაპყრობილ აფხაზეთშიც გავრცელდა. იქ, ისე როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ისლამს უფრო მეტად თავადაზნაურები იღებდნენ, დაბალი ფენა კი ადგილობრივი რელიგიური ტრადიციების ერთგული რჩებოდა. ანალოგიური ვითარება იყო ოსეთშიც, რომელსაც ეკლესიურად და კულტურულად საქართველოსთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა. იმხანად ქართლ-კახეთის სამეფო ტახტიც, მეტწილად, მუსლიმ მეფეთა ხელშია. მაშინდელ მეფეებს შორის არა ერთი და ორი იყო გულწრფელი მუსლიმი. მართლმორწმუნეობით გამოირჩეოდნენ კონსტანტინე I, როსტომ ხანი, ვახტანგ V შაჰნავაზი, დავით იმამყულიხანი, კონსნტანტინე II მაჰმადყულიხანი და სხვ. მათგან როსტომი და

ვახტანგ V დაკრძალული არიან ირანის უდიდეს რელიგიურ ცენტრში, ყუმში, დიდ შიიტ წმინდანთა გვერდით. ქართველი მუსლიმების რიცხვს ის კახელებიც შეემატნენ, რომლებიც შაჰაბასმა ირანში გადაასახლა და მათი შთამომავალნი დღესაც იქ ცხოვრობენ (ფერეიდნელი ქართველები), ასევე - ინგილოები, რომლებიც ორ რაიონში მოსახლეობენ: ზაქათალასა და ბელაქანში (აზერბაიჯანი).

შემონახულია ქართველთა გამუსლიმების ოსმალური წესი თურქულ და ქართულ ენებზე (გამოსცა ც. აბულაძემ). ტექსტი ჩართულია აჰმედ ქელიმის ნაშრომში „ისლამური სარწმუნოების უმოკლესი მონახაზი“. ქართული ტექსტი (არაბული ანბანით) ასე ჟღერს (ციტატა): „...მოციქული ღმერთი ერთი არი. იმის მეტი ღმერთი არ არის. მოციქულ ღმერთს ტოლი არა ყავს, სწორი არა ყავს, არავის არა გავს, არავინც იმასა გავს. არას ჩაიცვამს, არასაც ჭამს, არასა სვამს; დედა არა ყავს, ცოლი არა ყავს, შვილი არა ყავს: ვაჟი არა ყავს, ქალი არა ყავს. არც ეკადრება... ცა და ქვეყანა იმან გააჩინა. იმის მეტი გამჩენი არ არის. წმინდა მარიამი, მისი შვილი იესო მოციქულ ღმერთმა გააჩინა. დედაშვილი (...) ღმერთის მსახურნი არიან... მისი რჯული რომ (ისლამის) რჯული არის, სუფთა არის, წმინდა არის, (...) ღმერთის რჯული არის - დავიჯერე...“. ეს დოკუმენტი საყურადღებოა ქართული ენის ისტორიული დიალექტოლოგიისა და რელიგიის ისტორიის თვალსაზრისითაც. ამ და მსგავსი წესების მიხედვით ქართველების შესამჩნევი ნაწილი გამუსლიმდა. მათი შთამომავლების რიცხვი დღეს საკმაოდ დიდია. თურქეთში, მაგალითად, ამჟამად (ანკარის ქართველთა სათვისტომოს მონაცემით) ორი მილიონი ქართულენოვანი მუსლიმი ცხოვრობს.

XIX საუკუნის დასაწყისში შემუშავდა ტერმინები „ოსმალეთის საქართველო“ და „სამუსლიმანო საქართველო“, რაც ერთიანი საქართველოს (X-XV

სს.) სამხრეთ-დასავლეთის პროვინციებს („ზემო ქართლს“) გულისხმობდა. აღნიშნული საუკუნის 30-იანი წლებიდან რუსეთის ჯარებმა ამ ტერიტორიების დაკავებისა და შემოერთების დიდი კამპანია წამოიწყეს, რაც საქართველოსათვის მათ დაბრუნებასა და ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ნიშნავდა. მაგრამ, ვინაიდან ეს პროცესი ე.წ. ქრისტიანული იმპერიის მიერ ხორციელდებოდა, ადგილობრივ მოსახლეობას ისლამის დაკარგვის შიში გაუჩნდა - ცარისტული რეჟიმი ისლამის მოწინააღმდეგე ძალად იქნა აღქმული. ამის გამო ამ კუთხეების მუსლიმებმა თურქეთში ემიგრაცია დაიწყეს (ქართველთა მუჰაჯირობა). 1878 წლიდან, აჭარის შემოერთების შემდეგ, ეს პროცესი გაღრმავდა, მაგრამ მაშინდელი ქართველი ინტელიგენციის, განსაკუთრებით კი ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოსაგრეების, ძალისხმევის შედეგად, ემიგრაცია შეწყდა და ბევრი მუჰაჯირი მამაპაპეულ კერას დაუბრუნდა.

ისლამი და ქართული სახელმწიფო

გამუსლიმებული ქართველები, შუასაუკუნეობრივი ეროვნულ-პოლიტიკური ხედვისა და მენტალიტეტის თანახმად, ქართველებად აღარ ითვლებოდნენ. ამ გაუგებრობისაგან მოსახლეობის დიდი ნაწილი გათავისუფლებული დღესაც არ არის, რაც ეროვნული ერთიანობის მიღწევას ხელს უშლის. ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები და ჰუმანისტები, - ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი და სხვანი თანამემამულეებს თითოეული მოქალაქის სინდისისა და სარწმუნოების პატივისცემისაკენ მოუწოდებდნენ, ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ რელიგიური პლურალიზმი ცივილიზებული მსოფლიოს სტანდარტია და ამ მოვლენაში სახიფათო არაფერია. ი.გოგებაშვილმა,

მაგალითად, მუსლიმი ბავშვებისათვის დედა ენის საგანგებო ვარიანტი ჩამოაყალიბა, ხოლო ი.ჭავჭავაძემ და ზ.ჭიჭინაძემ ქართველ მუსლიმებთან ეროვნულ-საგანმანათლებლო მუშაობის ისეთი პროგრამები და მეთოდები შეიმუშავეს, რაც სარწმუნოებრივ აქცენტებს გამორიცხავდა. იმდროინდელი პრესა („დროება“, „ივერია“, „ცნობის ფურცელი“ და სხვა) ყოველდღიურად აქვეყნებდა მასალებს მუსლიმთა სულიერი და ყოფითი პრობლემების შესახებ.

ვრცელი თემაა საქართველოს მორწმუნე მუსლიმთა თანამონაწილეობა საქართველოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის საქმეში. ამ მხრივ, თვალსაჩინოა აჭარაში მცხოვრები ქართველი მუსლიმების აქტიურობა. XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მემედ და ჰაიდარ აბაშიძეებმა, პატრიოტი მუსლიმი ქართველის, სანჯაყბეგ აბაშიძის შთამომავლებმა, „ქართველ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოება“ და „სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი“ ჩამოაყალიბეს. 1919-1921 წლებში გამოდიოდა გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“. ქართველი მუსლიმები (მათი მეტი ნაწილი) მიესალმნენ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენასა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების აქტს. 1919 წელს ჩატარდა ქართველ მუსლიმთა ყრილობა, რომელმაც თანამორწმუნეებს ქვეყნის წინაშე მდგომი პრობლემების მოგვარებაში ძალისხმევის გააქტიურებისაკენ მოუწოდა. დამოუკიდებელი საქართველოს პირველ პარლამენტში წარმოდგენილი იყო ქართველ მუსლიმთა პარტია (მ. აბაშიძის მეთაურობით), რომელსაც საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის ინტერესების გამოხატვა ევალებოდა. მ.აბაშიძემ ერთ-ერთ ოფიციალურ სხდომაზე განაცხადა: „ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება და

ეროვნება ერთი და იგივეა! გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოს ერთიანობაშია. გაუმარჯოს მთლიან საქართველოს!“.

ისლამისადმი კეთილგანწყობის, მაგალითად, საქართველოს მთავრობის ოფიციალური განცხადება გამოდგება, რომელიც 1920 წელს გაკეთდა:

„...ნურავინ იფიქრებს, რომ სარწმუნოება ხელს შეუშლის ქრისტიან და მაჰმადიან ქართველების ერთობას. რჯული რჯულია, მაგრამ სისხლი და ეროვნება კიდევ სხვაა... ყოველი ქრისტიანი ქართველი ყოველთვის პატივს უნდა სცემდეს მაჰმადის რჯულს, რომლის აღმსარებელია მრავალი მილიონი სხვადასხვა ხალხი და რომელსაც მისდევს ჩვენი ღვიძლი ძმებიც. მაჰმადის რჯული ჩვენი ძმების რჯულია და მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა ვეპყრობოდეთ მას. პატივს უნდა ვსცემდეთ ყოველი ადამიანის რჯულს, მით უფრო, ძმისას. უნდა გავიმეოროთ კიდევ ერთხელ: რჯული სხვადასხვა გვაქვს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს, მაგრამ ორივენი ერთი საქართველოს შვილები ვართ. ერთი ენა, ერთი სისხლი, ერთი ხასიათი გვაქვს. ჩვენი ძალა შეერთებაშია. ბედნიერებას მხოლოდ ერთობა და ძმობა მოგვიტანს“.

აჭარა:აჭარაში ისლამის გავრცელება XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან, ოსმა- ლეთის მიერ აჭარის დაპყრობის შემდეგ იწყება და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებით, არათანაბარი ინტენსიობით ვითარდებოდა. 1563 წლიდან, როცა ადგილობრივმა მმართველებმა მიიღეს ისლამი, აჭარა დამოუკიდე- ბელ ადმინისტრაციულ ერთეულად შევიდა ოსმალეთის იმპერიაში. ისლამის გავრცელებას აჭარაში ხელს უწყობდა მიწათმფლობელობის ფორმების, სო- ციალური და საგადასახადო სისტემის, სამხედრო-ადმინისტრაციული მმართველობის თა- ვისებურებანი. აჭარაში ისლამი ეტა- პობრივად ვრცელდებოდა – იგი ჯერ ლაზეთში, შემდეგ ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებში, ბოლოს კი ქობულეთში გავრცელდა. ეს პროცესი განსაკუთრებით XIX საუ- კუნიდან ღებულობს ინტენსიურ ხა- სიათს. ამ პერიოდში აჭარაში შენ- დება მეჩეთები და სასულიერო სას- წავლებლები. ოსმალეთის მმართვე- ლობის ბოლო წლებში ადგილობრივ მუსლიმთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა სხვადასხვა მიზეზით მშობლიური მხარე დატოვა და საცხოვრებლად ოსმალეთის იმპერიის სხვადსხვა კუთხეში გადასახ- ლდა. ეს პროცესი მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი. ამ პერიოდში მუსლიმების ერთი ნაწილი აჭარის მეზობელ რეგიონებში გადასახლდა (განსაკუთრებით, გურიაში). 1878 წლიდან, რუსეთის მმართველობის პერიოდში, აჭარაში მუსლიმებს და ორგანიზა- ციულ სტრუქტურას მხოლოდ რიგი ცვლილება შეეხო – შეიქმნა სპეციალური სამმართვე- 78 ლო, ჩამოყალიბდა მუსლიმური სამმართველოს ერთიანი სისტემა, მოწესრიგდა ადგილზე მუსლიმური სასულიერო პირებისათვის განათლების მიღების საშუალებები და ფორმები, შეიზღუდა უცხოურ მუსლიმურ ცენტრებთან სასულირო პირების ურთიერთობა. ამავდროუ- ლად დიდი რაოდენობით აიგო მეჩეთები და სასწავლებლები. ამის

შედეგად, აჭარის სინამ- დვილეში ჩამოყალიბდა ერთიანი ეროვნული ცნობიერებისა და განსხვავებული რელიგიუ- რი მრწამსის თავისებური ფორმა. ვითარება მნიშვნელოვნად შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 1921 წლის 13 ოქტომბერს, ყარსის ხელშეკრულების მიხედვით, აჭარისათვის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის მინიჭების ერთ-ერთ მიზეზად ადგილობრივი მოსახლეობის განსხვავებული რე- ლიგია დასახელდა. საბჭოთა პოლიტიკა საერო და სასულიერო სფეროების გამიჯვნას (ქორწინება, განათლება, სოციალური ურთიერთობები, რელიგიური სამართლი, ქონებრივი ურთიერთობები და ა.შ.) და სასულიეროს თანდათანობით შეზღუდვას ითვალისწინებდა. ამ პროცესის პარალელურად ხელისუფლება აქტიურად ახორციელებდა სხვადასხვა ღონისძი- ებას (ქალთა სექციების გახსნა, მმაჩის ბიუროს გახსნა, ჩადრის ახდის კამპანია, ანტირე- ლიგიური პროპაგანდა, ადმინისტრაციული ჩარევა), რომელთა გავლენით 1924 წელს გაუქ- მდა შარიათის სასამართლო, ხოლო 1926 წელს სამუფთო და სასწავლო კურსებიდან ამო- იღეს რელიგიური საგნები, 1929 წელს დაიკეტა ყველა მედრესე და შემოღებული იქნა სა- ყოველთაო სავალდებულო სწავლება, 1935-1939 წლებში დაიხურა ყველა მეჩეთი. ხორცი- ელდებოდა რეპრესიები როგორც მულისმი სასულიერო პირების, ისე მორწმუნეების წინა- აღმდეგ. თუმცა 1940-იან წლებში, პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე ისევ აღადგი- ნეს ბათუმის მეჩეთი. ამ პროცესების გავლენით ისლამი თანდათან ფარულ სახეს ღებუ- ლობს და ოჯახებში შემდგომ თაობას ძირითადად ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა. 1980-იანი წლების დემოკრატიზაციის პროცესებს ადგილობრივი მორწმუნეების გააქტი- ურება მოყვა. რელიგიის თავისუფლებამ და რწმენა-წარმოდგენების საჯაროობამ აჭარაში განაპირობა როგორც ქრისტიანობის, ისე ისლამის

მიმდევრების მატება. 1990-იან წლებში ბათუმში ყალიბდება აჭარის სასულიერო სამმართველო – სამუფთო, რომელიც მანამდე არსებული სტრუქტურის მიხედვით დაექვემდებარა ამიერკავკასიის სა- მუსლიმანო სამმართველოს. წლების განმავლობაში სამუფთო მოქმედებდა არაოფიციალუ- რი სტატუსით. 2011 წელს განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებით, აჭარის სა- მუფთომ და თბილისში მოქმედმა შიიტურმა სამმართველომ დააფუძნეს „სრულიად საქარ- თველოს სამუსლიმანო სამმართველო“, როგორც დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი მუს- ლიმური გაერთიანება საქართველოს ტერიტორიაზე. მის ხელმძღვანელობას ახორციელე- ბენ მუფთი (სუნიტი მუსლიმები) და შეიხი (შიიტი მუსლიმები). 2002 წლის მოსახლეობის საყოველთო აღწერით აჭარაში მოსახლეობის 30.6%, ანუ 115161 ადამიანი ისლამის მიმდე- ვარია. აჭარაში 2010 წლის მონაცემებით მოქმედებს 184 სხვადასხვა ტიპის მუსლიმური ნა- გებობა, მათ შორის 119 მეჩეთი.

მატერიალური კულტურა

- ისლამური სამლოცველო სადაც მუსულმანები ლოცვას აღასრულებენ ჯამე-მეჩეთი ეწოდება. მეჩეთის შემადგენელი ნაწილებია:

მეჩეთები. ისლამის გავრცელებას დასავლეთ საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. ეს პროცესი XVI საუკუნეში დაიწყო და სხვადასხვა სოციალურ-პოლიტიკურ ვითა- რებათა გავლენით არათანაბარი ინტენსიურობით ხასიათდებოდა ოსმალეთისა და რუსე- თის იმპერიების, საქართველოს პირველი რესპუბლიკის, საბჭოური და დამოუკიდებლობის პერიოდებში. ეს ისტორია ძირძველი ქართული, ქრისტიანულ-მართლმადიდებლური კულ- ტურისა და ისლამის ურთიერთობათა ხანგრძლივი პროცესიცაა, რომელსაც ყველა ეტაპზე თავისებური ხასიათი ჰქონდა. თუ ისლამის გავრცელების საწყის ეტაპზე ეს ურთიერთობე- ბი გამოიხატებოდა ახალი რელიგიის აქტიური ექსპანსიით წინარექრისტიანულსა თუ ქრისტიანულ კულტურაზე, შემდგომში მისი გავლენით ერთიან ქართულ სინამდვილეში ჩა- მოყალიბდა ბირელიგიური გარემო ერთიანი ეთნიკური, ეროვნული ცნობიერებითა და გან- სხვავებული რელიგიური მრწამსით.

აჭარა XVI საუკუნის მეორე ნახევრიდან ხდება ოსმალეთის იმპერიის ნაწილი, თუმცა აჭარისათვის ბრძოლა ხანგრძლივი და წინააღმდეგობრივი პროცესი იყო, რამაც რეგიონი ხშირი ბრძოლების არეალად აქცია. თანდათანობით აჭარაში ოსმალეთისადმი ლოიალური მმართველობის სისტემა ჩამოყალიბდა. ისლამი ეტაპობრივად ჯერ ლაზისტანში, შემდეგ ჭოროხისა და აჭარისწყლის ხეობებ- ში, ხოლო ბოლოს ქობულეთში გავრცელდა. ისლამის თანდათანობით გავრცელებას მეჩე- თების არააქტიური მშენებლობაც განაპირობებდა, რადგან, მიწათმფლობელობის წესები- დან გამომდინარე, მეჩეთის აგებამდე საჭირო იყო შესაბამისი ნებართვის (ფირმანი) მიღე- ბა. სტატისტიკური თვალსაზრისით, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან აჭარაში მოსახლე- ობის უმრავლესობა უკვე გამუსლიმებული იყო. 1871-1873 წლებში ბათუმის,

ჩურუქსუს, ზე- მო და ქვემო აჭარისა და გონიოს კაზებში 141 მეჩეთი და 206 სასულიერო სასწავლებელი ფუნქციონირებდა. აჭარის სხვადასხვა ნაწილში მეჩეთები სხვდასხვა პერიოდში შენდებოდა. ასე, ხულოს მუნიციპალიტეტში უძველესია სოფელ დიდაჭარის მეჩეთი, რომელიც 1831-1832 წლებში აუ- გიათ. მანამდე იგი სოფელ პაქსაძეების მეჩეთის ნაწილი იყო; ამ პერიოდში ხულოში უკვე არსებობდა ძველი ხის მეჩეთი, რომელიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს გადამწვარა. ამას- თან, აჭარისწყლის ხეობის ამ ნაწილში ცენტრალურ მეჩეთად ითვლებოდა ბეღლეთის მე- ჩეთი, სადაც მოსახლეობა დადიოდა სალოცავად როგორც პაქსაძეებიდან, ისე დანისპარა- ულიდან. საკუთრივ ბეღლეთის მეჩეთი 1920-1921 წლებში შეუმკიათ ლაზ ოსტატებს. რო- გორც ჩანს მეჩეთების დიდი ნაწილი ჯერ აუგიათ, ხოლო მოგვიანებით შეუმკიათ, გადაუ- კეთებიათ ან განუახლებიათ, რის გამოც ზოგიერთი მეჩეთის აგების თარიღის გარკვევა შეუძლებელია. ასევე საყურადღებოა, რომ მეჩეთების ერთი ნაწილი ქვის საძირკველზეა დადგმული, რომელიც ქრისტიანული სალოცავების შენობებიდანაა აღებული, ან მეჩეთის შენობები ეკლესიათა საძირკვლებზე დაიდგა. დადგენილია, რომ XIX საუკუნის დასაწყის- ში უნდა იყოს აშენებული თხილვანას, ხიხაძირისა და ფუშრუკაულის მეჩეთები, რომლებიც ერთმანეთის თანმიმდევრობით აუგიათ. საყურადღებოა, რომ ამჟა- მად მოხატულობით ყველაზე მეტად გამოირჩევა ფუშ- რუკაულის მეჩეთი. გადმოცემის თანახმად, ის აგების- თანავე მოუჩუქურთმებიათ, რაც, ალბათ, მისი შედა- რებით გვიანდელობით უნდა იყოს განპირობებული. შუახევის მუნიციპალიტეტში სოფელ მაწყვალთა- ში მეჩეთი 1842-1843 წლებში აუგიათ. მანამდე კი სოფლის მაცხოვრებლები ლოცულობდნენ თემის ცენ- ტრალურ მეჩეთში – მახალაკიძეებში, რომლის აგე- ბის თარიღიც უცნობია. ამ პერიოდში მეჩეთები ძირი- თადად

თემების ცენტრალურ დასახლებებში შენდე- ბოდა. ასეთივე სიტუაციაა სხვა სოფლებშიც. გადმოცე- მის თანახმად, შუბნის თემში პირველი მეჩეთი შუბან- ში აუგიათ, რომელიც დამწვარა და მის ადგილზე 148 1887-1888 წლებში ახალი მეჩეთი დაუდგამთ. მეზობელი სოფლის მაცხოვრებლებს შორის უთანხმოების გამო, დარჩიძეებში მეჩეთის ასაგებად მოუწვევიათ მანამდე ნენიის მეჩეთის ოსტატი – ლაზი ხასან უსტა, რომელსაც ეს მეჩეთი 1908 წელს აუშენებია. მეჩეთების აქტიური მშენებლობა რუსეთ-ოსმალეთის ომების პერიოდში და აჭარის რუ- სეთის იმპერიის შემადაგენლობაში შესვლის შემდეგაც გრძელდება და მეჩეთები უკვე ყვე- ლა სოფელში შენდება. მაგალითად, შუახევის მუნიციპალიტეტში, მარეთის ხეობაში, ერ- თმანეთის თანმიმდევრობით ყველა სოფელში ააგეს მეჩეთები: ქიძინიძეებში – 1867 წელს, კვიახიძეებში – 1890-1891 წლებში, ჯაბნიძეებში – 1892-1893 წლებში, ხოლო დღვანში – 1907-1908 წლებში. ამჟამად შესწავლილი მეჩეთებიდან უძველესია ახოს (აგებულია 1817-1818 წლებში) და დაგვისთავის (აგებულია 1826 წელს) მეჩეთები. არქიტექტურული და მხატვრულ-დეკორატი- ული თვალსაზრისით, ყველაზე უკეთ მოუჩუქურთმებიათ და მოხატული მეჩეთები გაუახ- ლებიათ ან გადაუკეთებიათ აჭარაში ძირითადად XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან XX სა- უკუნის 20-იანი წლების ჩათვლით. აღნიშნული მეჩეთების ანუ ჯამეების უმეტესობა, თავი- სი მხატვრულ-კონსტრუქციული გადაწყვეტით, წარმოადგენს ქართული კულტურული მემ- კვიდრეობის, ხალხური ხელოსნობისა და ხითხუროობის საინტერესო ნიმუშს, რომელიც აღმოცენებულია უძველესი კოლხური ხუროთმოძღვრების მრავალსაუკუნოვან ტრადიციებ-ზე.

- მიჰრაბი- ნახევრადმრგვალი ჩაღრმავება მეჩეთის ერთ-ერთ კედელში,რომელიც ქააბას მიმართულებას უჩვენებს,ნამაზის დროს მიჰრაბში იმამი დგება.

- მიმბერი-სპეციალური კიბე საიდანაც იმამი ჯუმა დღესა და სადღესასწაულო დღეებში ხუთბეს -ქადაგებებს წარმოთქვამს.

- მინარეთი -კოშკი მეჩეთთან შეერთებული ,საიდანაც ლოცვისაკენ მოუწოდებენ-ეზანს კითხულობენ.

- შერეფე-მინარეთის მრგვალი აივნები

- შადრევანი -აბდესის ასაღები ადგილი.

დეკორატიული ხელოვნება. დეკორატიული და სახვითი ხელოვნების ნიმუშები აჭარა- ში ძირითადად წარმოდგენილია ხეზე (საცხოვრებელი და საკულტო ნაგებობანი, საოჯა- ხო-საყოფაცხოვრებო საგნები: დგამ-ავეჯი, ჭურჭლეულობა და სხვა), ქვაზე (ბუხრები, წყა- რო-შადრევნები, საფლავის ქვები), ქსოვილსა და ნაქარგობაზე (ტანსაცმლის ელემენტები, ფარდაგები, ხურჯინები, მახარობლის ბალიშები, აკვნის არტახები და სხვა). მსგავსი ნიმუ- შები გვხვდება ლითონზე (თოფი, დამბაჩა,ხანჯალი, ცული, წალდი, ხელეჩო და სხვა), თიხის ნაკეთობებზე (კეცი, დერგი, ჯამი, ჭური, ქოთანი, კარაქის სადღვებელი). წერილობითი ცნობების, არქეოლოგიური მასალებისა და ეთნოგრაფიული მონაცემე- ბის მიხედვით ირკვევა, რომ აჭარლები ოდითგანვე იყვნენ დაწინაურებული სამშენებლო ხელოვნებასა და ხის მხატვრულ დამუშავებაში. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ვახუშტი ბაგრატიონის დახასიათება: „აჭარლები არიან კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობითა“. შემ- დგომი პერიოდის ქართველ ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა და ხელოვნებათმცოდნეთა შრო- მებში საინტერესო ცნობები გვხვდება ხეზე კვეთილობის შესახებ აჭარაში. ისინი ორნა- 167 მენტის ამ ნიმუშებში ხედავდნენ ქართული ჩვევების, მხატვრული აზროვნების, მაღალი გე- მოვნებისა და ნატიფი ოსტატობის კვალს. . აჭარაში ხეზე შესრულებული ხალხური დეკორატიულ-გამოყენე- ბითი ხელოვნების ნიმუშები დამ- ზადების ტექნიკის მიხედვით ორ ჯგუფად იყოფა: ხეზე კვეთილო- ბად და ხეზე მოხატულობად. ხეზე კვეთილობაში წარმოდგენილია გრაფიკული, რელიეფური, წრიულ- პლასტიკური, აჟურულად ამოკვე- თილი და ინკრუსტრირებული სა- ხეები. შემკულობაში საღებავებიც არის გამოყენებული. როგორც ცნობილია, ისლამის ძალადატანებით გავრცელების შე- დეგად, აჭარაში დაინგრა ზოგიერ- თი ქრისტიანული

საკულტო ხის ნაგებობა. მის ნანგრევებზე ან მახლობლად ჯამე აუშენებიათ, რომელზედაც გამოუყენებიათ ეკლესიის ხისა თუ ქვის მასალა, ან, ზოგჯერ, ეკლესიები ინტერიერში გარკვეული ცვლილებებით გადაუკეთებიათ და პირდაპირ ჯამედ უქცევიათ, ეკლესიის ჩუქურთმა მეჩეთის შიდა და გარე შემკულობაში გამოუყენებიათ. ამ გზით ეთნოგრაფიულ სინამდვილემდე მოაღწია ძველი ქართული ხუროთმოძღვრული ორნამენტის მრავალმა ნიმუშმა. აჭარაში ხის ჯამეების დიდი უმრავლესობა გამოცდილ ლაზ ოსტატებს აუშენებიათ და მათვე შეუმკიათ მხატვრულად დახვე- წილი ქართული ჩუქურთმებით. ეს გარემოება XIX საუკუნის და- სასრულს არქიტექტორმა, აკადემიკოსმა ა.მ. პავლინოვმა მაჭახ- ლისპირის, მარადიდისა და ბათუმის (ახმედიეს) ხის ჯამეების მო- ნახულების შედეგად შენიშნა და ცნობილი ტბეთის ტაძრის ორ- ნამენტებთან მსგავსება დაადასტურა. მუსლიმანურ საკულტო ნა- გებობებს ტრადიციული ქართული დეკორით შემკობა უფრო მიმ- ზიდველს ხდიდა. აჭარაში ბევრი მეჩეთის ინტერიერის ჭერი, კედლები და რი- ტუალური საგნებიც ზეთის საღებავითაა მოხატული. ხშირად ხე- ზე კვეთილი ორნამენტებიც ლაქ-საღებავებითაა დაფარული. XIX საუკუნის მეორე ნახევრამდე გამოყენებული საღებავები ადგი- ლობრივი ხალხური წესით იყო დამზადებული. შემდგომ წლებში უცხოეთიდან ბათუმში შემოტანილ ზეთის საღებავებს ყიდულობ- დნენ. 168 მეჩეთების ინტერიერის მოხატულობის სპექტრი, ძირითადად, წითელი, ყვითელი და მწვანე ფერებისაგან შედგება. ზოგჯერ გამოყენებულია ნარინჯის, ჩალის, იის, თეთრი, შა- ვი და ცისფერი საღებავები. ფერების განლაგება-შეხამება პირობითია და არ ემყარება გარკვეულ კანონზომიერებას. მიუხედავად ამისა, მკვეთრი ფერებიც კი საერთო გამაში სა- ინტერესოდ აღიქმება. ხის კვეთილი რელიეფის გადაღებვით, თუნდაც ერთ ფერში, განპი-

რობებულია შუქჩრდილთა ნაირსახეობა, მუქი და ღია ტონების მონაცვლეობა. აღსანიშნავია აკვნის სხვადასხვა ფერით შეღებვის ტრადიცია, რაც ხუთი-ექვსი ათეუ- ლი წლის წინათ საკმაოდ გავრცელებული იყო. აკვნის შემკულობაში ფერთა ნაირსახეო- ბის გამოყენება განპირობებული იყო ფერთა სიმბოლურ-მაგიური დატვირთვითაც. ხალხური ხეზე კვეთილობისა და მოხატულობის ნიმუშები, რომლებიც აჭარაში გა- მოვლინდა, ფორმისა და შინაარსის მიხედვით იყოფა გეომეტრიულ, მცენარეულ, ასტრა- ლურ, ზოომორფულ და საგნობრივ მოტივებად.

ეთნორელიგიური და ეთნოკულტურული პროცესების განვითარების ტენდენცია და მისი სპეციფიკა

გლობალიზაციამ, ურბანიზაციის ტენდენციების ზრდამ, ყო-ფის სტანდარტიზაციამ, ტრადიციების რღვევამ გამოიწვია ეთნო-კულტურული ელემენტების შეუქცევადი ცვლილებები. ეს პრო-ცესები განსაკუთრებით იკვეთება ქალაქში, რომელიც აერთიან-ებს და კრავს სხვადასხვა ეთნიკური და კონფესიური კუთვნ-ილების ადამიანებს, საშუალებას აძლევს მათ კონტაქტები დაა-მყარონ სხვა კულტურების მატარებელ ინდივიდებსა და ხალ-ხებთან და გამოუმუშავდეთ სხვა ხალხების ტრადიციულ კულ-ტურებთან საერთოს განცდა(ლომთათიძე, რურუა,2008),რაც, თავის მხრივ თანამედროვე ტრანსკულტურული საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა. თანამედროვე პოლიტიკურმა,სოციალურ-ეკონომიკურმა და კულტურულ-რელიგიურმა პროცესებმა ცვლილებათა ეპიცენტ-რში მოაქცია ბათუმი, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნოკულტურათა და რელიგიურ კონფესიათა შეხვ-ედრისა და ურთიერთგავლენის სარბიელს და ხასიათდება რელ-იგიურ რწმენათა და კულტურულ ფასეულობათა სიჭრელითა და სინთეზით. ბათუმის ეთნოკონფესიური სურათი კიდევ უფროშეიცვალა პოსტსაბჭოთა პერიოდში, რაშიც, სხვა მოვლენებთან ერთად, დიდი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირის დაშლის შემ-დეგაჭარაში გააქტიურებულმა შიგამიგრაციულმა პროცესებმა.ისტორიული თავისებურებებიდან გამომდინარე, აჭარის მთის სოფელი საკმაოდ ჩაკეტილ სივრცეს წარმოადგენდა. ამ ჩაკეტილობას აჭარის

ისტორიული წარსულიც განაპირობებდა. XVI საუკუნის 60–იანი წლებიდან აჭარა, ისე,როგორც სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხეები,ოსმალთა მფლობელო-ბაში მოექცა და გავრცელება დაიწყო ისლამმა. ამის მიუხედავად,აჭარის მოსახლეობამ მრავალი ასეული წლის განმავლობაში შეინარჩუნა ეროვნული ტრადიციები, ცხოვრების ქართული წე-სის თვითმყოფადი რეალიები, მშობლიური ქართული ენა, ყოფ-ისა და კულტურის არაერთი ძირძველი ელემენტი.1877–1878 წლების რუსეთ–თურქეთის ომის შედეგად აჭარა ერთიან ქართ-ულ სივრცესდაუბრუნდა.1921 წელს,რუსეთის მიერამიერკავ-კასიის დაპყრობის შემდეგ,16 მარტისმოსკოვის,ხოლო შემდ-გომ, 13 ოქტომბრისყარსის თურქეთ-ამიერკავკასიისსაბჭოთა რესპუბლიკებისსამშვიდობო ხელშეკრულებებით,საზღვრის გავლების შემდეგ, ორად გაყოფილი აღმოჩნდა არა მხოლოდ აჭარის სოფლები, არამედ ოჯახებიც კი. ნათესავების ნაწილი თურქეთის ფარგლებში დარჩა და ბუნებრივია, ამან, ერთი მხრივ, გამოიწვია აჭარის მოსახლეობის გარკვეულიპროტესტი და უნდობლობა მოსახლეობისადმი მთავრობის მხრიდან. ამიტომ, საბჭოთა ხელისუფლებამ საზღვრისპირა სოფლებში მოაწყო სასა-ზღვრო გამშვები პუნქტები. მხოლოდ ამ პუნქტებზე გულდასმით შემოწმების გავლის შემდეგ შეეძლო გლეხს აჭარის მთიანი სოფ-ლიდან ბათუმში ჩამოსვლა და შემდეგ უკან დაბრუნება. ამდ-ენად, აჭარის სოფელი ფაქტიურად მოწყვეტილი იყო გარესამყა-როს, რამაც განაპირობა კიდეც აქ კარჩაკეტილი ცხოვრების წესის დამკვიდრება. თუმცა პოსტტოტალიტარულ პერიოდში ეს დაბრ-კოლებები მოიხსნა. სოფლად შექმნილმა ეკონომიკურმა არას-ტაბილურობამ, ცხოვრების დონის დაცემამ გამოიწვია მიგრ-აციული პროცესების გააქტიურება და ახალ სოციო-კულტურულ გარემოში ინტეგრაციის პრობლემების წინაშე დააყენა

მიგრი-რებული მოსახლეობა. ამიტომაც ტრადიციულ ღირებულებათა და ინოვაციების ინტეგრაციის ზოგიერთი ასპექტი სწორედ ბათ-უმში წარმოჩნდა თვალნათლივ.სოფლიდან ქალაქად მიგრირებულებს უწევთ „შეჯახება“ მათთვის ახალ და უცხო ურბანულ, დინამიურ, არაერთგვაროვან გარემოსთან, სადაცინტენსიურად მიმდინარეობსინოვაციურიპროცესები,სწრაფად ირღვევა ეთნიკური სტერეოტიპები, მიმდ-ინარეობს ტრადიციული კულტურული ღირებულებების მეტა-მორფოზა და ჩნდება ახალი ორიენტირები.ეს გარემოება მიგრი-რებულთა სოციო-კულტურული ადაპტაციის პრობლემებს ქმნ-ის. ეს პროცესები განსაკუთრებით თვალნათლივ იკვეთებაუკანასკნელ პერიოდში ბათუმში სოფლებიდან მიგრირებულთა სულიერი კულტურის სფეროში მომხდარი ცვლილებების შესწა-ვლისას. როგორც ცნობილია,ეთნოკულტურულ ღირებულებათაშემონახულობის ხარისხი უფრო მაღალია სოფლად. მეცნიერთა არაერთი თაობის კვლევა, სამეცნიერო ლიტერატურის მონაცემ-ები, საფონდო და საარქივო მასალები ადასტურებენ, რომ აჭარის სოფელში თანამედროვე ეტაპზეც კი კარგადაა შემონახული არქაული წეს-ჩვეულებები და ტრადიციული ცხოვრების წესი(სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის...,2009, ბსუ-ს ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული ფონდი).განსაკუთრებით, აჭარის მთიან სოფლებშია კარგად შემონახული ეთნიკური ტრადიციები.ისინი სოფლიდან მიგრირებულებს თან მოჰყვებათდა ქალაქურ გარემოში მათი ინტეგრირების პროცესი კარგად ასახავს ეთნოკულტურულ ღირებულებათა ტრანსფორ-მაციის ზოგიერთ ასპექტს. მათ სულიერ კულტურაში მომხდარი ცვლილებებისმიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ეთნოკულტ-ურულ ღირებულებებზესაყოველთაო გლობალიზაციის პროც-ესების გავლენის შესახებ. ამიტომაც ტრანსფორმაციის ამ

პროც-ესების წარმოჩენას შევეცდებით სოფლის ტრადიციული ხალხ-ური კულტურისა და ქალაქში მიმდინარე თანამედროვე კულტ-ურული პროცესებისურთიერთქმედების ანალიზის საფუძვ-ელზე. სოფლებიდან ქალაქში მიგრირებულთა სოციოკულტურული ადაპტაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია რელიგია. იგი, ზოგადად, მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საზოგად-ოების სოციალურ თავისებურებებს, ურთიერთდამოკიდებულე-ბის ფორმებს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს, თაობებს და სოციალურ ჯგუფებს შორის; ტრადიციულად, აჭარის მთის სოფლები, ფაქტიურად, მონოკონფესიურია და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ისლამის მიმდევარია, თუმცა, ისლამი აქ კლასიკური ფორმით არ გვხვდება. აჭარის სოფლის მოსახლეობის რწმენა-წარმოდგენებსა და წეს-ჩვეულებებში რამდენიმე რელიგიური პლასტია შემონახული. რელიგიათა ურთიერთზეგავლენა სინკრეტული ფორმით აყალიბებდა წეს-ჩვეულებებს. საბჭოთა პერიოდში იდეოლოგიური წნეხის გამო, რელიგიური რიტუალები მინიმუმამდე იყო დაყვანილი და მხოლოდ საოჯახო დონეზე სრულდებოდა. სხვა მიზეზებთანერთად, ამანაც განაპირობა, რომ აჭარის რელიგიურად თითქმის ერთგვაროვან სოფელში ისლამი კლასიკური სახით არც არსე-ბობდა. მასში ქრისტიანობამდელი და ქრისტიანული დანაშრევ-ებიც გვხვდება. ის სარწმუნოებრივი ელემენტები, რაც აქ ყოფაში იყო დამკვიდრებული უფრო ე.წ. „ხალხურ ისლამს“განეკუთვნ-ებოდა და ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ისლამური ელემენტების შერწყმით იყო მიღებული. ასეთი გარემოდან ქალაქში მიგრირებულები განსხვავებულ პოსტტოტალიტარულ პერიოდში. მოხდა რელიგიური აღმსარებლობის ლეგელიზაცია და ფართოდ გავრცელებული ორთოდოქსალური რელიგიების ინსტიტუტები ჩაენაცვლა ხალხურ წესებს.

ყოფით ისლამს კანონიკური რელიგია ჩაენაცვლა. მთის სოფლებიდან მიგრირ-ებულებისათვის ისლამური პრაქტიკა უფრო კანონიკური გახდა. პრაქტიკულ ცოდნას ემატება თეორიული ცოდნაც. ამავე დროს, ჩამოსულები მეტი რელიგიურობით ხასიათდებიან და თავიანთი რელიგიური აქტიურობით ქალაქის რელიგიურ ცხოვრებასაც აცოცხლებენ. ეს ჩაცმულობაშიც გამოიკვეთა. მაგალითად, ქალ-აქში სულ უფრო იმატა თავსაბურავიანი მუსლიმი ქალების რიც-ხვმა.გაიზარდა მუსლიმური მრევლის რიცხვი, მუსლიმები მონა-წილეობენ საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრაში და სხვ. ამგვარად, აჭარის სოფლებიდან ბათუმში მიგრირებულები ახერ-ხებენ გამონახონ სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამ-იანებთან და არსებულ რეალობასთან ადაპტაციის მექანიზმები. სწორედ ამ მექანიზმების წყალობით ჩამოყალიბდა აჭარაში კონ-ფესიათა ტოლერანტული დამოკიდებულება და თავიდან იქნა აცილებული რელიგიური გაუცხოება და დაპირისპირება სხვად-ასხვა აღმსარებლობის მიმდევართა შორის.საველე კვლევა გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელადგილს, ძირ-ითადად, იცვლიან ცვლილებებზე ორიენტირებული ადამიანები, რომლებიც კარგად ახერხებენ ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოსთან ადაპტაციას და ახალ რეალობაზე თავიანთი მოთ-ხოვნილებების მორგებას. ამასთან ინოვაციურ პროცესებთან და-მოკიდებულება სხვადასხვანაირი აქვთ ბათუმთან ახლომდებარე სოფლებიდან ჩამოსულ და აჭარის მთიანი რეგიონებიდან

ჩამოსულ მიგრანტებს. ახლო-მახლო მცხოვრებნი ყოველთვის აქტიურად იყვნენ ჩაბმული ქალაქის ცხოვრებაში, მაშინ როცა შორეული სოფლების მცხოვრებთათვის სხვადასხვა სუბიექტ-ური თუ ობიექტური ფაქტორების

ზეგავლენით ეს ურთიერ-თობები შეზღუდული იყო. ამ ეტაპზე კი ქალაქში სწორედ ასეთი სოფლებიდან ჩამოსულთა ტალღა გაიზარდა. დღის წესრიგში დგება ქალაქში ჩამოსულთა ახალ კულტურულ გარემოში ინტეგ-რაციის პრობლემა. ანალიზს საჭიროებს ქალაქურ გარემოსთან მათი ადაპტაციის როგორც ფსიქოლოგიური, ისე ეთნოსოცია-ლური ასპექტები. ქალაქის მცხოვრებლები შედარებით ტოლერ-ანტულად არიან განწყობილი ტრადიციული კულტურის ნორმე-ბიდან გადახრის მიმართ, ვიდრე სოფლის მცხოვრებლები. ქალ-აქურ გარემოში მოხვედრილი მიგრანტების ყოფაში იჭრება სიახ-ლეები: ირღვევა ეთნიკური სტერეოტიპები, მიმდინარეობს ტრა-დიციული კულტურული ღირებულებების მეტამორფოზა და ჩნდება ახალი ორიენტირები.ინტეგრაციის პროცესში, უპირველესყოვლისა, ტრანსფორ-მაციასგანიცდისქცევის ტრადიციული სტერეოტიპები.

ქალაქიტრადიციულიკულტურისელემენტებისმატარებელმიგრირებ-ულთათვის ქმნის არა მხოლოდ ცხოვრებისა და საქმიანობის ახალ პირობებს, არამედ ცვლის ურთიერთობათა და ქცევის ტრადიციულ სისტემებს, მათ დამოკიდებულებას მატერიალური და სულიერი კულტურის ტრადიციულ ელემენტებთან. ტრადი-ციული ღირებულებების ახალ რეალობასთან ინტეგრაციის პროცესში იცვლება საყოფაცხოვრებო ეტიკეტი. ქალაქი შედარ-ებით მიმტევებლურად, ტოლერანტულად ეკიდება ქცევის ტრა-დიციული წესებიდან გადახრას, ტრადიციული კულტურული ღირებულებების უგულებელყოფას. აქ ნიველირებულია ქცევის ტრადიციულისტერეოტიპები, არის მზარდი ინდივიდუა-ლიზმი. ადამიანი უფრო ორიენტირებულია თავის ინდივიდ-უალურ მიზნებზე, მაშინ, როცა ტრადიციულ საზოგადოებაში ეს მიზნები უფრო ჯგუფური,

კოლექტიურია. აქ მიღებულია მჭი-დრო კონტაქტები სხვა ოჯახებთან, მეზობლებთან, თანასოფლ-ელებთან, მაშინ როცა ქალაქურ გარემოში ასეთი ურთიერთობები

მინიმუმამდეა დაყვანილი. ამიტომაც ქალაქში სოფლიდან გად-მოსახლებული ადამიანები აქ ეჯახებიან სოფელთან შედარებით „გაუცხოებულ“ ურთიერთობებს, იძულებული არიან აკონტრო-ლონ თავიანთი ემოციები და იყვნენდისტანციურები კონტა-ქტების დამყარებისას. ადაპტაციის საწყის ეტაპზე გადმოს-ახლებულებისათვის ეს მიუღებელია და ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ქცევისა და ურთიერთობების ის ფორმები, რაც ტრადიციული საზოგადოებისთვისაა დამახასიათებელი. განსაკ-უთრებით ცდილობენ შეინარჩუნონ კონტაქტები სოფლებიდან გადმოსახლებულ ასეთივე ოჯახებთან. უფრო მეტიც, ისინი ქალაქში ცდილობენ იმ ტრადიციული „სამყაროს“ რეტროსპექ-ციას, რომელშიც ცხოვრობდნენ სოფელში და, მართალია, ქალ-აქში ცხოვრობენ მრავალსართულიან სახლებში, ცდილობენ შეიქმნან ერთგვარი „მიკროსამყარო“-ტრადიციული აგრარული საზოგადოების ერთგვარი მოდელი: იღობავენ ტერიტორიებს ეზოებში, აკეთებენ ბოსტნებს, რგავენ მცენარეებს, ამრავლებენ ქათმებს და ყოველნაირად ცდილობენ შეინარჩუნონ სოფ-ლისათვის დამახასიათებელი საცხოვრებელი გარემო. თუმცა, ყველაფერი ეს დროებითია და თანდათან ქალაქური ურთიერ-თობები არღვევს ამ სტერეოტიპებს, რადგან სოფლური ეთნიკ-ური ტრადიციული სოციონორმატიული ქცევის კულტურა თან-დათან აღმოჩნდება უმოქმედო, ზედმეტი და დავიწყებას ეძლევა.სოფლიდან გადმოსახლებულებს ქალაქში თან მოჰყვებათ საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ეთნიკური კულ-ტურის თავისებურებები, ქართულ

ტრადიციები, წეს-ჩვეულე-ბები, მენტალობა, რაც აქ მზარდი მოდერნიზაციის ტენდენციებს „ამოქმედებას იწყებს მუდმივი სოციოკულტურული ანტითეზა -„ჩვენ-ისინი“, „თავისი-სხვისი“.ესსხვაობა განსაკუთრებით იჩენს თავს ისეთი სოციალური ინსტიტუტის შემთხვევაში, როგორიცაა ოჯახი. ქალაქი არსებით გავლენას ახდენს ოჯახების შემად-გენლობაზე, ფორმებზე, ფუნქციათა განაწილებაზე. დიდი პატრ-იარქალური ოჯახები, რაც სოფლისათვისაა დამახასიათებელი (აჩუგბა, 1990), ირღვევა. ჩვეულებრივ, ქალაქში საცხოვრებლად გადადის, მისი ნაწილი, მშობლების ოჯახისაგან გამოყოფილი

ახალგაზრდა ოჯახი, რომელიც შედგება ორი თაობისაგან -მშო-ბლებისა და შვილებისაგან. ასეთ ოჯახებში ბავშვების რაო-დენობაც მცირდება. მრავალშვილიანი ოჯახები, რაც აჭარის სოფლებისთვისაა დამახასიათებელი, ქალაქად გადასახლების შემდეგ ერთ ან ორშვილიანი ოჯახებით იცვლება. ნაწილობრივ, ეს მოვლენა, ქალის საზოგადოებრივი პოზიციის აქტივიზაცი-ითაც აიხსნება. ქალაქში იცვლება ქალის როლი როგორც ოჯახში, ისესაზოგადოებაში. თუ სოფლად ოჯახში მას მხოლოდ დია-სახლისის ფუნქცია აკისრია და ოჯახშიც კი ხშირად არა აქვს მას გადამწყვეტი ხმის უფლება, ქალაქში, სადაც ქალის დასაქმ-ებისათვის მეტი შესაძლებლობებია, ის ხშირად ოჯახის მარჩე-ნალის ფუნქციასაც იძენს და, შესაბამისად,იზრდება მისი დამო-უკიდებლობის ხარისხი, მისი უფლებები. სოფლელი ქალი ქალ-აქად ჩართული აღმოჩნდა ფემინიზაციის პროცესებში, შეიცვალა მისი სოციალური სტატუსი და, ხშირად, გადამწყვეტი ხმაც კი მოიპოვა საოჯახო პრობლემების მოგვარებაში.სოფლებიდან მიგრირებულები ძნელადელევიან ტრადიც-იული კულტურის ელემენტებს. ამიტომაც, დიდხანს ინარჩუნ-ებენ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებსა და

დღესასწაულებს. უფრო მეტიც, ხშირად ახალ გარემოში განსაკუთრებულ მნიშვნელო-ბასაც კი ანიჭებენ და აღადგენენ ხოლმე წინაპართათვის დამახ-ასიათებელ ბევრ რიტუალს (ტრადიციული მრავალრიცხოვანი და ხმაურიანი ქორწილები, ნათლობა, რელიგიური დღესას-წაულები, სტუმარ-მასპინძლობა, უფროს-უმცროსობა და სხვა) და ქართველთა მარკერებად მიჩნეული ღირებულებების შენარ-ჩუნებით თითქოს იცავენ, ხაზს უსვამენ, საკუთარ თვითმ-ყოფადობას, თავიანთ ტრადიციულ სამყაროს უპირისპირებენ გარემომცველ სამყაროს. პარალელურად, შეიმჩნევა ზოგადად ქართული კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისაკენ სწრაფვაც, რაც გამოიხატება ტრადიციული კულტურის ელემე-ნტების (ეროვნული ტანსაცმელი, გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშების და ა.შ.)ყოფაში აქტიურად გამოყენების ტენდენციაში. ტრადიციული და თანამედროვე კულტურული ღირებუ-ლების ინტეგრაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს

სამოქალაქო დღესასწაულები და სახალხო ზეიმები. ეს უკანა-სკნელი ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია ეთნოკულტურათა და სხვადასხვა კონფესიების ურთიერთადაპტაციისათვის, რადგან ასეთი თანამედროვე დღესასწაულები (მაგალითად, ბათუმობა) საერთო-სახალხოა, არ განეკუთვნება ერთ რომელიმე რელიგიას, მათში თანაბრად მონაწილეობს ყველა კონფესიური ჯგუფი, რაც, ერთი მხრივ, იწვევს საზოგადოების გამთლიანებას, ადამიანთა სოციოკულტურულ ინტეგრაციას, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთ დღესასწაულებზე თითქოს ხდება წარსულთან ზიარება, ერო-ვნული ცნობიერების წინა პლანზე წამოწევა,ეროვნული თვით-შეგნების განმტკიცება. რაც თავის მხრივ ტრადიციულ და ინოვ-აციურ ღირებულებათა ინტეგრაციის ერთ-ერთი მექანიზმია.ამგვარად, სოფლიდან

ქალაქში გადმოსახლებულთა ქალა-ქურ გარემოში ადაპტირებისას ისინი „ეჯახებიან“ ქალაქური ცხოვრების წესს თავისი სტერეოტიპებით, „სტანდარტებით“, ქცევის ნორმებით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდის ქცევა ქალაქურ გარემოში გარკვეულწილად “ემორჩილება” ამ ფაქტორებს, ეს არ იწვევს მათში ცხოვრების წესის ეროვნული თავისებურებების, ქცევის ტრადიციული პროგრამების სრულ იგნორირებას. დაკვირვება გვიჩვენებს, რომ საცხოვრებელი გარე-მოს შეცვლა არ იწვევს ინდივიდის სრულ გარდაქმნას, ზოგიერთ, გარეგნულ ცვლილებას არ მივყავართ შეგნების გარდაქმნამდე და მიუხედავად იმისა, რომ ქალაქურ გარემოში გადმოსახლებუ-ლებზე მოქმედებს მთელი რიგი მათთვის უცხო ფაქტორი (მისწ-რაფება კონტაქტების გაფართოებისაკენ, ცხოვრების მოსაწყობად მტკიცე ეკონომიკური საფუძვლების პოვნისა და შენარჩუნების და ცოდნის გაფართოების აუცილებლობა და სხვ.) და იძულ-ებული არიან შეეგუონ ახალ რეალობას, ამავე დროს, პარალ-ელურად მოქმედებს მისწრაფება,ჩამოიტანონ და შეინარჩუნონ ქალაქში სოფლისთვის დამახასიათებელი ყოფითი კულტურის ელემენტები თავისი ღირებულებითი ორიენტირებით, ტრადიც-იებით, ნათესაური და მეზობლური კავშირებით (ლომთათიძე,2009).ამიტომაც, სწორედ სოფლებიდან მიგრირებულთა მეშვე-ობით, რომლებიც ქალაქელებთან შედარებით მტკიცედ და

ხანგრძლივად ინახავენ ტრადიციულ ღირებულებებს და ამით თითქოს იცავენ ეთნოკულტურის თვითმყოფადობას, თავიანთ მენტალიტეტს და საყოველთაო გლობალიზაციის ნეგატიური გავლენისაგან, ტრადიციული მატერიალური და სულიერი კულ-ტურის მრავალი ელემენტი ნარჩუნდება მოდერნიზაციის პირ-ობებშიც. მეტიც,

ამით ისინი ახდენენ უკუზეგავლენას, რის შედეგადაც ხდება ზოგიერთი მივიწყებული ტრადიციის აღდ-გენა, აღორძინება და ასეთი, მართალია უკვე მოდერნიზებული, გათანამედროვებული, მაგრამ მაინც ეროვნულ ფესვებზე დაფუძნებული ტრადიციების ხელახლა დამკვიდრება ქალაქურ გარემოში. მეორე მხრივ, ტრადიციული ქცევის ნორმები, ეტიკე-ტი, კულტურული ღირებულებები ქალაქში ექცევიან მოდერ-ნიზაციის გავლენის ქვეშ და ინტეგრირდებიან ახალ სოციალურ-კულტურულ გარემოში.დასკვნააჭარის სოფლებიდან ბათუმში მიგრირებული მოსახლეობა თანდათანობით იმუშავებს არაერთგვაროვან სოციუმში ადაპ-ტაციისათვის აუცილებელ სოციალურ სტრატეგიებს, რაც ქალა-ქად მულტიკულტურალური საზოგადოების შექმნის და განვი-თარების ერთ-ერთი პირობაა. ამდენად, სოფლებიდან ქალაქში მიგრირებულთა მეშვეობით ბათუმის ეთნოკულტურა ხდება მოდერნიზებული ტრადიციულობის შენარჩუნებით. რეალურ ცხოვრებაში იქმნება ტრანსკულტურული მოდელი, რომელიც ტრადიციული და თანამედროვე ელემენტების ნაერთს წარმო-ადგენს.

პოლიეთნიკური საქართველო

საქართველო პოლიეთნიკური სახელმწიფოა, სადაც ქართველების გვერდით ცხოვრობენ სხვადასხვა ერისა და რელიგიის წარმომადგენლები. აქ მცხოვრები ეთნიკური ჯგუფებისათვის ტრადიციული რელიგიური მიმდინარეობებია ქრისტიანობა (მართმადიდებლობა, კათოლიციზმი და გრიგორიანობა), ისლამი და იუდაიზმი. საქართველოს კონსტიტუციაში მკაფიოდაა განსაზღვრული რომ, საქართველოს მოქალაქენი თანასწორი არიან სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, განურჩევლად მათი ეროვნული, ეთნიკური, რელიგიური თუ ენობრივი კუთვნილებისა. საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების შესაბამისად მათ უფლება აქვთ თავისუფლად, ყოველგვარი დისკრიმინაციისა და ჩარევის გარეშე განავითარონ თავიანთი კულტურა, ისარგებლონ დედაენით პირად ცხოვრებაში და საჯაროდ.

2002 წლის მოსახლეობის აღწერის მიხედვით საქართველოში ცხოვრობდა: ქართველი – 284761; აზერბაიჯანელი- 248929; სომეხი – 67671; რუსი – 38028; ოსი- 3527; აფხაზი – 18329, იეზიდი- 15166; ბერძენი- 7110; ქისტი-7039; უკრაინელი-651, გერმანელი- 455; თათარი- 542; ბელორუსი- 441; თურქი – 870; პოლონელი-2514; ქურთი 1271; ჩეჩენი-864; მოლდოველი- 3772; ებრაელი 472, ბოშა 3299.

დემოკრატიული ფასეულობების დამკვირების, მათ შორის ტოლერანტული შეხედულებების ჩამოყალიბებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვადასხვა ეთნოსთა თუ რელიგიათა კულტურული ფასეულობების ურთიერთგაცნობას, მათ დაახლოებას, რაშიც თანამედროვე საინფორმაციო საშუალებებს გადამწყვეტი როლის შესრულება შეუძლიათ. მათი თანაცხოვრება შესაძლებელია მხოლოდ ურთიერთპატივისცემის ნიადაგზე, რისთვისაც აუცილებელია ცალკეული რელიგიური თემების კულტურულ მიღწევათა გაცნობა. საზოგადოება

უნდა იყოს ფართოდ ინფორმირებული სხვადასხვა რელიგიათა კულტურული მიღწევების შესახებ, რათა საკუთარი რელიგიური აღმსარებლობის ფარგლებში ადამიანებს ჩამოუყალიბდეთ სხვა რელიგიისადმი პატივისცემისა და შემწყნარებლობის უნარი. ამ მხრივ საინტერესოა 2007 წელს გადაღებული 9 დოკუმენტური ფილმი, საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების – სომხების, აზერბაიჯანელების, ებრაელების, ბერძნების, ქურთების, ქისტების, უდიების, უკრაინელებისა და ოსების ისტორიისა და კულტურის შესახებ. დოკუმენტური ფილმების ციკლი მოამზადა საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებლობამ საქართველოს ეროვნული ინტეგრაციის პროგრამის ფარგლებში.

სალექციო კურსში განვიხილავთ ისლამთან დაკავშირებულ ეთნიკურ ჯგუფებს.

აზერბაიჯანელები. ფილმი იწყება აზერბაიჯანელი დრამატურგის მირზა ფათალ ახუნდოვის მოღვაწეობის გაცნობით რომელიც თბილისში ცხოვრობდა, მოღვაწეობდა და აქაა დასაფლავებულია. დრამატურგის პირველი პიესები ჯერ კიდევ 1872 წელს იდგმებოდა თბილისში. ახუნდოვის კომედიებმა საფუძველი დაუდა აზერბაიჯანულ დრამატურგიას. აქ ქმნიდნენ თავიანთ ნაწარმოებებს ასევე, მირზა შაფი ვაჰეზ, ნარიმან ნარიმანზადე (ნარიმანოვი), მირზა ალი აბბასოვი, მირზახან გულიევი, ქერიმ-ბეი შერიფლი. ფილმში შემდგომაა განხილული აზერბაიჯანელების მასობრივად საქართველოში მე-17 საუკუნეში გამოჩენა. მაშინ შაჰ-აბას მეორემ ირანიდან ქვემო ქართლსა და კახეთში თურქი იელები ჩაასახლა. თუმცა თბილისში აზერბაიჯანელები გაცილებით ადრე ცხოვრობდნენ. ერთხელ, დავით აღმაშენებელი მუსულმან მლოცველებს მეჩეთში სწვევია, მათ შორის, აზერბაიჯანელებიც იყვნენ აღნიშნულია ფილმში. საქართველოში აზერბაიჯანელები ძირითადად ქვემო ქართლსა და კახეთის რამდენიმე სოფელში სახლობენ (მარნეული, ბოლნისი, დმანისი, გარდაბანი, საგარეჯო). თბილისში კი

ყველაზე მეტი აზერბაიჯანელი ორთაჭალაში, თათრის მოედანზე ცხოვრობს. აქვე უნდა შეინიშნოს, რომ ზოგიერთი აზერბაიჯანელი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ თურქულენოვანი ტომები (ბუნთურქები, საბირები) კავკასიაში და, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე ძვ. წ. IV საუკუნიდან ჩნდებიან. 1865 წლის საქართველოს მოსახლეობის აღწერის მიხედვით აქ ცხოვრობდა 51,5 აზერბაიჯანელი; 1886 წელს - 62,6; 1897 წელს - 81,1. ამის შემდეგ ჩვენ გაგვაჩნია 1926 წლის აღწერის მონაცემები, რომლის მიხედვით საქართველოში იყო 143,951 აზერბაიჯანელი; 1939 წლის აღწერით კი 187,621; 1959 წელს - 153,6; 1970 წელს - 217,8; 1979 - 255,7; 1989 წელს - 307,5. ოლო 2002 წლის აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 284,761 აზერბაიჯანელი, მათ შორის თბილისში - 10,942.

ფილმში დახასიათებულია ძველი თბილისის აბანოები და ქისის რიტუალი. ჭრელ აბანოებში განსაკუთრებული წესებია შხაპის მიღებისა და საგულდაგულო დაბანის გარეშე საერთო აუზში ჩასვლა აკრძალულია. გოგირდის წყლიან აუზში კლიენტი ტანს ილბობს და მექისეს ელოდება. მ ექისეობა მემასაჟის მსგავსი საქმიანობაა. უნდა ითქვას, რომ 14 საათიან ორთქლში, გოგირდის სუნში, პრიალა ჭრელ კედლებში, ხელზე წამოცმული ქისა, დაძაბული კიდურები, აჩქარებული პულსაციას ახდენს. ამ პერიოდში ხდება მოდუნებული სხეულის გაახალგაზრდავება და გახალისება. დღეს მექისეობა ეგზოტიკური პროფესიაა. ოდესღაც იგი ქალაქური ყოფითი კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო. თბილისურ აბანოებში სადედამთილო სარძლოს სინჯავდა, ხანუმას ხელშეწყობითა და დახმარებით. აბანოს შეეძლო, ემცნო დედამთილისთვის, მისი ვაჟის რჩეულს მუცელზე ბალანი ხომ არ ეზრდებოდა, იღლიებში ავადმყოფურად ხომ არ დაჰბერვოდა ჯირკვლები, ფეხებს მრუდედ ხომ არ ადგამდა, უხეში და დიდი ქუსლები ხომ არ ჰქონდა ან წყლის ქვეშ ბატის კანივით ხომ არ ებურძგლებოდა მშრალი და უსიცოცხლო კანი... ქისის შემდგომ კლიენტები

არომატულ ჩაის მიირთმევენ. ასეთ ჩაის მხოლოდ ჩაიხანაში ამზადებენ, რომელიც აბანოსთან ახლოს იოსებ გრიშაშვილის ქუჩაზე მდებარეობს. აქ ზოგადად აზერბაიჯანელი მამაკაცები ყოველდღიურად იკრიბებიან და ეს ადგილი მათთვის ერთგვარი კლუბის როლს ასრულებს. საინტერესოა ჩაის სმის წესი. მას აუცილებლად წელშიგამოყვანილი პატარა ჭიქით მიირთმევენ და ნატეხ შაქარს აყოლებენ. როდესაც ჩაი აღარ სურთ ფინჯანზე ჭიქა გვერდულად უნდა დადონ. თუ რომელიმე კლიენტმა ჭიქა თავდაღმა დატოვა და ნატეხი შაქარი თავზე დაადო ესეიგი ნაყენი არ მოეწონა. ეს აზერბაიჯანელი მეჩაიხანისთვის ყველაზე დიდი სირცხვილია. შემდგომ განხილულია სოფელ ნახიდურის მამაკაცების სოფლის ჩაიხანა, რომელიც გართობისა და ინფორმაციის მთავარი წყაროა. ფინჯან ჩაისთან ერთად საუბარში დრო მათთვის შეუმჩნევლად გადის. იქვე იმართება სოფლის უხუცესთა კრებაც.

ფილმში საინტერესოდაა დახასიატებული აზერბაიჯანელთა საქმიანობა. აზერბაიჯანელი მამაკაცი საოჯახო საქმეებში იშვიათად ერევიან. სახლის პრობლემებით როგორც წესი ქალები არიან დაკავებულნი. სადილის მომზადება, საოჯახო სისუფთავე და ბავშვების მოვლა ქალების მოვალეობაა. სოფლებში ამას საქონლის მოვლა და ხშირად პურის გამოცხობაც ემატება. აზერბაიჯანელი ქალი ფლავის მომზადებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს. აზერბაიჯანელთ ა ტრადიციით გასათხოვარი ქალი მათში განათლებით, მზითვითა და კარგი ფლავის მომზადებით ფასდება.

ფილმში განხილულია საქორწინო რიტუალიც. ქ ორწილის სეზონი საქართველოს აზერბაიჯანლებში შემოდგომაზე იწყება. ამ დროს მოსავალი აღებულია და ოჯახს საქორწინო სუფრა უადვილდება. საქორწილო სუფრაზე აზერბაიჯანულთან ერთად ბევრი ქართული კერძია. მ ართალია,

ისლამი ალკოჰოლურ სასმელს კრძალავს, მაგრამ საქართველოში აზერბაიჯანელის ქორწილი ღვინისა და თამადის გარეშე წარმოუდგენელია.

ფილმში მართებულადაა შენიშნული, რომ გარდა იმისა რომ საქართველოში მცხოვრებმა აზერბაიჯანელებმა შეინარჩუნეს თავიანთი რელიგია, ენა და ადათ-წესები, დაამატეს და შეცვალეს კიდევაც ზოგიერთი ტრადიცია ქართულით. რაც შეეხება დაკრძალვის წესს, მუსულმანური ადათით, დილას გარდაცვლილს აუცილებლად მზის ჩასვლამდე კრძალავენ, საქართველოში კი აზერბაიჯანელები მიცვალებულს სახლში სამ დღეს აჩერებენ. დაკრძალვასთან დაკავშირებით აუცილებლად აღსანიშნავია, ისიც რომ აზერ-ბაიჯანელთა ყოფით რიტუალებში ყველაზე არქაულად მიჩნეულია დაკრძალვის ცერემონიალი, რომელიც ისლამურ ტრადიციაზეა აგებული და, ამასთანავე, უამრავ ისლამამდელ რიტუალსაც შეიცავს. მომაკვდავს აწვენენ ზურგზე ყიბლას (სამხრეთის) მიმართულებით. შემდეგ კითხულობენ შაჰადათის ლოცვას (სასურველი იყო ეს ლოცვა თავად მომაკვდავს მოესმინა). ახლად გარდაცვლილს უსწორებენ ხელებსა და ფეხებს, უხვევენ თვალებსა და ყბებს. აუცილებელია გარდაცვლილის სამჯერ წყლით ან ქვიშით განბანვა. შარიათი კრძალავს გარდაცვლილის ტანსაცმლით დამარხვას, იგი თეთრი ტილოს სუდარაში გახვეული უნდა დაიკრძალოს. მიცვალებული რაც შეიძლება მალე უნდა დამარხონ. საფლავს ოჯახის ახლობელი პირები ჭრიან. მისი სიღრმე დამოკიდებულია გარდაცვლილის სქესზე: ქალის საფლავი მკერდამდე, ხოლო მამაკაცის - წელამდე ითხრება. მთელ სოფელს საერთო „ჯანაზა“ (მიცვალე-ბულის საფლავამდე მისატანი ხის ან ლითონის ჭურჭელი) ჰქონდა. მიც-ვალებული არ უნდა შეხებოდა მიწას, ამიტომ საფლავს ქვით, აგურით ან ფიცრით ამოაშენებდნენ, ზემოდან ხის მასიურ ფიცრებს აწყობდნენ და ისე აყ-რიდნენ მიწას. დაკრძალვის შემდეგ, საღამოს, საფლავზე ცეცხლს ანთებდნენ,

რომლითაც მიცვალებულს საიქიოსკენ უნდა გაეკვალა გზა. ეს რიტუალი ზორ-ოასტრიზმის გადმონაშთად ითვლება. ქელეხისთვის საგანგებო რბილ ლავაშებს - „არატიჩ“-ს - აცხობდნენ, აუცილებელი იყო ასევე ჰალვა და ჩაი. დაკრძალვიდან სამი, შვიდი, ორმოცი და ორმოცდათორმეტი დღის შემდეგ, აგრეთვე, ყოველ ოთხშაბათს, შეკრებები იმართება. ამ შეკრებებზე მოდიან უახლოესი ნათესავები და კითხულობენ ყურანს. აზერბაიჯანელებში გვხვდება როგორც ისლამურ ყაიდაზე - ნახევარმთვარითა და ვარსკვლავით მოწყობილი - ასევე მიცვალებულის სურათიანი სასაფლაოები.

ფილმში დახასიათებულია აზერბაიჯანელი შიიტი და სუნიტი მუსლიმები. აზერბაიჯანელების დაახლოებით 80% შიიტი, 20% კი სუნიტი მუსულმანია. რამდენიმე წლის წინათ თბილისის მეჩეთი ხის კედლით იყო გადატიხრული. ერთ მხარეზე შიიტები ლოცულობდნენ, მეორეზე კი – სუნიტები. 1996 წელს მეჩეთში ახალგაზრდა ახუნდი ალი დაინიშნა. მან ხის ტიხარი დაანგრევინა. იმ დღიდან თბილისის მეჩეთში პაკისტანელი, თურქი, არაბი თუ ქართველი მუსულმანი ერთად იყრის თავს. სუნიტებიც და შიიტებიც გვერდი-გვერდ ლოცულობენ. ბოლო ათი წლის განმავლობაში საქართველოში 30-მდე მეჩეთი აშენდა. რამდენიმე სასულიერო სასწავლებელიც დაარსდა, სადაც ბავშვები ყურანის სურებს კითხულობენ.

ქურთები. ფილმში დახასიათებულია ქურთების ეთნოისტორია და საქართველოში მათი დასახლება. აღნიშნულია, რომ ქურთისტანიდან ქურთების ყველაზე დიდი ნაკადი სხვა სახელმწიფოებში პირველი მსოფლიო ომის შემდგომ დაიძრა, როცა მათი სამშობლო ოთხმა სახელმწიფომ – თურქეთმა, ირანმა, ერაყმა და სირიამ დაინაწილეს და თავად ისინი ჩაგრული უმცირესობის მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თუმცა, არსებობს ლეგენდა, რომლის თანახმადაც ქურთები საქართველოში გაცილებით ადრე გამოჩნდნენ. საქართველოში

ჩამოსული ქურთების დიდი ნაწილი თურქეთიდან წამოვიდა. მუსულმანურ სამყაროში მათ იეზიდური რელიგიის გამო დევნიდნენ. რელიგიური მრწამსის გამო საქართველოში პრობლემები არ შექმნიათ, თუმცა ენის არცოდნამ მათი ადაპტაცია მნიშვნელოვნად დაამუხრუჭა. საინტერესოდაა დახასიათებული ქურთების რელიგია. უნდა აღინიშნოს რომ, საქართველოსა და სომხეთში მცხოვრები ქურთების აბსოლუტური უმრავლესობა ეზიდური რელიგიის მიმდევარია. 1944 წელს სამხრეთ საქართველოდან მუსლიმი ქურთების დეპორტაციის შემდეგ მათი რაოდენობა საქართველოში უმნიშვნელოა. ეზიდები ზემო მესოპოტამიის უძველესი მკვიდრები არიან და მრავალმილიონიანი ქურთული მოსახლეობის, რომელთა ძირითადი ნაწილი მუსლიმია, შემადგენელი ნაწილია. ამჟამად ქურთების მხოლოდ მცირე ნაწილია ეზიდიზმის მიმდევარი. მათი რაოდენობა მთელ მსოფლიოში ერთ მილიონამდეა. პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სხვა მიზეზების გამო ეზიდური რელიგია თავის გარემოში ჩაიკეტა, რასაც ხელი არ შეუშლია რელიგიური პოსტულატები თაობიდან თაობას გადასცემოდა და მუდმივი დევნისათვის გაეძლო, რამაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი ეზიდიზმის მიმდევრებს თავისი რელიგია დაეცვათ. ეზიდები მონოთეისტები – ერთღმერთიანობის მიმდევრები და თაყვანს სცემენ მთავარანგელოზ მალაქ-ტაუსს, რომელიც ფარშევანგის სახით ყავთ წარმოდგენილი. ფილმში კომპეტენტურადაა მოცემული ის ფაქტი, რომ საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ქურთების აბსოლუტური უმრავლესობა აღმსარებლობით იეზიდია და თავის თავს ქურთებს იშვიათად უწოდებენ.

ფილმში აღნიშნულია, რომ ლტოლვილი ქურთების უმეტესობამ თბილისში მოიყარა თავი. თბილისში მაცხოვრებელი პირველი ქურთი ჯერ კიდევ 1876 წელს დაფიქსირდა. მათი რაოდენობა სწრაფად იზრდებოდა. ისინი ათწლეულების მანძილზე მძიმე შრომას არ თაკილობდნენ, მათი უმეტესობა ჯერ

კურტნის მუშებად მუშაობდნენ, მოგვიანებით კი ქურთი მეეზოვის სახე თბილისის ერთგვარ სიმბოლოდაც კი იქცა.

ფილმში განსაკუთრებით საინტერესოდაა გადმოცემული ეზიდების ტრადიციები. კერძოდ განხილულია ეზიდური საზოგადოება რომელიც კასტურ-თეოკრატიული დანაწევრების პრინციპზეა დაფუძნებული. ისინი იყოფიან სამ შტოდ («კასტად»): შეიხები (შეხ)[1], ფირები (ფირ)[2] და მურიდები (მრიდ)[3]. შეიხები და ფირები სასულიერო ფენას განეკუთვნებიან, ხოლო მურიდების ძირითადი მასა – ერისკაცებს. ერთი კასტიდან მეორეში გადასვლა შეუძლებელია. მურიდებისათვის, რომლებიც ღრმა რელიგიურ ცხოვრებას ეწევიან, არის სხვადასხვა რელიგიური წოდება: ხლმატქარ, ყავლბეჟ, ქოჩაკ, ფაყირ, ყავალ და ა.შ. ეზიდური რელიგიის თანახმად, ყოველი ეზიდი თავისი შეიხისა და ფირის მურიდია, ანუ მათი მიმდევარია. ეს, აგრეთვე, შეიხებსა და ფირებზეც ვრცელდება, რაც გულისხმობს იმას, რომ ისინიც თავიანთი შეიხისა და ფირის მურიდები არიან. უბრალო მურიდებისაგან განსხვავებით, მათ კიდევ თავიანთი მურიდები ჰყავთ. რელიგიის თანახმად, ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორის ქორწინება იკრძალება, ვინაიდან მათ მხოლოდ სულიერი კავშირი აქვთ ერთმანეთთან. მათ შორის ქორწინება დისა და ძმის ერთმანეთზე ქორწინების ტოლფასია. იმ შემთხვევაში თუკი ფირების ან შეიხების გვარი შეწყდებოდა,

---

[1] შეიხი (არაბულად - მოხუცი, უხუცესი) - სიტყვა ფირის სინონიმია, მაგრამ ეზიდებში მეთაურის, ხელმძღვანელის ფუნქცია შეიძინა.

2 ფირი (ქურთულად, ირანულად - მოხუცი, უხუცესი) – ეზიდურ თეოლოგიაში ფართო მნიშვნელობა შეიძინა – სული, ოსტატი, წმინდანი, მფარველი. ყოველდღიურ ყოფაში – მღვდელმსახური.

3 მურიდი (არაბულად - მსურველი; გადატანითი მნიშვნელობით მოსწავლე) ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში არის ადამიანი, რომელსაც სურს თავისი ცხოვრება რწმენას მიუძღვნას, დაეუფლოს მისტიკური სწავლების საფუძვლებს.

მღვდელმსახურის გარეშე რომ არ დარჩენილიყვნენ, მურიდები შეიხებისა და ფირების ახალ გვარს ირჩევდნენ. მურიდების განაწილება ძირითადად ტომებისა და გვარების მიხედვით ხდებოდა. ამიტომ ეზიდების ტომების მიხედვით განაწილება არ ემთხვევა მურიდების განაწილებას შეიხებისა და ფირების გვარების მიხედვით: განსხვავებულ ტომებში შეიძლება იყოს ერთი და იგივე შეიხებისა და ფირების გვარები, ერთი და იგივე ტომის ეზიდები კი შეიძლება სხვადასხვა შეიხისა და ფირის გვარების მურიდები იყვნენ. სამი კასტის გარდა, არსებობს კიდევ სუბკასტები. შეიხები სამ შტოდ იყოფიან: ადანი, ყათანი და შამსანი, რომლებიც თავის მხრივ მრავალ გვარად იყოფიან. ქორწინება ამ სამი შტოს წარმომადგენელთა შორისაც იკრძალება. ძალიან საინტერესოდაა განხილული დღესასწაული «კლოჩი», რომელიც აღმოსავლური კალენდრით მარტის პირველ ოთხშაბათს ეწყობა. ყოველ ოჯახში აცხობენ კულიჩს, რომელშიც მძივს ან მონეტას დებენ. მეორე დღეს, ადრე დილით, ოჯახის წევრები თავს იყრიან კულიჩის გარშემო, ოჯახის უფროსი ახსენებს ღმერთს და ჭრის ნამცხვარს. ჯერ შუაში დაუსვამენ კულიჩს დანას — ამას «ხა-ტა ჯოტი», ანუ «გუთნის კვალი» ეწოდება. შემდეგ ერთ ნახევარს ნაწილებად ჭრიან, იგი წმინდანებისა და ანგელოზებისთვისაა განკუთვნილი. ესენი არიან: 1) აფტ მერე დივანე — შვიდი ანგელოზი, 2) ხოდანე მალე — ოჯახის მფარველი, 3) მამე შვან — წვრილფეხა რქოსანი საქონლის მფარველი, 4) გავანე ზარზან — მსხვილფეხა რქოსანი საქონლის მფარველი, 5) ხათუნა ფარხა — ბავშვებისა და ქალების მფარველი, 6) შამსი — ნათელმოსილი ანგელოზი. მეორე ნახევარს ჭრიან მამრობითი სქესის ოჯახის წევრთა რაოდენობის შესაბამისად და დიასახლისისთვის. ვისაც მძივი ან მონეტა ერგება, ის ღმერთისგან კურთხეული იქნება. ამ დღესასწაულს მხოლოდ საქართველოს, სომხეთისა და რუსეთის ეზიდები ზეიმობენ. საინტერესოდაა განხილული ქორწილი. ეზიდს სხვა აღმსარებლობის წარმომადგენელზე ქორწინება ეკრძალება. ამას თავისი მიზეზი აქვს – ეზიდიზმი

გავრცელებადი რელიგია არ არის. ეზიდი ვერც არაქურთი გახდება და ვერც სხვა რწმენის მქონე ადამიანი. ამ აღმსარებლობის მიმდევრად ეზიდი მშობლების შვილები იბადებიან. დღევანდელ დღეს საქართველოში მცხოვრებ ქურთ ეზიდებს შერეული ქორწინებების თავიდან აცილება სულ უფრო და უფრო უჭირთ. რეალობის გათვალისწინებამ ქურთებს ბევრ ტრადიციალ წესზე უარი ათქმევინა, მაგრამ ერთი წესი, რომლისთვისაც ეზიდებს საუკუნეების მანძილზე არ გადაუხვევიათ და დღემდე მკაცრად იცავენ, კასტებს შორის ქორწინების აკრძალვაა. თავად ეზიდური ქორწილი შემდეგნაირად ტარდება. ქორწილი, როგორც წესი სასიძოს სახლში იმართება. დილიდანვე იკრიბებიან ყველა ახლო ნათესავი, მეზობლები და ოჯახის ახლობლები. შუადღისას სიძის ოჯახის უახ-ლოესი ნათესავები მიემართებიან საპატარძლოსთან მუსიკის თანხლებით, სადაც სტუმრებისათვის პირდაპირ ქუჩაში გაშლილია სუფრა. მამაკაცები გაწყობილ სუფრაზე ადღეგრძელებენ მომავალ დღესასწაულს. ქალები კი ცეკვით დიდ მრგვალ ლანგარზე მიართმევენ საპატარძლოს საჩუქრებს (მათი რივხვი ხუთზე ნაკლები არ უნდა იყოს). ლანგრები შეფუთულია გამჭვირვალე ფოლგაში, სხვა-დასხვა ფერის ბაბთებით. ლანგრები ქორწილისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. საჩუქრებს შორისაა შამპანიური, ძვირფასი ღვინოები, სხვადასხვა სახეობის ხილი, ტკბილეული, ტკბილღვეზელა და რაც ყველაზე მთავარია საქორწილო კაბა. საპატარძლოს ნათესავები ვალდებულნი არიან მიიღონ ეს საჩუქრები. საპატარძლოს სახლში შესვლამდე, სასიძოს და საპატარძლოს სტუმრები ერთად ასრულებენ ტრადიციულ, ეზიდების საყვარელ ცეკვას „გო-ვანდ“-ს. ცეკვის შემდეგ ყველა სტუმარს პატარძლისთვის მორთმეულ საჩუქრებს უჩვენებენ. ფ ილმში მოცემულია ერთი საინტერესო რიტუალი რომელიც ვაშლს უკავშირდება. ტრადიციულად ეს რიტუალი შემდეგნაირად ტარდება. მეფე-პატარძალს დაფის (ორმხრივი დოლი) და ზურნის მუსიკის თანხლებით

მიაცილებენ სიძის სახლში. ხალდაქორწინებულებს ეგებებათ დედამთილი ტკბილეულით სავსე ლანგრით ხელში და თავზე აყრის მეფე-პატარძალს. ამის მერე სასიძო უნდა ავიდეს აივანზე (სახლის მეორე სართული ან ვერანდა) და იქიდან ესროლოს პატარძალს თავში ვაშლი. ფილმში აღნიშნულია, რომ ეზიდების რწმენით თუ ქალმა ეს მოითმინა მაშინ ის მომთმენი და გამძლე იქნებაო. შემდეგ ტრადიციულად ორივეს თავზე არხევენ „ბედნიერების ხეს", რომელიც მორთულია ხილით, ტკბილეულით, ფულით. ხე უნდა მორთონ ახალგაზრდა გოგონებმა და ვაჟებმა, ძირითადად დაუოჯახებლებმა. ეკრძალებათ ხის მორთვა და მიახლოებაც კი ქვრივებს და განქორწინებულებს.

ფილმში აღნიშნულია ეზიდების მიგრაციაც. 90-იან წლებში ბევრმა ქურთმა ეზიდმა საქართველო დატოვა. ისინი უკეთესი ცხოვრების საძიებლად ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში გაიფანტნენ.

ქისტები: ქისტები კავკასიის ძირძველი ხალხია. ისინი ვეინახურ ტომებს განეკუთვნებიან. "ვეი ნახ" ჩვენ ხალხს ნიშნავს. ამ სიტყვებით ჩეჩნები, ინგუშები და ქისტები საკუთარ თავს სხვა მთიელი კავკასიელებისგან გამოყოფენ.

ფილმში დეტალურადაა ცნობები ქართველური და ვეინახური ტომების მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, რომელიც ანტიკური ხანიდან იწყება. ჯერ კიდევ ჩვენ წელთაღრიცხვამდე მე-4–მე-3 საუკუნეების მიჯნაზე იბერიის მეფე ფარნავაზმა, მთიელთა თანადგომის განსამტკიცებლად, მეზობელი ტომის ქალი ითხოვა. საუკუნეების მანძილზე ვეინახური ტომები ქართველი მეფეების მხარდამხარ იბრძოდნენ. განსაკუთრებული სიყვარული ქისტებს თამარ მეფისადმი ჰქონდათ. თამარის სახელს არქმევდნენ ხიდებსა და სხვა ნაგებობებს, ქალიშვილებს – მართებულადაა აღნიშბული ფილმში.

ფილმში განხილულია დასახლებასთან დაკავშირებული ასპექტებიც. ვეინახების მასობრივი ჩამოსახლება უკანასკნელად მე-19 საუკუნის 20-იან წლებში

მოხდა. ამჟამად საქართველოში 8 ათასამდე ქისტი ცხოვრობს. მათი დაახლოებით 95% ახმეტის რაიონში, პანკისის ხეობაში სახლობს. ისინი, ძირითადად, მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას მისდევენ. აქ ცხვარი, თხა და ძროხა თითქმის ყველა ოჯახს ყავს, ჯიშიანი ცხენი პრესტიჟად ითვლება.

საუკუნეების წინათ ვეინახების დიდი ნაწილი ქრისტიანი იყო. მეზობელი საქართველოს დასუსტებასა და მაჰმადიანური ქვეყნების გაძლიერებასთან ერთად, ქრისტიანობას თანდათან ისლამი ჩაენაცვლა. შესაბამისად საინტერესოდაა მოცემული ქისტების რელიგიური ცხოვრების წესი.

ფილმში საინტერესოდ განხილულია ტრადიციული კერძი – ჯიშიკ გალანაშია (გაბრტყელებულ ცომს ზოლებად ჭრიან და ხარშავენ შემდეგ. მას მოხარშული ცხვრის ან ციკნის ხორცთან და მაწონში გაზავებულ ნიორთან ერთად მიირთმევენ). ეროვნულ სამზარეულოსთან ერთად პოპულარულია იმერული ხაჭაპური, კახური ჩურჩხელა, განსაკუთრებით კი – მოხეური ხინკალი.

ფილმში აღნიშნლია რომ ქისტებში ხინკალი ერთ-ერთი რელიგიური რიტუალისთვისაც მზადდება. კერძოდ გარდაცვლილთა სულის მოსახსენიებლად, ყოველ ხუთშაბათს ოჯახებში საგანგებო ლოცვა აღევლინება. შემდეგ ოჯახის წევრები საგანგებოდ მომზადებულ კერძსა და ხილის წვენს მეზობლებს ურიგებენ. ამ რიტუალს გაღება ეწოდება. ამ დროს ხაჭაპურს ან ხინკალს გაამზადებენ და გასცემე (შეიძლება დაემატოს ტკბილეულიც). საკუთარ ეროვნულ ტრადიციებთან ერთად ქისტებში მრავალი ქართული წეს-ჩვეულება გვხვდება.

ფილმში მოცემულია ქისტების განათლება, გვარები, სტუმარ–მასმინძლობა, ჩვეულებითი სამართალი (ადათობრივი სასამართლი, უფროს–უმცროსობის ტრადიციები). ქისტების ეროვნული ნიშნებია: ენა, სარწმუნოება (ისლამი), მატერიალური კულტურის ელემენტები ძირითადად შენარჩუნებული აქვთ კომპაქტურ

დასახლებებში - პანკისის ხეობის სოფლებში. ქისტები მშობლიურ ენასთან ერთად ფლობენ ქართულ ენას. პანკისის ხეობის ქისტური მოსახლეობის ყოფაში ძლიერ იგრძნობა ქართული მატერიალური კულტურის გავლენა. ისინი განათლებას ქართულ ენაზე იღებენ. ზოგ ოჯახში ლაპარაკობენ ქისტური დიალექტისა და ქართულის შერევით მიღებულ ჟარგონზე.

ამრიგად, ფილმთან დაკავშირებით პირველ რიგში ავღნიშნავთ: ყოფითი პრობლემების მიუხედავად მიგრაციის ხარისხი ქისტებში საკმაოდ დაბალია. სასურველია ფილმში ყურადღება გამახვილებულიყო სხვა მნიშვნელოვან ტრადიციებზე. კერძოდ –პანკისის ყველა სოფელში არის საოჯახო სახელოსნო, სადაც ქისტები მატყლისაგან ამზადებენ თექას – წყალგაუმტარ და უცვეთელ ქსოვილს. მწყემსებისთვის განკუთვნილი თბილი ტანსაცმელის გარდა ოსტატები ამზადებენ მრავალ ფერადოვან აქსესუარსაც – ჩანთებს, ხალითებს, ქუდებს, ფარდაგებს და სხვა. ასევე, სხვა მნიშვნელოვანი კერძებია – სისკალ–ნეხჩ, ქისტური ხაჭაპური (ჭააბილგიშ): მზადდება რამდენიმე სახეობის.